პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 84;
ტელეფონი № 29—69
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 5—48.

კვირა, 14 ნოემბერი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 261 (1716)

დღიური

- ბულგარეთის ციხეებში გახშირდა პოლიტიკურ პატიმართა თვითმკვლელობა.
- ბულგარეთ - სამხრეთ - სლავიის საზღვრებზე მოხდა შეტაკება კომკავშირელთა და პოლიციას შორის.
- ბელგიის მემამულეებმა ერთხმად უარყვეს მრეწველთა წინადადება სამუშაო დღის გადიდების შესახებ.
- პოლონეთში დააპატიმრეს ახლად დაარსებულ სოციალისტურ პარტიის მემარცხენე ფრთის წევრები.
- დეპუტატთა პალატამ ნდობა გამოუცხადა პუანკარეს მთავრობას.
- კატალონიის აჯანყებულთა მეთაური მარკია პარიზში ჩავიდა.

ორშაბათს, 15 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე
სახელმწიფო ოპერის შენობაში მოწვეულია
ქალაქის პარტ-აქტივის საერთო კრება
დღის წესრიგი:
ამხ. **მამია ორახელაშვილის მოხსენება**
მეხუთმეტე პარტკონფერენციის შედეგების შესახებ
ს. კ. პ. ა.-კ. საოლქო კომიტეტის, ა.-კ. საოლქო საკონტროლო კომისიის, ს. კ. პ. ც. კ., ცენტრ. საკონტრ. კომისიის და თბილისის კომიტეტის წევრები კრებაზე შედიან თავიანთი მანდატებით.
დანარჩენები ბილეთებს მიიღებენ პარტიის სათანადო რაიკომებში.
ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის მდივანი მ. კახიანი.

დამოკიდებულება ოსმალეთთან

ამხ. ჩიჩერინისა და ტევფიკ-რუშდი-ბეის შეხვედრა ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, რომ საბჭოთა კავშირისა და ოსმალეთის მეგობრული ურთი-ერთ დამოკიდებულება ურყევია და უფრო მტკიცდება. ორივე ქვეყანას აერთიანებს საერთო მიზანი—მსოფლიო იმპერიალიზმის იერიშების მოგერიება და თავისი პოლიტიკურ და ეკონომიურ დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. როგორც საბჭოთა კავშირი, ისე ოსმალეთი ჩაბმული არიან აღმშენებლობით მუშაობაში, რომლის წარმატებისთვის მათ ყველაზე მეტად მშვიდობიანობა ესაჭიროებათ. ყველაფერი ეს აუცილებელს ხდის ოსმალეთის და საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ და ეკონომიურ თანამშრომლობის გაღრმავებას.

ჯერ კიდევ 1921 წ. დაიდო მათ შორის „მეგობრობის და ძმობის ხელშეკრულება" და მაშინ განახლებულ იქნა დიპლომატიური ურთიერთობა. ამ წლის გაზაფხულზე დავდევით ოსმალეთთან საგარანტიო ხელშეკრულება, რომელიც ურთიერთ თავდაუსხმელობას და ნეიტრალიტეტის ვალდებულებებს შეიცავს. ამასთან სწარმოებს მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად, რომელიც წარმატებით მიმდინარეობს.

თავის თავად ცხადია, რომ ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის დაახლოვება ძლიერ უფრთხობს ევროპის იმპერიალისტებს, რადგან ეს მათ ჩვენი, ოსმალეთის და საბჭოთა რესპუბლიკების, დამონების საშუალებას უსპობს. ამიტომაა, რომ ანგორის გარეშე საქმეთა მინისტრის და ამხ. ჩიჩერინის შეხვედრას ცხოვლად გამოეხმაურა ევროპის პრესა. ყველაზე მეტად ინგლისის პრესა იჩენს მოუსვენრობას. და ეს გასაგებია: სწორედ ინგლისი ყველაზე შეურიგებელი მტერია როგორც ჩვენი, ისე ოსმალეთის.

„დეილი ტელეგრაფ"-ის დიპლომატიური კორესპონდენტი, სხვათა შორის წერს: „მოსკოვი ოცნებობს აზიის ხალხთა ლიგაზე საბჭოთა კავშირის მეთაურობით და ყოველნაირად ცდილობს არ დაუშვას ოსმალეთის შესვლა ერთა ლიგაში". უნდა ითქვას, რომ აღმოსავლეთის ხალხთა ლიგის იდეა საბჭოთა კავშირს არ ეკუთვნის, ის წარმოიშვა პირველ ყოვლისა ოსმალეთში და აღმოსავლეთის სხვა დაჩაგრულ ერებში. ამ იდეას ასაზრდოებს ძარცვის და დამონების პოლიტიკა, რომელსაც ევროპის კაპიტალისტები ანხორციელებენ აღმოსავლეთის მიმართ. რა თქმა უნდა, პრინციპიალურად საბჭოთა კავშირი უარს არ იტყვის მიიღოს მონაწილეობა ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციაში, რომლის მიზანი იქნება დაჩაგრულ ხალხების განთავისუფლება მსოფლიო იმპერიალიზმის უღლისაგან. მაგრამ პრაქტიკულად საქმე ასე არ დგას. საბჭოთა კავშირი დღეს აღმოსავლეთის ხალხთა ლიგას კი არ ქმნის, არამედ სდებს ნეიტრალიტეტის და თავდაუსხმელობის ხელშეკრულებას თვითეულ ცალკე სახელმწიფოსაგან, ვინც ამას მოისურვებს, იქნება ის აზიური თუ ევროპიული ქვეყანა. ეხლანდელ პირობებში მხოლოდ ასეთი ხელშეკრულებები უზრუნველყოფენ საერთაშორისო მშვიდობიანობას.

ჩვენ ვთქვით, რომ აღმოსავლეთის ხალხთა ლიგის იდეა უწინარეს ყოვლისა ოსმალეთში წარმოიშვა. ეს იყო ოსმალეთის საზოგადოებრივ აზრის პროტესტი არსებულ ერთა ლიგის წინააღმდეგ. უკანასკნელმა მთელი თავის მოქმედებით ყველასათვის აშკარა გახადა, რომ ის ევროპის დიდ იმპერიალისტურ ქვეყნების ხელში იარაღს წარმოადგენს სუსტ და პირველ რიგში აღმოსავლეთის ხალხთა დასამონებლად. ოსმალეთმა ეს თვითონ გამოსცადა თავის ზურგზე, უმთავრესად მოსულის საკითხში, რომელიც ერთა ლიგამ ინგლისის სასარგებლოდ გადაჭრა თუმცა ამისათვის არავითარი საბუთი, გარდა იმპერიალისტური მადისა.

ბოლო დროს ზოგიერთი ქვეყანა ოსმალეთს ერთა ლიგაში იპატიჟება, მაგრამ ოსმალეთის ხალხის შეგნებული [illegible] გამჭრიახი ნაწილი არ ეგება ამ ანკესზე და აღმაცერად უყურებს ლიგაში შესვლის საკითხს. და ამისათვის მას სრული საფუძველი მოეპოვება. ჩვენ აქ ვგულისხმობთ არა მარტო წინანდელ ანტიოსმალურ პოლიტიკას ლიგის მხრივ, არამედ უფრო იმ დამღუპველ შედეგებს, რომლებიც უეჭველად მოჰყვება ოსმალეთისათვის მის შესვლას ერთა ლიგაში.

ცხადია, რომ ინგლის-საფრანგეთს სურთ ოსმალეთი ლიგის საშუალებით თავის გავლენის სფეროში მოაქციონ, კვლავ დაადგან მას მონობის უღელი პოლიტიკურ და ეკონომიურ დარგში. ოსმალეთი, თუ ის გახდება ლიგის წევრი, იძულებული შეიქნება გადასინჯოს თავისი ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ნაციონალურ საწარმოო-ძალების აღორძინებისაკენ, მოსპოს პროტექციონისტური სისტემა და ქვეყანა გახადოს ევროპის კაპიტალის საექსპლოატაციო ასპარეზად. ეს ჩაკლავს ადგილობრივ მრეწველობას და ოსმალეთის რესპუბლიკას ეკონომიურად და, მაშასადამე, პოლიტიკურადაც ევროპის კაპიტალის წინაშე წამოაჩოქებს. გარდა ამისა. ოსმალეთი—ლიგის წევრი—ძალაუნებურად გადაიქცეოდა ევროპის იმპერიალისტური პოლიტიკის ხელის შემწყობი დანარჩენ აღმოსავლურ ხალხთა მიმართ, რის გამო უკანასკნელთა თვალში დაკარგავდა პატივისცემას და გავლენას.

ოსმალეთის ნამდვილ პოლიტიკურ და ეკონომიურ დამოუკიდებლობის განმტკიცების ინტერესები გადაჭრით მოითხოვენ მის მჭიდროდ დაახლოვებას აღმოსავლეთის სხვა ჩაგრულ ხალხებთან და საბჭოთა კავშირთან. ამხ. ჩიჩერინისა და ტევფიკ-რუშდი-ბეის ეხლანდელი შეხვედრა ხელს შეუწყობს ამ აზრის უფრო გარკვეულ და პრაქტიკულად ჩამოყალიბებას. ამ მხრივ კერძოდ დიდი მნიშვნელობა ექნება სავაჭრო ხელშეკრულების დადებას ჩვენსა და ოსმალეთს შორის, ხელშეკრულების, რომელიც აუცილებლად თვალსაჩინო სარგებლობას მოუტანს ორივე მხარის ეკონომიურ აღორძინებას.

შრომის ეკონომიკა

I

ამჟამად ჩვენში მიმდინარეობს ფართო სამეურნეო მშენებლობა. ეწყობა ახალი ქარხნები და ხდება ძველების ტექნიკური გადახალისება. ასეთი ფართო მშენებლობისათვის, რომელიც უჩვეულოა ჩვენში, ყოველმხრივათ ვერ ვართ მომზადებული. მთელი რიგი მეორე ხარისხოვანი, მაგრამ მეურნეობისათვის ფრიად მნიშვნელოვანი, საკითხები არ იჭრებიან ისე, როგორც ამას მოითხოვს ახალი პირობები.

კერძოთ მრეწველობის განვითარება ბევრს ესმის ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით. მაგალითად, ახალი წარმოებების მოწყობა, ან ძველის გაფართოება მათ შეხედულებაში, სრულიად ამოსწურავს მრეწველობის განვითარების საკითხს. ცხადია, ეს შემცდარი შეხედულება არის. მრეწველობის განვითარება გამოიხატება არა მარტო მოწყობილ წარმოებათა ერთეულების რიცხვში, არამედ უფრო მათ გამოყენებაში. ერთ და იმავე რაოდენობის და სიდიდის წარმოებას შეუძლია სხვადასხვა გამოყენების დროს მეტი ან ნაკლები შედეგები მოგვცეს. ეს ყველასათვის უდავო უნდა იყოს.

რას უნდა მიექცეს ყურადღება სამეურნეო მუშაობაში? ამ საკითხზე აქ ყოველმხრივი პასუხის გაცემა ჩვენს ამოცანას არ შეადგენს. შევეცდებით მხოლო გავარჩიოთ ერთი საკითხი, რომელიც ჩვენი სამეურნეო მუშაობის ძლიერ სუსტ მხარეს წარმოადგენს და რომელსაც ჯერ-ჯერობით ძლიერ ნაკლები ყურადღება ექცევა. ეს არის სამუშაო ძალის გამოყენების საკითხი, ან როგორც მას ეძახიან, შრომის ეკონომიკას.

სამუშაო ძალის გამოყენების საქმეში ჩვენი სამეურნეო მუშაობა ძალზე მოისუსტებს. სამუშაო ძალის გამოყენება ამჟამად საქართველოში ხდება იმავე პირველყოფილ ფორმებში, როგორც ეს საერთოდ იყო მრეწველობის ჩასახვის დროს. სამუშაო ძალის გამოყენების ფორმების განვითარებას ჩვენში თითქმის ადგილი არ აქვს. თუ რამე კეთდება ამ მხრივ, ის ისე უმნიშვნელო არის, რომ მასზედ ლაპარაკიც არ ღირს.

სამუშაო ძალის გამოყენების საკითხისადმი ჩვენში არსებობს ფრიად გამარტივებული მიდგომა. როცა საკითხი ისმის შრომის ნაყოფიერების და შრომის ინტენსივობის აწევის და ნაწარმოების თვითღირებულების გაიაფების შესახებ, უმთავრესად მიმართავენ შრომის დისციპლინის გაძლიერებას, გაცდენების შემცირებას და სამუშაო დღის სრულ გამოყენებას. ყველა ღონისძიება თითქმის ამით ისაზღვრება.

სამუშაო დღის სრული გამოყენება ნაკლები ეფექტიანი იქნება, თუ ყურადღება არ მიექცა მის გამოყენების ხასიათს. შეიძლება სამუშაოს გაცდენამ ნაკლები ზიანი მოიტანოს, ვიდრე არა ინტენსიურათ გამოყენებულმა სამუშაო დღემ. ამიტომ სამუშაო ძალის გამოყენების საკითხებში სიმძიმის ცენტრი უნდა გადატანილ იქნეს გამოყენების ხარისხზე და თვისებაზე.

სამუშაო ძალის გამოყენების ხარისხი და თვისება, სამუშაოს ტექნიკურ გაუმჯობესების შემდეგ, დამყარებულია შრომის ხელფასის სისტემაზე. დაჯილდოვების სხვადასხვა სისტემა იძლევა სამუშაო ძალის გამოყენების სხვადასხვა ეფექტს. **ხელფასის სისტემას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამუშაო ძალის გამოყენებაში.** ჩვენში სამუშაო ძალის სუსტი და არა ინტენსიური გამოყენება უმთავრესად დამოკიდებულია ხელფასის სისტემის განუვითარებლობაზე.

სანამ შევუდგებოდეთ ხელფასის სხვადასხვა სისტემის გარჩევას, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი სამეურნეო მუშაკები ჯერ-ჯერობით კონსერვატიულობას იჩენენ ხელფასის სისტემის საკითხებში, იმის მაგივრათ რომ ისინი შეეცადონ და გამოიჩინონ ინიციატივა ხელფასის სისტემის ისეთ ფორმებში ჩამოსაყალიბებლად, რომელნიც შრომის ინტენსივობის ზრდას გამოიწვევენ, ხშირათ თვით ებრძვიან სათანადო ზომების გატარებას. ზოგან ხელფასის სისტემა, რომელსაც თან უნდა მოჰყვეს ინტენსივობის ზრდა, ყალიბდება ისეთ დამახინჯებულ ფორმებში, რომ ის არავითარ გავლენას ინტენსივობაზე არ ახდენს.

სამეურნეო მუშაკების მხრივ ხელფასის სისტემისადმი არა სამეურნეო თვალსაზრისით მიდგომა ჩვენში შემჩნეულია არა როგორც—გამონაკლისი შემთხვევა. კავშირების უკანასკნელმა სატარიფო თათბირმაც აღნიშნა ეს. უნდა ითქვას, რომ ამ მოვლენას წმინდა ადგილობრივი ხასიათი აქვს. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში ეს არ არის შემჩნეული. პირიქით, იქ ადგილი აქვს ხელფასის სისტემის წაქეზების საფუძველზე განვითარებას.

რით აიხსნება ეს მოვლენა? რატომ ჩვენი ადგილობრივი სამეურნეო მუშაკები ასე დამახინჯებულათ და არა საღი თვალსაზრისით უდგებიან შრომის ხელფასის სისტემას. ერთად-ერთი ახსნა უნდა ვეძიოთ იმაში, რომ ჩვენი მრეწველობა არ არის განვითარებული და სამუშაო ძალის გამოყენების საქმეც ჩამორჩენილია. ასეთი მდგომარეობის დატოვება შეუძლებელია. საქართველოში მრეწველობის განვითარების ხანა უკვე დაიწყო. ეს მოითხოვს სამუშაო ძალის გამოყენებისადმი უფრო სხვა მიდგომას. ჩამორჩენილობას ამ საკითხში არ უნდა ექნას ადგილი და მრეწველობის ზრდასთან ერთად პარალელურად სამუშაო ძალის გამოყენების საქმე უნდა იქნეს განვითარებული და საღ ნიადაგზე დაყენებული.

რამდენადაც სამუშაო ძალის გამოყენებაში უმთავრეს როლს თამაშობს ხელფასის ესა თუ ის სისტემა, ქვევით შევუდგებით ამ უკანასკნელის დახასიათებას შრომის ინტენსიობის თვალსაზრისით და ამავე დროს უჩვენებთ იმ დამახინჯებას, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს წარმოება - დაწესებულებებში.

დროული ხელფასი და შრომის ინტენსივობა

შრომის ინტენსივობის თვალსაზრისით ხელფასის ყველაზე უფრო განუვითარებელ ფორმათ უნდა ჩაითვალოს დროული (თვიური. დღიური) ხელფასი. დროული ხელფასი ეძლევა მუშას განსაზღვრულ დროში მუშაობისათვის. თუ რამდენი იქნება გაკეთებული ამ განსაზღვრულ დროში ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. გააკეთებს მუშა ბევრს თუ ცოტას, ის მიიღებს წინდაწინ განსაზღვრულ რაოდენობის გასამრჯელოს. მუშის მიერ მეტი ენერგიის დახარჯვა ამ სისტემის დროს არ პოულობს შესაფერ მატერიალურ ანაზღაურებას ერთ და იმავე სამუშაოზე, მაგრამ სხვადასხვა ენერგიით მომუშავეთა შორის. დროული ხელფასის სისტემას განსხვავება არ შეაქვს.

ვინაიდან დროული ხელფასის სისტემა შრომის ინტენსივობის გაზრდის სტიმულს სრულიად არ იძლევა, ის სამუშაო ძალის გამოყენების თვალსაზრისით ხელფასის უარყოფით ფორმას წარმოადგენს. სადაც კი შესაძლებელია დროული ხელფასი სხვა სისტემით უნდა შეიცვალოს. დროული ხელფასი უნდა დატოვებული იქნეს იქ, სადაც შეუძლებელია მუშაობის პროცესსა და მის შედეგების შორის რიცხვობრივი დამოკიდებულების გამონახვა და განსაზღვრული ენერგიის დახარჯვა არ იძლევა შედეგებს რიცხვობრივ გამოხატულებაში. არის მთელი რიგი სამუშაო დარგები სადაც დროული ხელფასის შეცვლა სხვა სისტემით შეუძლებელია. არის ისეთი სამუშაო დარგებიც, სადაც დროული ხელფასი შეიძლება შეცვლილი იქნეს წაქეზების სისტემით, მაგრამ ასეთ შეცვლის წინააღმდეგ მიდიან სამეურნეო მუშაკები (იმის მაგივრად. რომ თვითონ ცდილობდენ მის შემოღებას) და ამტკიცებენ მის შეუძლებლობას.

ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში ხშირი იყო შემთხვევა, როცა ადმინისტრაცია დროული ხელფასის შეცვლის წინააღმდეგი იყო და ამტკიცებდა მისი მიზანშეუწონილობას, მაგრამ როდესაც შემდეგში გატარდა ეს სისტემა, ისინი დარწმუნდენ, თუ რა დიდი სარგებლობა მოაქვს წაქეზების სისტემას.

ავიღოთ მაგალითად თამბაქოს წარმოება. ტრესტის მეთაურები წინააღმდეგი იყვენ დროული ხელფასიდან სანარდო სისტემაზე გადასვლისა. სანარდო სისტემის შემოღებამ ამ წარმოებაში შრომის ნაყოფიერება ძლიერ მაღლა ასწია.

მეორე მაგალითი: სულ რამოდენიმე თვე არის, რაც კავშირის დაჟინებითი მოთხოვნით საავტომობილო ტრანსპორტში შემოღებული იქნა პრემიალური დაჯილდოვება. ადმინისტრაცია წინააღმდეგი იყო და დაუშვა ის საცდელად. რის შემდეგ დარწმუნდა ასეთი სისტემის სარგებლიანობაში.

აქ შეიძლება მოვიყვანოთ მთელი რიგი (ადგილობრივი) მაგალითები, თუ როგორ წინააღმდეგობას უწევენ სამეურნეო ორგანიზაციები პროფკავშირებს დროული ხელფასიდან წაქეზების სისტემაზე გადასვლის საქმეში. არა ნორმალურად უნდა ჩაითვალოს ის მდგომარეობა. როცა სამეურნეო მუშაკი ამ სისტემის წინააღმდეგი არის. ეს ამტკიცებს იმას, რომ ეს მუშაკები ვერ სდგანან თავიანთი მოვალეობის სიმაღლეზე და კიდევ ვერ ერკვევიან სამეურნეო საკითხებში. ამჟამად ჩვენში არის მთელი რიგი სამუშაო დარგები, სადაც არსებობს დროული ხელფასის სისტემა. მაშინ როცა ამავე დარგებში სხვაგან შემოღებული არის წაქეზების სისტემა.

რით უნდა შეიცვალოს დროული ხელფასი? ხშირათ დროული ხელფასის წაქეზების სისტემის ხელფასით შეცვლა ვერ ტარდება მხოლოდ მიტომ, რომ შეცვლისადმი სწორი მიდგომა არ არსებობს. შეცვლის საკითხის შაბლონიურად და ყველა სამუშაო დარგისათვის ერთნაირათ გადაჭრა დაუშვებელია. ერთ შემთხვევაში დროული ხელფასის სისტემა შეიძლება შეცვლილ იქნეს სანარდო სისტემით, მეორე შემთხვევაში პრემიალურით და ან სხვა რაიმე სისტემით. თვითეულ კერძო შემთხვევაში უნდა იქნეს გათვალისწინებული სამუშაოს არსებული პირობები და შეცვლის საკითხები უნდა იჭრებოდეს კონკრეტიული პირობების მიხედვით. შეიძლება ერთ და იგივე ხასიათის. მაგრამ სხვადასხვა პირობებში მყოფ სამუშაოზე დროული ხელფასი შეცვლილ იქნეს სხვადასხვა სისტემით.

შეცვლის საწინააღმდეგოთ სამეურნეო მუშაკები აყენებენ მანქანების სიძველეს, ტექნიკურ მოუწყობლობას და სხვა ამგვარ მიზეზებს. ასეთი მიდგომა არ შეიძლება გამართლებულ იქნეს. წაქეზების სისტემა შეიძლება შემოღებული იქნეს, თუ ის შეფარდებული იქნება წარმოებაში არსებულ ტექნიკურ მოწყობილობასთან.

ცუდ ტექნიკურ მოწყობილობის დროსაც შეიძლება წაქეზების სისტემის შემოღება, თუ ის არსებული პირობების მიხედვით იქნება ჩამოყალიბებული.

ს. გოდაბრელიძე.

პოგრომის და პროვოკაციის პოლიტიკა

(„პრავდა"-ს მოწინავე წერილი)

უკანასკნელმა, მეოთხე თავდასხმამ მუსოლინიზე ნიშანი მისცა ფაშისტური ტერორის გამძვინვარებას იტალიაში. პოგრომები, ცემა და მკვლელობანი ვენეციასა, გენუასა, ნეაპოლში და სხვა ქალაქებში, მასიური ჩხრეკა პროსკრიპციული სიების მიხედვით, თავ-აშვებული მოწოდება შურის-ძიებისა და ხოცვა-ჟლეტისაკენ, —ყოველივე ეს დაგვირგვინდა „საკანონმდებლო" ზომებით, რის შესახებაც იუწყებიან უკანასკნელი დეპეშები. შემოღებულია სიკვდილით დასჯა არა მარტო იმათთვის, ვინც თავს დაესხმის დინასტიის მეთაურს და მთავრობის მეთაურს, არამედ იმ დამნაშავეთათვისაც, რომელნიც შენიშნული იქნებიან ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გაწევასა ან სამოქალაქო ომის გამომწვევ მოქმედებაში. კანონს უკუქცევითი ძალა მიეცა. იგი გამოყენებულ იქნება იმ იტალიელ კომუნისტ ამხანაგების მიმართაც, რომელნიც ამ კანონის გამოცემამდე იყვენ დატუსაღებულნი. განაჩენს გამოიტანს სპეციალური სამხედრო ტრიბუნალი, რომელშიაც შედის ფაშისტური მილიციის ხუთი წარმომადგენელი. ხელისუფლების განკარგულებით აკრძალულია ყველა ის გამოცემები, რომელნიც ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ არიან მიმართული. დაშლილია ფაშიზმის მოწინააღმდეგე ყველა პარტიები და ასოციაციები. ხელისუფლებას მინიჭებული აქვს მეტად ფართო უფლებები იმ პირთა დატუსაღებისა, გადასახლებისა და საკონცენტრაციო ბანაკებში მოთავსებისათვის, რომლებმაც ჩაიდინეს ან განზრახვა ქონდათ ჩაედინათ არსებულ წეს-წყობილების წინააღმდეგ მიმართული მოქმედება.

როგორც ყოველთვის ისე ეხლაც, რისხვა თავს დაატყდა მუშათა კლასს და კომუნისტურ პარტიას. მაგრამ პოგრომჩიკებმა არ დაინდეს ფაშიზმის ბურჟუაზიული მოწინააღმდეგენიც კი.

რეპრესიული ზომები მიღებულ იქნა ბურჟუაზიულ რესპუბლიკანელებისა და პოპოლარის კათოლიკური პარტიის წინააღმდეგ. დახურულია არა მარტო კომუნისტური გაზეთი „უნიტა" და სოციალისტური პარტიის ორგანო „ავანტი", არამედ ყველა ბურჟუაზიული გაზეთები, რომელნიც სავსებით არ მიემხრენ ფაშიზმს. პარლამენტიდან გამორიცხულია ლიბერალურ-სოციალისტური ოპოზიცია იმ მოტივით, რომ მან ბოიკოტი გამოუცხადა პარლამენტს; კომუნისტური დეპუტატები კი ყოველგვარი მოტივის გარეშე გამორიცხეს.

დანარჩენმა ფაშისტურმა ხროვამ კი (396 დეპუტატმა 580-დან) წინასწარ [illegible] ოპოზიციონურ დეპუტატებსა და კომუნისტებს და გამოაცხადა, რომ პარლამენტი დათხოვნილია გამოურკვეველ ვადამდე. ფაშისტური პრესა ისეთი გამხეცებული ხმით ღრიალებს, რომ თვით ფაშიზმის თანამგრძნობი „ტაიმსი"-ც კი ფარისევლურად აღიარებს, რომ ინგლისური ენის მეტყველა საშუალებანიც კი არა კმარა მასში გაბატონებული ტონის გადმოსაცემად.

ჯალათურის აღტაცებით ათავსებს გაზეთი „იმპერო" იმ სურათს, რომელშიაც მარკ ავრელის კოლონნასთან აღმართულია სახრჩობელა.

ასეთია „ღონისძიების გზაზე შემდგარი" იტალიის სურათი ფაშისტური რეაქციის 4 წლის ბატონობის შემდეგ.

იტალიის და მასთან მსოფლიო ბურჟუაზია ხოტბას ასხამდა ფაშისტებს, როგორც წესრიგის აღმდგენელებს, რომლებმაც იტალია იხსნეს „ბოლშევიზმის საშინელებათაგან". ამის გამო მათ სიამოვნებით აპატიეს პარლამენტარიზმისა და დემოკრატიის პრინციპების უცერემონიო დარღვევა. კომუნიზმის შემუსვრის სურვილით გატაცებული ბურჟუაზია ადვილად ურიგდებოდა ლიბერალური ოპოზიციის შევიწროვებას, რეპრესიებს პრესის წინააღმდეგ და ანტი ფაშისტური [illegible] განდევნას უნივერსიტეტებიდან [illegible] იმედი ქონდა, რომ ყველა ეს „მექანიზმის [illegible] ნაკლი" გამოსყიდულ იქნება კაპიტალისტური რეჟიმის მეტად მტკიცე სტაბილიზაციით, რომლის შემდეგ თვით მუსოლინიც ჭკუაზე მოვა და პირს იბრუნებს ეგრედწოდებულ „ნორმალიზაციისაკენ".

1924 წლის კრიზისის შემდეგ, რომელიც დეპუტატ მატეოტის მკვლელობამ გამოიწვია, პირველი ლახვარი ჩასცეს ამ იმედებს. მუსოლინი არ წავიდა „ნორმალიზაციის" გზით, ლიბერალურ - სოციალისტური ოპოზიცია კი უძლური გამოდგა, რომ ფაშისტური დიქტატორი აეძულებინა ამ გზით წასულიყო.

იმის მაგიერ, რომ ფაშიზმი თანდათანობით დამდგარიყო პარლამენტარიზმის გზაზე, რომელზედაც ოცნებობდენ ლიბერალიზმის ბრძენი [illegible], ჩვენ ვხედავთ იმას, თუ როგორ „აღრმავებს" მუსოლინი ფაშისტურ დიქტატურას; ამასთანავე ამ დიქტატურის განსამტკიცებლად მან უფრო მეტად გადამჭრელი კურსი აიღო მსხვილ მრეწველობასთან, ბანკებთან, სასახლის მონარქიულ წრეებთან და ვატიკანთან კავშირის დაჭერისაკენ.

ამასთანავე, რომ მან რამდენადმე მაინც შეერბილებია გამწვავებული ბრძოლა თვით ფაშიზმში, რომელიც კლასობრივი მხრით სრულიად ერთი მეორის საწინააღმდეგო ელემენტებს აერთიანებს, მას სხვა საშუალება არ დარჩა, გარდა იმისა, რომ განეცხოველა მტრობა ანტი-ფაშისტური ელემენტების მიმართ.

ეს მით უფრო აუცილებელი ხდებოდა, რომ იტალია მიმდინარე წელიწადში ეკონომიური კრიზისის წინაშე დადგა. მრეწველობისა და საგარეო ვაჭრობის სწრაფი ზრდა საგრძნობლად შენელდა.

თავი იჩინეს წარმოების შეჩერების საფრთხის ნიშნებმა. წარმოების შემდგომი ზრდა ებჯინება ბაზრების პრობლემას და კაპიტალის ნაკლებობის პრობლემას. უცხოეთის კაპიტალის ინტენსიური მიზიდვა, როგორც გამოსავალი ამ შევიწროებული მდგომარეობიდან, ვალის ანგარიშში შესატან გადასახადის გადიდების საფრთხეს ქმნის რაიც ლირის კურსის სიმტკიცეს შერყევას გამოიწვევს. ყველა ამ დაბრკოლებათა დასაძლევად არაა საკმაო მხოლოდ რეპრესია და დემაგოგია. სწორედ ასევე, არაა საკმაო ეს რეპრესია და დემაგოგია იმისათვის, რომ ლაგამი ამოედოს მუშათა კლასს იტალიაში.

ამ შინაურ საფრთხეთა შეგნება აიძულებდა მუსოლინის, რომ გაეძლიერებია პოლიციური რეპრესიები და ეწარმოებია ყოველგვარი ანტი-ფაშისტური ოპოზიციის, პირველ რიგში მუშათა მოძრაობის ჩახშობის პოლიტიკა.

გარდა ამისა, ისინი ამ შინაური კრიზისის დასაძლევად მიმართავდენ შოვინისტური სულისკვეთების გაღრმავებას.

იმისათვის, რომ ერთიანობა შეენარჩუნებიათ ფაშისტურ რიგებში, რომ თავიდან აეშორებიათ განხეთქილება მიწადმფლობელებსა და მრეწველებს შორის, კაპიტალისტებსა და მუშათა კლასს შორის, ფაშიზმის წვრილბურჟუაზიულ აქტივსა და მისი დემოკრატიულ ტენდენციებსა და ნაციონალისტურ პარტიიდან ახლად გადასულ, მსხვილ კაპიტალთან მჭიდროდ შეკავშირებულ ელემენტებს შორის, საჭირო იყო ფაშისტური ელემენტების გამხნევება და ძახილი, რომ საფრთხე ელის ფაშისტურ რეჟიმს. დაბოლოს როცა აგიტაციამ ვერ გასჭრა, თვით ხელოვნურად გამოიგონეს საფრთხე. პროვოკაცია, პოგრომებთან ერთად როგორც შინაური, ისე საგარეო პოლიტიკის იარაღი გახდა.

თუ წინედ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ფაშიზმი მუსოლინზე თავდასხმას გამოიყენებს უმთავრესად საფრანგეთისაკენ მიმართული შოვი[illegible], ეხლა, გენერალ რიჩიოტი [illegible] დაკავშირებულ მხილებათა შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ თვით ფაშისტებმა მოაწყვეს ეს თავდასხმა.

იტალიის განთავისუფლებისათვის ცნობილ თავდადებულ მებრძოლის შვილის შვილი, რომელიც ანტი-ფაშისტურ ორგანიზაციას მეთაურობდა, იტალიის პოლიციის აგენტი აღმოჩნდა. მას დავალებული ჰქონდა არა მარტო იმ თავითვე განწირულ უშედეგო თავდასხმის მოწყობა მუსოლინის წინააღმდეგ, არამედ შეძლების დაგვარად სახელის გატეხა საფრანგეთისათვის, რომელიც თავშესაფარს აძლევს ანტიფაშისტურ ელემენტებს.

პროვოკაციის მეთოდი ახალი როდია ფაშიზმის პოლიტიკაში, ჯერ კიდევ 1924 წელს ფაშისტური ჯგუფის ხელმძღვანელი პარიზში მოჰკლა ერთმა იტალიელმა მუშამ, რომელსაც, როგორც შემდეგ გამოირკვა, მკვლელობა ჩაადენიეს თვით ფაშისტმა აგენტებმა, ეს აგენტები კი თავიანთ თავს ანარქისტებად ასაღებდენ. ეს მკვლელობა, სხვათა შორის, გამოყენებულ იქნა დეპუტატ მატეოტის სახელის გასატეხად. პროვოკაცია, რომელშიაც წილი უდევს გარიბალდის შვილის შვილს, ამასთან შედარებით არაფერია. მას უკვე მსხვილი საერთაშორისო სკანდალის ხასიათი აქვს.

ამ შემთხვევაში მიზნად იყო დასახული არა მარტო იტალიელ ფაშისტების შოვინისტურ გრძნობების გაღვივება საფრანგეთის წინააღმდეგ, უკანასკნელზე ერთგვარი ზეგავლენის მოხდენა, არამედ კონფლიქტის გამოწვევა საფრანგეთსა და ესპანეთს შორის, რათა ამ გზით უკანასკნელი იძულებული ყოფილიყო უფრო მჭიდროთ დაკავშირებოდა ფაშისტურ იტალიას.

ამისათვის იმავე რიჩიოტი გარიბალდის საშუალებით უხამსად გამოყენებულ იქნა რევოლუციონური მოძრაობა ესპანეთში. ერთი მუჭა რევოლუციონერები, რომელთაც მოინდომეს აჯანყების მოხდენა ესპანეთის მონარქიის და პრიმო დე რივერას დიქტატურის წინააღმდეგ, აღმოჩნდენ სტატისტების როლში იმ საზიზღარ პოლიტიკურ პროვოკაციაში, რომლის ყველა გზა უშუალოდ რომში მიგვიყვანს.

ასეთი სახით გვევლინებიან საზოგადოების ეს თანამედროვე მხსნელნი კომუნისტური რევოლუციის საშინელებისაგან. გასაკვირი არ არის, რომ ინგლისის კონსერვატიული პრესა, რომელსაც ცამდე აჰყავდა მუსოლინი და რომელიც მზად იყო რამოდენიმედ თავის სასარგებლოდ გამოეყენებია იტალია-საფრანგეთის დამოკიდებულების გამწვავება, ეხლა ერთგვარ უხერხულობას გრძნობს და ფიქრობს, რომ იტალიის პოლიციის საქციელი „გაკრიტიკების ღირსია".

ჩვენი ამხანაგები, იტალიელი კომუნისტები, და საერთოდ იტალიის მუშათა კლასი თავის თავზე განიცდიან თავაშვებულ ფაშისტური რეაქციის მთელს საშინელებას. ევროპის ერთ-ერთი ქვეყნის „განათლებულმა" და „კულტუროსანმა" ბურჟუაზიამ ისეთი პირობები შექმნა მუშებისათვის, რომელიც გვაგონებს საშუალო საუკუნის ყველაზე უსაშინელეს ეპოქებს. თავის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ფაშიზმმა აღადგინა მე-15-ე საუკუნის იტალიელ ტირანების ხერხები: მკვლელობა ჩასაფრებით, გამცემლობა, პროვოკაცია. ფაშიზმის სახით კაპიტალისტური ბურჟუაზია სავსებით გაშიშვლებული გვევლინება. მაგრამ ამით ის უფრო ადრე თავის აუცილებელ აღსასრულს ამზადებს.

იტალიის მუშათა კლასს ბევრი მძიმე ბრძოლის გადატანა მოელის, მაგრამ მისი საბოლოო გამარჯვება აუცილებელია. ამ ბრძოლაში საბჭოთა კავშირის მუშების და გლეხების გული ისევე სცემს, როგორც იმ ათეულ და ასეულ ათას იტალიელ პროლეტარიატის გული, რომელთაც ამჟამად უხდებათ გააფთრებულ ფაშისტურ ბანდის თავდასხმების ატანა.

გადმოცემულია ტელეგრაფით.
მოსკოვი, 13 ნოემბერი.

საბჭოთა კავშირის და ოსმალეთის მეგობრობის განმტკიცება

გ. ვ. ჩიჩერინის და ტევფიკ რუშტი-ბეის შეხვედრამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ევროპაში

ჰოლანდიის ჯარების გარნიზონებში დაიწყო არეულობა

სუნ-ჩუან-ფანის მთავარი არმია საბოლოოდ განადგურებულია და დაშლილია

ტევფიკ რუშტი-ბეი ოდესაში

ძმური შეხვედრა

ოდესა, 13 ნოემბ. ოსმალეთის მეზღვაურთა პატივსაცემად შავი ზღვის ფლოტის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს მიერ გამართული **ბანკეტი,** რომელმაც შუაღამემდე გასტანა, **ჩატარდა არაჩვეულებრივი აღფრთოვანებით და ოსმალეთისა და საბჭოთა მეზღვაურების დაძმობილების ნიშნით.** სიტყვები წარმოსთქვეს: **ჩიჩერინმა,** ოსმალეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ტევფიკ-რუშტი-ბეიმ.** ოსმალეთის ელჩმა **ზექია-ბეიმ** და სხვებმა.

ორატორების სიტყვებს დიდი ენტუზიაზმით ეგებებოდენ. სიტყვების დასრულების შემდეგ 300 ოსმალო მეზღვაურმა შეასრულა ოსმალეთის ეროვნული ჰიმნი. ხოლო საბჭოთა მეზღვაურებმა—ინტერნაციონალი. (ადს).

ამხ. ჩიჩერინის მისალმება

ოდესა, 13 ნოემბ. ოსმალეთის მეზღვაურთა პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე ამხ. ჩიჩერინმა წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა.

„დღეს,—სთქვა ჩიჩერინმა,—ვესალმებით რაინდ ოსმალო სამხედრო მეზღვაურთ, იმპერიალისტურ უღლისაგან გასანთავისუფლებლად და ოსმალეთის ხალხის პოლიტიკურ და ეკონომიურ დამოუკიდებლობისათვის წარმოებულ ბრძოლაში მონაწილე მხედრებს. დღეს ახალგაზრდა ოსმალეთი ხელახლა აშენებს თავის თავისუფალ ცხოვრებას. იყო დრო, როცა სტამბოლი და ოსმალეთი წარმოადგენდა მეფის დიპლომატიის მტაცებლობის საგანს. ეს დრო საბოლოოთ ჩაბარდა წარსულს. დღეს ჩვენ მოწყვეტილი ვართ ჩვენი წარსულისაგან, ისე, როგორც ახალგაზრდა ოსმალეთის რესპუბლიკა ოტტომანურ ოსმალეთისაგან. ყველას ახსოვს დრო, როცა საფრანგეთის, ინგლისის, საბერძნეთის და ამერიკის ჯარები მონაწილეობდენ საბჭოთა ქვეყნის ოკუპაციაში, როცა ოდესის გმირული პროლეტარიატი გაუგონარი სიმტკიცით კვლავ იბრუნებდა მას, როცა გლე-პარტიზანებსა და წითელ მეზღვაურთ მიჰქონდათ იერიში ოდესაზე, როცა უძლიერეს მსოფლიო სახელმწიფოების ჯარი და ფლოტი უკუქცეულ იქნა შეიარაღებული პროლეტარიატის იერიშით.

ამ დროს ოსმალეთის ხალხი აწარმოებდა გმირულ ბრძოლას, თავის ხალხურ მასების თავგანწირვის საშუალებით, მსოფლიო იმპერიალიზმიდან თავის დასაღწევად. ჩვენ, ისევე როგორც ოსმალებმა, გადავიარეთ ყველა ეს ჭირ-ვარამი. ეხლა ეს დრო აღარ მობრუნდება. ორივე ქვეყანამ თავისი ძალები მიაშურა მშვიდობიან მშენებლობას, ხალხური მასების შემოქმედებითი ძალების განვითარებას. ოსმალეთის და საბჭოთა კავშირის ხალხი ამჟამად ებრძვის მსოფლიო კაპიტალის მიერ მათი დაპყრობის, დამონების ცდას.

ოსმალეთი უდიდესი ენერგიით და წარმატებითაც იგერიებს მსოფლიო იმპერიალიზმის იერიშებს, მიმართულს მის დამონებისაკენ. ოსმალეთის მეზღვაურები, რომელთაც ჩვენ ამჟამად ვესალმებით, წარმოადგენენ ოსმალეთის დედაბოძს მსოფლიო იმპერიალიზმთან ბრძოლაში. ჩვენ ვესალმებით ახალგაზრდა ოსმალეთს, ფერფლიდან აღდგენილ ოსმალეთს, რომელიც ბეწვზე გადაურჩა მსოფლიო იმპერიალიზმისაგან გაქელვას". (ადს).

ამხ. ჩიჩერინის სიტყვა

ოდესა, 13 ნოემბერი. ბანკეტის დასასრულს წითელი არმიისა და ფლოტის სახლში ამხ. ჩიჩერინმა ოსმალეთის მეზღვაურთ მიმართა შემდეგი სიტყვით:

„ჩვენი ძვირფასი სტუმარი, სთქვა ჩიჩერინმა, ტევფიკ-რუშტი-ბეი. უკვე იყო ჩვენთან სტუმრათ მოსკოვში 1920 წელს, როცა ოსმალეთის ხალხი იგერიებდა მსოფლიო იმპერიალიზმის იერიშებს, სჭიმავდა თავის უკანასკნელ ძარღვებს იმპერიალიზმისა და სულთანის უღლისაგან თავის დასაღწევად. ტევფიკ რუშტი-ბეიმ მაშინ ინახულა ჩვენი ქარხანა კოლომნაში სადაც სიტყვებს ამბობდენ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები. მაშინ რუშტი-ბეიმ მოკლედ სთქვა:

„მე ჩამოვედი იმ ქვეყნიდან, სადაც გრიალებენ ზარბაზნები და სადაც გააფთრებული ბრძოლაა თავისუფლების მოსაპოვებლად".

დღეს მე ვიმეორებ: „ეს ბრძოლა გრძელდება, მაგრამ სხვა სახით და სხვა საშუალებებით. ჩვენ ვიბრძვით, იმპერიალიზმის ცდის წინააღმდეგ დაგვიმონოს ეკონომიურად, რომ გადაგვახდევინოს მეფის ვალი. ოსმალეთის ხალხიც იბრძვის იმის წინააღმდეგ, ვინც ცდილობს წაართვას მას ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა, ამ ბრძოლაში ოსმალეთის სამხედრო მეზღვაურნი და წარმოადგენენ ოსმალეთის ხალხის იმედს და ბურჯს.

მე ვიღებ ჭიქას და ვსვამ ოსმალეთის მეზღვაურთა სადღეგრძელოს.

ძირს მსოფლიო იმპერიალიზმი!

გაუმარჯოს ახალგაზრდა, გამოუკიდებელ ოსმალეთს. (ადს)

მქუხარე ტაშით დაიფარა ამხ. ჩიჩერინის უკანასკნელი სიტყვები. ყველა ფეხზე დგება. ოსმალეთის მეზღვაურები მღერიან ოსმალურ ზღვაოსნურ სიმღერას.

ტევფიკ - რუშტი - ბეის სიტყვა

შემდეგ გამოდის ტევფიკ - რუშტი-ბეი, რომელიც მეზღვაურებს მიმართავს შემდეგი სიტყვით:

„ოსმალეთის დამეგობრება საბჭოთა კავშირთან დაიწყო ყველაზე უმძიმეს, ორივე მხარესათვის აუტანელ პირობებში. ორივე ქვეყანაში მოხდა რევოლიუცია, რომელმაც ბოლო მოუღო ძველ, დამყაყებულ წესწყობილებას და დაამყარა ახალი. ჩვენი მეგობრობა არასდროს არ შენელდება. მძიმე დროში ის უფრო გაძლიერდება. ოსმალეთის რესპუბლიკას აქვს პატივი მიესალმოს იმ დიდ სახელმწიფოს, რომელმაც ოსმალეთისათვის უმძიმეს მომენტებში, აღმოუჩინა მას დახმარება დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. მივესალმები საბჭოთა ხალხს, არმიას და ფლოტს".

ყველა ფეხზე დგება. საბჭოთა მეზღვაურები მღერიან „ინტერნაციონალს". ოსმალო მეზღვაურები თავის სამშობლო ენაზე ყვირიან „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!". მეზღვაურთა აღფრთოვანებას არა აქვს საზღვარი. დარბაზში ნამდვილი დაძმობილება.

ბანკეტი დაიხურა ოსმალეთის ელჩის ზექია-ბეის მოკლე სიტყვით. (ადს).

დარბაზობანი

ოდესა, 13 ნოემბერი. ტევფიკ-რუშდი-ბეი ეწვია ჩიჩერინს გარეშე საქმეთა სამინისტროს სასახლეში. ამ დარბაზობის საპასუხოდ ჩიჩერინი თავის მხრივ ეწვია ტევფიკ-რუშდი - ბეის კრეისერ „ჰამიდიე"-ზე.

როცა ჩიჩერინი „ჰამიდიეზე" ავიდა, გემიდან გარეშე საქმეთა სახალხო კომისრის საპატივცემლოდ 12 ყუმბარა გაისროლეს.

„ჰამიდიე"-ს ოსმალო მეზღვაურებსა და „ნეზამოჟნიკ"-ის წითელ ფლოტელებს შორის მჭიდრო მეგობრული დამოკიდებულება დამყარდა.

ოსმალეთის მეზღვაურებს „ნეზამოჟნიკ"-ზე დიდი აღტაცებით შეხვდენ საბჭოთა მეზღვაურები, რომელნიც ჩამწკრივებული იყვნენ გემის ბაქანზე.

მეზღვაურების წვეულების საპასუხოდ „ჰამიდიე"-ს ეწვიენ რევოლიუციონური სამხედრო საბჭოს წარმომადგენელები და „ნეზამოჟნიკ"-ის უფროსი. (ადს).

ტევფიკ რუშტი-ბეის მისალმება

მოსკოვი, 13 ნოემბერი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა ოსმალეთის საგარეო საქმეთა მინისტრისაგან, ოდესაში მყოფ ტევფიკ-რუშტი-ბეისაგან მიიღო შემდეგი დეპეშა:

„აღსავსე უღრმესი მადლობით იმ გულწრფელი დახვედრისთვის, რომელიც გამიმართეს მე ოდესაში ჩასვლის დროს, გთხოვთ გადასცეთ სალამი ოსმალეთის რესპუბლიკის მთავრობისა და, აგრეთვე, ჩემი უღრმესი მადლობა დიდ, მეგობრულ ქვეყნის მთავრობას, რომელსაც მე უკვე მქონდა პატივი მივსალმებოდი ბ-ნ ჩიჩერინის, თანამედროვე დიპლომატიის დიდი მოღვაწის სახით, რომელიც ემსახურება მშვიდობიანობის განმტკიცებას და რომელიც მეგობრულ სახელმწიფოს ერთი დიდი ხელმძღვანელთაგანია". (ადს).

თევფიკ-რუშტი-ბეი „ნეზამოჟნიკ"-ზე

ოდესა, 13 ნოემბერი. თევფიკ-რუშტი-ბეი ოსმალეთის ელჩის ზეკია-ბეისა და კრეისერ „ჰამიდიე"-ს უფროსის თანხლებით ეწვია ნაღმოსან „ნეზამოჟნიკ"-ს, სადაც მას შეხვდენ ფლოტის წარმომადგენელნი. ნაღმოსანთან გამწკრივებული წითელფლოტელები უდიდესი ენტუზიაზმით შეხვდენ სტუმრებს. თევფიკ-რუშტი ბეიმ მიიღო პატაკი. მიესალმა ნაღმოსანის უფროსს და სთხოვა მას, გადაეცა საბჭოთა მეზღვაურებისათვის, რომ ოსმალეთის მეზღვაურები სიტყვებს ვერ პოულობენ მადლობის გამოსახატავად ძმური შეხვედრისათვის. ოსმალეთის მეზღვაურთა ხანმოკლე ხნის განმავლობაში ყოფნა საბჭოთა მეზღვაურების—წითელფლოტელების წრეში აღმოუფხვრელ მოგონებად დარჩება ჩვენში.

მინისტრის გამგზავრების დროს „ნეზამოჟნიკ"-მა 19-ჯერ გაისროლა. (ადს).

გამოძახილი ინგლისში

ლონდონი, 12 ნოემბერი. „დეილი ტელეგრაფ-ის დიპლომატიური კორესპონდენტი ეხება ჩიჩერინის შეხვედრას ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრ ტევფიკ რუშდი-ბეისთან ოდესაში და სწერს:

„ეჭვს გარეშეა, რომ კონფერენცია ოდესაში ნაწილობრივ გაგრძელებაა იმ მოლაპარაკებისა, რომელიც სწარმოებდა ანგორაში საბჭოთა, ოსმალეთის, სპარსეთის, ავღანისტანის და ჩინეთის დიპლომატებს შორის. ხმების მიხედვით ამ მოლაპარაკების დროს ირჩეოდა საკითხი ხელშეკრულების დადების შესახებ ზემოდ აღნიშნულ ხუთ სახელმწიფოს შორის".

შემდეგ კორესპონდენტი სწერს:

„მოსკოვი ოცნებობს აზიურ ერთა ლიგის შექმნაზე საბჭოთა კავშირის საფარველს ქვეშ და ყოველ მხრივ ხელს უწყობს იმას, რომ ოსმალეთი არ შევიდეს ერთა ლიგაში".

„ტაიმს"-ის სტამბოლელი კორესპონდენტის აზრით, ჩიჩერინის შეხვედრა რუშდი - ბეისთან ადასტურებს ხმებს, იმის შესახებ, რომ ამჟამად ირჩევა აზიური ლიგის ან ხელშეკრულების პროექტი.

შემდეგ კორესპონდენტს მოჰყავს სტამბოლში გავრცელებული ხმები, რომ ჩიჩერინის და რუშდი-ბეის შეხვედრა ოდესაში **არა პირდაპირი პასუხის გაცემაა ჩემბერლენის და მუსოლინის შეხვედრაზე ლივორნოში. (ადს).**

ლონდონი, 13 ნოემბერი. „დეილი ჰეროლდი" სწერს, რომ ინგლისის მთავრობის წრეები დიდის ყურადღებით და საკმაო მოუსვენრობითაც თვალყურს ადევნებენ ოდესის შეხვედრას.

„სრულიად ცხადია, — სწერს გაზეთი,—რომ ეს შეხვედრა გამოიღებს დიდებულ შედეგებს, და რომ ეს შეხვედრა საბოლოოდ ამარცხებს ცდას მოსწყვიტონ რუსეთს სამი სამხრეთ-აზიური სახელმწიფო და ასე თუ ისე ჩაითრიონ ინგლისის დიპლომატიის გავლენის სფეროში". (ადს)

შთაბეჭდილება გერმანიაში

ბერლინი, 12 ნოემბერი. **ჩიჩერინის და რუშტი - ბეის შეხვედრამ ოდესაში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გერმანიაში და საბაბი მისცა სხვადასხვაგვარ ხმების გავრცელებას.**

„დეიჩე ალგემაინე ცეიტუნგ" აქვეყნებს სტამბოლიდან მიღებულ ცნობას, რომ ოდესაში დაიდება ხელშეკრულება კავშირის შესახებ; გაზეთი დასძენს, რომ ჯერ კიდევ გამოურკვეველია მიიღებს თუ არა სპარსეთი მონაწილეობას ამ კავშირში.

შემდეგ ცნობაში ნათქვამია, რომ კავშირი, თითქოს მიმართული იქნება იტალიის, საბერძნეთის და ბულგარეთის მოსალოდნელი თანამშრომლობის წინააღმდეგ. ეს თანამშრომლობა კი ფრაკიის ოსმალურ ნაწილებს ემუქრება. (ადს)

ბრძოლა ჩინეთში

რეაქცია დამარცხდა

პეკინი, 12 ნოემბერი. კანტონის არმიის მთავარსარდალმა **ჩან-კაი-შიმ დეპეშით აცნობა კანტონის მთავრობას, რომ საბოლოოთ გაიმარჯვა სუნ-ჩუან-ფანზე.**

ჩან-კაი-შის შესრულებულად მიაჩნია სამხრეთელთა პროგრამის პირველი ნაწილი და ამიტომ შესაძლებლად სთვლის პროგრამის მეორე ნაწილის განხორციელებას — პროვინცია ცზიან-სის, ხუ-ბეის და ხუ-ნანის განთავისუფლებას მტრებისაგან.

ამ დეპეშას უყურებენ, როგორც კანტონელების ოპერაციების დროებით შეწყვეტას იმის შემდეგ, როცა აღებული იქნება ცზიან-სი და ფუ-ძიანი, თუ სუნ-ჩუან-ფანი არ განაახლებს სამხედრო ოპერაციებს. (ადს).

ჩან-ძო-ლინის კარიერა

პეკინი, 12 ნოემბერი. გაზეთები იუწყებიან, რომ ჩრდილოეთ ჩინეთის სამხედრო სარდლებმა გადასწყვიტეს ჩან-ძო-ლინი გამოაცხადონ ჩინეთის პრეზიდენტად. (ადს).

ხავს ეჭიდებიან

პეკინი, 12 ნოემბერი. უცხოეთის წყაროებიდან მიღებული ცნობებით, სუნ-ჩუან-ფანმა გადაიფიქრა ცზიან-სის ხელში დაჭერა და სცდილობს მოახდინოს თავის ჯარების რეორგანიზაცია ან-ხოის პროვინციაში ბრძოლის გასაგრძელებლად. (ადს).

დასასვენებლად

პეკინი, 12 ნოემბერი. გაზეთებში კვლავ იბეჭდება ცნობები უ-პეი-ფუს განზრახვის შესახებ მთლად ჩამოშორდეს პოლიტიკურ მოღვაწეობას. ფიქრობენ, რომ ამ განზრახვის მთავარი მიზეზია ის, რომ გენერლებმა არ შეასრულეს სამჯერ გაცემული ბრძანება ხუ-ბეის პროვინციაზე იერიშის მიტანის შესახებ. სიჩუანის პროვინციის გენერლებს განზრახული აქვთ შეუერთდენ კანტონის არმიას.

შენ-სიში კანტონის ჯარებმა სასტიკად დაამარცხეს უ-პეი-ფუს მომხრე გენერალ უ-სინ-ტინის ჯარები, რომლებიც იხევენ სამხრეთ - აღმოსავლეთით შენსიდან ბაოჩენისაკენ. უ-სინ-ტინის ჯარების ერთი ბრიგადა მთელი შემადგენლობით დანებდა სახალხო არმიას. (ადს).

კანტონის გამარჯვება

პეკინი, 12 ნოემბ. **გრძელდება კანტონის ჯარების წინსვლა პროვინცია ანხოიში.**

გაზეთები იუწყებიან, რომ კანტონელებმა აიღეს უ-იუ-იანი და კიმენი პროვინცია ან-ხოის სამხრეთით. (ადს).

ახალი გამარჯვება

ნიუ-იორკი, 12 ნოემბერი. „ასოშიეტედ პრეს"-ის შანხაელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ცზიან-სის მთელი პროვინცია უკვე კანტონელების ხელშია. (ადს).

ვინ წარმოადგენს ჩინეთს?

კანტონი, 12 ნოემბერი. პეკინის დიპლომატიური კორპუსის საპასუხოდ იმ ნოტაზე, რომელშიაც ის პროტესტს გამოსთქვამს ახალი გადასახადების შემოღების გამო, კანტონის მთავრობამ გაუგზავნა პასუხი, რომ ის არ სცნობს დიპლომატიური კორპუსის არსებობას, რომელიც დაინტერესებულ სახელმწიფოებს წარმოადგენს პეკინში, ვინაიდან ამ სახელმწიფოებს დღემდე არ მოუწესრიგებიათ თავიანთი დამოკიდებულება კანტონის მთავრობასთან და ამიტომ არა აქვთ უფლება დასვან საკითხი „ხელშეკრულებათა პირდაპირი დარღვევის" შესახებ.

კანტონის მთავრობა მზად არის განიხილოს ეს და სხვა საკითხებიც მაშინ, როცა პეკინში წარმოდგენილი სახელმწიფოები შეიგნებენ, რომ დიდი ხანია აღარ არსებობს პეკინში ნაციონალური ხელისუფლება და რომ ნაციონალურ ჩინეთის რევოლიუციონურ შემოქმედებითმა ძალებმა დიდი ხანია, კანტონის მთავრობა ნაციონალური ძალა-უფლებით აღჭურვეს. (ადს).

ცზიუ-ცზიანში

პეკინი, 12 ნოემბ. ცზიუ-ცზიანში კანტონის ჯარებს დიდი აღფრთოვანებით შეხვდენ. ქალაქში სრული წესრიგია. (ადს).

ამხ. ჩიჩერინის შეხვედრა ტევფიკ რუშტი ბეისთან



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

სადელეგატო კონფერენციამ მიიღო მთავრობის პირობები

ლონდონი, 13 ნოემბერი. სამთამადნო მუშათა სადელეგატო კონფერენციამ დაადგინა მთავრობის წინადადებები განსახილველად გადასცეს რაიონულ ორგანიზაციებს, თანვე კონფერენცია ურჩევს რაიონებს, რომ მიიღონ ის.

რჩევას წინადადებების მიღების შესახებ ხმა მისცეს დელეგატებმა, რომლებიც წარმომადგენლობენ 432.000 კავშირებში გაერთიანებულ სამთამადნო მუშებს ხოლო წინააღმდეგ 352.000 მემალაროეს წარმომადგენელმა დელეგატებმა. (ადს).

მაგნატთა პალატა

ვენა, 12 ნოემბერი. უნგრეთის პარლამენტმა მიიღო რეზოლიუცია მაგნატთა პალატის (უმაღლესი პალატა) აღდგენის შესახებ. (ადს).

ბელგიის მუშების ბრძოლა

პარიზი, 12 ნოემბ. ბორინაჟის (ბელგია) მემალაროებმა ერთხმად უარყვეს ბელგიის მრეწველობისა და შრომის მინისტრის ვოტერსის წინადადება სამუშაო დღის გადიდების შესახებ. (ადს).

არქტიული ქვეყნები

ბერლინი, 12 ნოემბ. არქტიული ქვეყნების შემსწავლელ საერთაშორისო საზოგადოების პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: 7 წარმომადგენელი გერმანიიდან, 4 წარმომადგენელი საბჭოთა კავშირიდან და თითო წარმომადგენელი სხვა ქვეყნებიდან.

მთლიანი ფრონტისაკენ

პარიზი, 13 ნოემბერი. საბჭოთა კავშირში მოგზაურობიდან დაბრუნებულ ახალგაზრდა-მუშათა დელეგაციის მონაწილეთა მოხსენებას დაესწრო 2000 პარიზელი პროლეტარი, მათ რიცხვში მრავალი სოციალისტური ახალგაზრდობა და უპარტიოები.

კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც მიესალმება საბჭოთა მშენებლობის წარწევებს და მოუწოდებს საფრანგეთის მუშებს დაამყარონ მთლიანი ფრონტი. (ადს).

ახალი პარტია პოლონეთში

ვარშავა, 12 ნოემბ. ნესვიჟში პოლიტიკური არისტოკრატიის ყრილობის შედეგად შეიქმნა ახალი კონსერვატიული პარტია. ახალ პარტიას მეთაურობენ რაძივილი, საპიგა, ხლოპოვსკი და კრჟიჟანოვსკი. (ადს).

81 ჩაქოლვა

ბერლინი, 13 ნოემბერი. ნიუ-იორკიდან მიღებული ცნობებით, ფერადი ამერიკის ნაციონალურმა კავშირმა კულიჯისადმი გაგზავნილ დეპეშაში მოითხოვა კანონის შემოღება ლინჩის წესით დასჯის წინააღმდეგ. წელს ლინჩის წესით დასჯილ იქნა 81 ზანგი. (ადს)

რეიხსტაგში

ბერლინი, 13 ნოემბერი. რეიხსტაგმა საბოლოოდ მიიღო გერმანია-შვეიცარიის სავაჭრო ხელშეკრულება, საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმება საარის ოლქის საკითხზე და გერმანია-საფრანგეთ-ბელგიის შეთანხმება საჰაერო მიმოსვლის შესახებ. (ადს)

სამხრეთ-სლავიის პროტესტი

პარიზი, 13 ნოემბერი. ბელგრადიდან მიღებული ცნობებით, სკუპშჩინამ (პარლამენტი) გამოსთქვა ენერგიული პროტესტი იმ სასტიკი რეჟიმის გამო, რომლითაც ფაშისტები ეპყრობიან სამხრეთ-სლავიის ნაციონალურ უმცირესობას იტალიაში. (ადს)

მარკია პარიზში

პარიზი, 13 ნოემბ. პერპინიანიდან მიღებული ცნობით, კატალონიის შეამბოხეთა მეთაური მარკია პარიზში გაემგზავრა.

კაშენის პროტესტი

პარიზი, 13 ნოემბერი. დეპუტატთა პალატაში კომუნისტმა განაცხადა პროტესტი საფრანგეთის ჩარევის წინააღმდეგ ჩინეთის საქმეებში და მოითხოვა ახსნა-განმარტება ტონკინიდან (ინდო-ჩინეთი) 7.000 თოფისა და 7 მილიონი ვაზნის გაგზავნის შესახებ, პროვინცია იუნანის სამხედრო გუბერნატორის დანიშნულებით, რომელიც აწარმოებს ბრძოლას კანტონის წინააღმდეგ. (ადს)

ხალხი იტანჯება

პეკინი, 12 ნოემბერი. დეპეშაში, რომლითაც პრემიერმა ველინგტონ კუმ აცნობა თავისი გადადგომა ჩრდილოეთ-ჩინეთის სამხედრო სარდლებს, ნათქვამია:

„სახელმწიფო ხაზინა სრულიად დაცარიელებულია. აღარ არის საშუალება გადაუდებელ ადმინისტრატიულ ხარჯების გასასტუმრებლადაც კი. მოსამსახურეები და მასწავლებლები შიმშილობენ. გაუარესდა ეკონომიური მდგომარეობა. ხალხი იტანჯება“. (ადს)

გაფიცვის გადამწყვეტი დღეები

მემალაროეთა შორის

ლონდონი, 13 ნოემბერი. დღის დილით შედგა მემალაროეთა ფედერაციის აღმასკომის სხდომა, რის შემდეგაც მემალაროეთა სადელეგატო კონფერენციამ განაახლა მთავრობის წინადადებათა განხილვა. სანახშირო კონფლიქტის მოგვარებისათვის ისახება ორგვარი გზა: ან დელეგატები აიღებენ პასუხისმგებლობას გადაწყვეტილ[illegible]ის მიღებისათვის ან წინადადებანი გადაეცემიან რაიონებს. დელეგატების ზომიერი ნაწილი პირველი გზის მომხრეა. (ადს).

პასუხი მთავრობას

ლონდონი, 12 ნოემბერი. 12 ნოემბერს შუადღისას ხელახლა შეიკრიბა სამთამადნო მუშათა ფედერაციის სადელეგატო კონფერენცია, რომელმაც უნდა მოისმინოს აღმასკომის წევრთა მოხსენება მთავრობის პირობების შესახებ.

დღის 3 საათზე კონფერენციის სხდომა შეწყვეტილ იქნა, რათა ფედერაციის აღმასკომის წევრებს მისცემოდათ საშუალება მთავრობისაგან მიეღოთ განმარტება მის მიერ გაკეთებულ წინადადებებზე.

დღის 5 საათზე კვლავ განახლდა კონფერენციის სხდომა.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში დელეგატებმა მთავრობის პირობები ერთხმად დაახასიათეს, როგორც საშინელი და მიუღებელი.

„სჯობს ბოლომდე ვიბრძოლოთ,—განაცხადეს დელეგატებმა, — თუ გინდ დამარცხებამდეც კი, ვიდრე დავბრუნდეთ სამუშაოზე რაიმე შეთანხმების გარეშე“. (ადს).

სადელეგატო კონფერენცია

ლონდონი, 12 ნოემბ. რეიტერის სააგენტოსაგან მიღებული ცნობებით, სამთამადნო მუშათა ფედერაციის სადელეგატო კონფერენციის სხდომა შეწყვეტილია 13 ნოემბრამდე. (ადს).

ინგლისის კომპარტიის მოწოდება

ლონდონი, 12 ნოემბერი. ინგლისის კომპარტიამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც იგი აღნიშნავს, რომ მემალაროეთა სადელეგატო კონფერენციამ შეცდომა ჩაიდინა და უმართებულოდ მოიქცა, როცა მან უარი სთქვა მემალაროეთა მასისათვის გადაეცა გადაწყვეტა საკითხისა, იმის შესახებ, რომ უნდა სწარმოებდეს თუ არა მოლაპარაკება კონფლიქტის ლიკვიდაციისათვის სარაიონო შეთანხმებათა საფუძველზე.

საკითხი იმაში კი არაა, ნათქვამია განცხადებაში, რამდენად მძიმეა, კონფერენციის აზრით, მემალაროეთა მდგომარეობა. არც ერთი წუთით არ შეიძლება დავიწყება, რომ სანამ გაფიცვა გრძელდება იმ სანახშირო რაიონებში, რომელნიც ჩვეულებრივად ექსპორტისათვის მუშაობენ, კაპიტალისტებიც მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან.

კომპარტია დაჟინებით მოითხოვს, რომ მემალაროეთა კავშირის ადგილობრივმა კომიტეტებმა პროტესტი განაცხადონ კონფერენციის ასეთი საქციელის წინააღმდეგ და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მემალაროეთა მასებმა დაჟინებით უნდა მოითხოვონ მოლაპარაკებაზე კონტროლის დაწესების უფლება. (ადს).

დეპუტატთა პალატაში

პუანკარეს მოთხოვნილებით

პარიზი, 12 ნოემბერი. დღის წესრიგის განხილვის დროს დეპუტატთა პალატაში პუანკარემ დასვა ნდობის საკითხი და მოითხოვა, რომ კამათი პალატაში შეტანილი შეკითხვების გარშემო, რომელნიც ეხებიან მთავრობის პოლიტიკას, გადაიდოს, სანამ პალატა ბიუჯეტს მიიღებს. პალატამ 365 ხმის უმრავლესობით 208 ხმის წინააღმდეგ პუანკარეს მოთხოვნილების თანახმად გადასდო შეკითხვების განხილვა. (ადს).

ნდობა გამოუცხადეს

პარიზი, 13 ნოემბერი. დეპუტატთა პალატის სესიაზე პუანკარეს კაბინეტს 344 ხმის უმრავლესობით 190-ის წინააღმდეგ ნდობა გამოუცხადეს. თავი შეიკავა 14 კაცმა.

ნდობის წინააღმდეგ ხმა მისცა: 28 კომუნისტმა, 94 სოციალისტმა, 15 რესპუბლიკანელმა სოციალისტმა, 47 რადიკალმა და 11 მემარცხენე რადიკალმა.

მარშალის რესპუბლიკაში

სოციალ. პარტია ოპოზიციაში

ვარშავა, 12 ნოემბერი. ვინაიდან პოლონეთის სოციალისტური პარტიის ცეკამ დაადგინა პარტია ოპოზიციაში ჩაუდგეს მთავრობას, შესდგა პოლონეთის სოციალისტური პარტიის ცეკას, საპარლამენტო ფრაქციის პრეზიდიუმის, პროფკავშირთა გაერთიანების ფრაქციის პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომა, რომელსაც დაესწრნენ ცალკე პროფკავშირების სოციალისტურ ფრაქციების წარმომადგენლები.

თათბირმა გამოიმუშავა დეკლარაცია, რომელშიაც ხაზგასმულია ეკონომიურ, პროფესიონალურ და პოლიტიკურ მუშათა ორგანიზაციების სოლიდარობა. დეკლარაციაში ნათქვამია, რომ მთავრობა თავისი ეკონომიური პოლიტიკით ცდილობს შეთანხმებას კაპიტალისტურ, ფინანსიურ წრეებთან და მემამულეებთან.

თათბირის დამთავრების შემდეგ ნედზიალკოვსკიმ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მორაჩევსკიმ ორში ერთი უნდა არჩიოს — ის ან უნდა გამოვიდეს მთავრობიდან და დროებით ჩამოშორდეს პოლიტიკურ ცხოვრებას, ან უარი უნდა სთქვას დეპუტატობის მანდატზე (მორაჩევსკი — პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრია, პილსუდსკის მთავრობაში საზოგადოებრივ სამუშაოების მინისტრის თანამდებობა უჭირავს).

„თუ—დასძინა [illegible]დზიალკოვსკიმ—არც ერთს და არც მეორეს არ შეასრულებს, მისი საქმე პარტიულ სასამართლოს გადაეცემა. (ადს).

მემარცხენეების დევნა

ვარშავა, 12 ნოემბერი. ლიუბლინში პოლიციამ დააპატიმრა ეხლახან დაარსებულ ახალი პარტიის — „პოლონეთის სოციალისტური პარტიის მემარცხენე ფრთის“ 11 მოღვაწე. დაპატიმრებულებს შორის არის ყოფილი დეპუტატი—ლმოვსკი. (ადს).

კომპარტიის წევრობისათვის

ვარშავა, 12 ნოემბერი. ტარნოპოლის სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა ბელორუს ბილინს.

ბილინს დააბრალეს დასავლეთ უკრაინის კომპარტიის წევრობა და იმ ლიტერატურის გავრცელება, რომელიც მოუწოდებდა მცხოვრებლებს საბჭოთა წესწყობილების დამყარებისაკენ გალიციაში.

დამცველებმა განაჩენი გაასაჩივრეს. (ადს).

ლინჩის წესით გასამართლება

ლონდონი, 13 ნოემბერი. „დეილი-მეილ“-ის ნიუ-იორკელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ ერთი კვირის წინად ტეხასში მოკლულ იქნა თეთრკანიანი უელეს კროუდერი. მკვლელობაში ბრალი დასდეს ზანგს.

გუშინ კოვბოის ტანსაცმელში გამოწყობილი თეთრკანიანთა რაზმი ავტომობილით მიადგა ზანგების სადგომს. რაზმმა ცეცხლი წაუკიდა სახლს და ტყვია დაუშინა; ცეცხლში დაიწვა ზანგი მამაკაცი და ზანგის ქალი, ხოლო მესამე ზანგი დახვრეტილ იქნა.

დღეს ხელისუფლებას ჩაბარდა მოკლულის ძმა, რომელიც გამოტყდა ძმის მკვლელობაში. (ადს).

მღელვარება ჰოლანდიაში

ბერლინი, 12 ნოემბერი. უკანასკნელ დროს ჰოლანდიის მთელ რიგ გარნიზონებში ადგილი ჰქონდა ჯარისკაცების მღელვარებას. ასენში, ედეში და აპელდორნში ადგილობრივი გარნიზონები არ დაემორჩილნენ ოფიცრებს. ჯარისკაცების დასამშვიდებლად გამოწვეულმა გვარდიის ნაწილებმა უარი სთქვეს სროლაზე.

მღელვარება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ სათადარიგო ჯარისკაცებს საბანაკო ბეგარის მოსახდელად იწვევენ იმ დროს, როცა გაცხარებული მუშაობაა მინდვრებში; მღელვარებას ხელი შეუწყო აგრეთვე უდიერმა მოპყრობამ ოფიცრების მხრივ. (ადს).

თეთრი ტერორი

ბულგარეთის ციხეებში

ვენა, 12 ნოემბერი. აუტანელ რეჟიმის გამო, ბულგარეთის ციხეებში კვლავ გახშირდა პოლიტიკურ პატიმართა თვით მკვლელობის შემთხვევები. კომუნისტი ტედორ პავლოვი, ცნობილი პედაგოგი და მწერალი, უკვე ორჯერ შეეცადა თავის მოკვლას. (ადს).

სდევნიან კომკავშირელებს

ვენა, 12 ნოემბერი. სანაპირო სადგურ დრაგომანთან (ბულგარეთ - სამხრეთ სლავიის საზღვარზე) მოხდა შეტაკება ბულგარეთის პოლიციასა და კომკავშირელთა ჯგუფს შორის, რომელიც აპირობდა საზღვარგარეთ გასვლას. კომკავშირელებსა და ალყა შემომრტყმელ ჟანდარმებს შორის გაიმართა სროლა, რომლის დროს მოკლულ იქნა ერთი კომკავშირელი; დაპატიმრებულია ერთი კომკავშირელი, ხოლო სამი ტყეში მიიმალა, სადაც პოლიციამ მათ ალყა შემოარტყა. ტყეში შეხიზნულთა ბედი ჯერ-ჯერობით არ არის გამორკვეული. (ადს).

ბოიარების უღელ ქვეშ

ვენა, 12 ნოემბერი. ოქტომბრის ბოლოში კლაუზენბერგის მუნიციპალურ საბჭოს დაშლის შემდეგ რუმინეთში დაშლილ იქნენ მთელი რიგი მუნიციპალური საბჭოებისა, უმთავრესად იმ ადგილებში სადაც გავიდენ მუშურ - გლეხური ბლოკის ოპოზიციის კანდიდატები. (ადს).

გლეხთა საქმე

ვარშავა, 12 ნოემბ. 15 ნოემბერს ვლადიმირო - ვოლინსკში დაიწყება 50 უკრაინელ გლეხის გასამართლება, რომელთაც ბრალდებათ დასავლეთ - უკრაინის კომპარტიაში ყოფნა. ბრალდებულთა უმეტესი ნაწილი წელიწად ნახევარზე მეტია, რაც წინასწარ პატიმრობის ქვეშ იმყოფება. (ადს).

მეცნიერთა კონფერენცია

ტოკიო, 12 ნოემბერი. წყნარ-ოკეანეს ქვეყნების სამეცნიერო კონფერენციამ მიიღო პროფ. შიდტის წინადადება, რომ რუსეთი შემდეგში წყნარ-ოკეანეს სამეცნიერო ასოციაციის წესდებაში აღინიშნოს, როგორც საბჭოთა კავშირი.

საბჭოთა დელეგაციას იაპონელებმა დიდი სტუმართმოყვარეობა გაუწიეს. დელეგაცია გაემგზავრა ვიოტოში, საიდანაც ის შემდეგ დაივლის სამხრეთ და დასავლეთ იაპონიის ქალაქებს. (ადს).

საკონტროლო ციფრები

ვენა, 12 ნოემბერი. მოკავშირეთა შორისო სამხედრო საკონტროლო კომისიამ გამოიკვლია მთელი რიგი სამრეწველო წარმოებებისა და დაბეჭდა მრავალი მანქანა, რომელნიც მისი განკარგულებით დაშლილ უნდა იქნან, რადგან მათი საშუალებით შეიძლება სამხედრო იარაღის დამზადება. კომისიის განკარგულებით უნდა დაიშალოს 800 მანქანა, ხოლო გადაკეთდეს 2.000. გაზეთები იუწყებიან, რომ კომისია მოითხოვს მთელ რიგ წყალსადენების, რკინისგზის ბაზისების, ლითონის ჩამომსხმელ ქარხნებისა და ვენის არსენალის დანგრევას. (ადს).

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

საავიაციო ლატარეა

მოსკოვი, 13 ნოემბერი. სრულიად საკავშირო საავიაციო ლატარეას კომიტეტის სხდომაზე დადგინეს დანიშნონ მუდმივი რწმუნებულები ლატარეას ჩასატარებლად მინსკში, თბილისში, სამარკანში, სიმფეროპოლში, ნოვოსიბირსკში, სვერდლოვსკში, ხაბაროვსკში, დონის როსტოვში და სხვა ქალაქებში. კომიტეტმა გადასწყვიტა აღძრას შუამდგომლობა შრომის სახალხო კომისარიატის წინაშე, რათა მისცენ შვებულება იმ მუშა-მოსამსახურეებს, რომლებმაც მოიგეს გადაფრენა და მგზავრობა. (ადს)

დახმარება ლენინაკანს

მოსკოვი, 13 ნოემბერი. განსაკუთრებული გამონაკლისის გამო, შრომისა და თავდაცვის საბჭომ ლენინაკანში მომხდარი უბედურება გაუთანასწორა ცეცხლისაგან დაზღვევის შემთხვევას და ნება დართო სახელმწ. დაზღვევის სამმართველოს, რომ მიწისძვრისაგან დაზარალებულ მოსახლეობას გადაუხადოს დანგრეული შენობების ღირებულება ისე, როგორც ცეცხლისგან დაზარალებულ შენობებს ეკუთვნის. (ადს).

75 პროპაგანდისტი რაიონებში

მოსკოვი, 13 ნოემბერი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკამ მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ ზოგიერთ სამრეწველო რაიონში არის პროპაგანდისტ-მუშაკთა ნაკლებობა, დაადგინა: მოსკოვიდან რაიონებში გაგზავნა 75 ამხანაგი კვალიფიციური საპროპაგანდო მუშაობის წარმოებისათვის. მათი დაგზავნა ერთი თვის ვადაში უნდა დამთავრდეს. (ადს).

საჰაერო კავშირის ინჟინერები

ლენინგრადი, 13 ნოემბ. გზათა მიმოსვლის ინსტიტუტის საჰაერო განყოფილებამ გამოუშვა საჰაერო მიმოსვლის 6 ინჟინერი. (ადს).

რონოდა—გიგანტები

ნიჟნი-ნოვგოროდი, 13 ნოემბ. სორმოვის ქარხანამ გამოუშვა 130 დიდი ტვირთმწევი საბარგო რონოდები. თვითეულ ვაგონში ეტევა 2.000 ფ. ტვირთი, ე. ი. სამჯერ მეტი, ვიდრე ჩვეულებრივ საბარგო რონოდებში. წელს ქარხანა კიდევ გამოუშვებს 600 ასეთ რონოდას. (ადს).

ნორვეგიის პროფკავშირთა წარმომადგენელნი

სტოკჰოლმი, 12 ნოემბ. ნორვეგიის პროფკავშირთა საბჭომ საკავშირო პროფკავშირთა მე-7 ყრილობაზე დასასწრებლად, რომელიც 7 დეკემბერს გაიხსნება მოსკოვში, თავის წარმომადგენლებად აირჩია აღმშენებელ მუშათა კავშირის თავმჯდომარე ვოზანი და რკინისგზელთა კავშირის თავმჯდომარე ალბერტი.

შეღავათი მიწისძვრისაგან დაზარალებულთათვის

მოსკოვი, 13 ნოემბერი. სატარიფო კომიტეტმა უფასო მგზავრობის ნება დართო ლენინაკანში მიწისძვრისაგან დაზარალებულ რკინისგზელ და მათ ოჯახებს: თბილისამდე—1.500 კაცს, ბაქომდე—500, ერევანამდე—1000 კაცს. გარდა ამისა სატარიფო კომიტეტმა დააწესა 60 პროცენტით შეღავათიანი ტარიფი 1.500 პროფკავშირის წევრთათვის, შეღავათიან ტარიფს ძალა აქვს 1927 წლის 15 მარტამდე.

აქტიური მუშაკნი

მოსკოვი, 11 ნოემბერი. მუშურ-გლეხურ წითელი არმიის პოლიტიკური სამმართველოს ცნობებით 1922 წელში დაბადებულ წითელარმიელთა უმრავლესობამ, რომელნიც წელს განთავისუფლებულნი არიან წითელი არმიის რიგებში სამსახურისაგან, გაიარა პოლიტორგანოების მიერ საბჭოთა ქვედა აპარატის მუშაკთა მოსამზადებლად მოწყობილი კურსები და წრეები. (ადს).

გაფლანგვისათვის

სტალინო, 12 ნოემბ. სასამართლოს განაჩენით დახვრიტეს მაკეევის მუშათა კოოპერატივის თანამშრომელი პუტილინი, რომელმაც წააგო კაზინოში 13.000 მან. კოოპერატივის ფული.

რიონის ელექტროსადგური

მოსკოვი, 13 ნოემბ. საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა რუს. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ლობოვს დაავალა განიხილოს საკითხი რიონის ელექტრო-სადგურისათვის გადადებული თანხის 1 მილიონიდან—1 ნახ. მილ. მანეთამდე გადიდების შესაძლებლობის შესახებ, ხოლო იმ პირობით, თუ ადგილობრივი თანხებიდან ამ აღმშენებლობისათვის გაღებული იქნება 1 მილიონი მანეთი. ამხ. ლობოვს გაევალა აგრეთვე განიხილოს აზერბეიჯანის ცენტრალისა და კალაგერანის ელექტრო-სადგურის აგების საკითხი.

8.905.000 მან. გაფიცულ მემალაროეებს

მოსკოვი, 13 ნოემბ. საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს ცნობით, ინგლისელ მემალაროეთა დახმარების ფონდში 1926 წ. 1 მაისიდან 1 ნოემბრამდე სოლქო და საგუბერნიო ცენტრების პროფორგანიზაციებისა, პროფკავშირთა საგუბერნიო განყოფილებათა, გაზეთების რედაქციებისა, ცალკე პირებისა და დაწესებულებათაგან სულ შემოვიდა 8.905.000 მანეთი.

რუსეთის ცაკის სესია

მოსკოვი, 13 ნოემბ. რუსეთის ცაკის სესიის სხდომაზე 13 ნოემბერს საბჭოების გადარჩევისათვის მზადების საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. პოლუიანმა. მან აღნიშნა—წარსულმა საარჩევნო კამპანიებმა დაგვიმტკიცეს, რომ საბჭოებს ყველგან ეტყობათ გამოცოცხლება. საბჭოების მუშაობა ყოველ მხრივ გაუმჯობესდა, კერძოდ სასოფლო საბჭოების, რომლებმაც დიდი ავტორიტეტი მოიპოვეს გლეხობაში. მასების აქტიობა იზრდება. 1923 წ. საბჭოების გადარჩევის კამპანიაში მონაწილეობას ღებულობდა 14 მილიონი გლეხი, ე. ი. 37 პროც., 1925—26 წ. კი—18 მილიონი გლეხი, ე. ი. მთელი მათი რიცხვის 47 პროც.

დასასრულ ამხ. პოლუიანმა განაცხადა, რომ საბჭოების გადარჩევის კამპანია მიმდინარე წელში იანვარ-აპრილისათვის არის განზრახული.

ახალ. კომინტერნის აღმასკომის პლენუმი

მოსკოვი, 13 ნოემბ. ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის გაფართოებულ პლენუმზე მოხსენებით კომინტერნის აღმასკომის მომავალ გაფართოებულ პლენუმის ამოცანების შესახებ გამოვიდა ახალ. კომ. ინტ. აღმასკომის მდივანი ამხ. შაცკინი.

ამხ. შაცკინმა მოიყვანა მთელი რიგი ციფრებისა მსოფლიო სავაჭრო ბრუნვისა და სავალიუტო მერყეობის შესახებ, რომლითაც დაამტკიცა კომინტერნის მიერ მოცემული შეფასების სისწორე კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაციის შესახებ.

მოხსენების ნაწილში, რომელიც შეეხებოდა კომინტერნის ცალკე სექციებს, ამხ. შაცკინი შეჩერდა დისკუსიაზე საკავშირო კომპარტიაში და დაახასიათა ოპოზიციის ეკონომიური და პოლიტიკური პლატფორმა. (ადს).

საქონლის მომარაგება

მოსკოვი, 13 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე ამხ. კუიბიშევის თავმჯდომარეობით მოსმენილ იქნა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სავაჭრო განყოფილების გამგის სოკოლოვსკის მოხსენება საქონლის მომარაგების პერსპექტივების შესახებ 1926—27 წლისათვის.

სოკოლოვსკიმ აღნიშნა, რომ საქონლის ბაზარზე ამჟამად სრული სიწყნარეა. საცალო ფასები დაკლებული უნდა იქნეს წარმოების მაქსიმალური გაფართოების გზით ბაზრის მოთხოვნილების საკმაოდ დასაკმაყოფილებლად. საქონლის ასორტიმენტი და ხარისხი ბაზრის მოთხოვნილებებს უნდა შეეფერებოდეს.

გაცხოველებული კამათის შემდეგ, პრეზიდიუმმა დაადგინა მიღებულ იქნეს საფუძვლად სახელმწიფო საგეგმო კომისიის პროექტი საქონლის მომარაგების შესახებ 1926—27 წლისათვის. აუცილებლად იქნა ცნობილი კონკრეტიული ზომების მიღება იმისათვის, რომ გაუმჯობესებულ იქნეს საქონლის ხარისხი და მისი ასორტიმენტი შეეფერებოდეს ბაზრის მოთხოვნილებებს. საჭიროა აგრეთვე ზომების მიღება იმისათვის, რომ კვლავ გაგრძელდეს ბამბის და მატყლის გადამუშავება ჩვენს წარმოებებში. (ადს).

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

შადრევნების ამოხეთქა ჭებიდან

ბაქო, 13 ნოემბერი. 12 ნოემბერს სურახანაში მე-3 სარეწაოზე ამოხეთქა ჭამ № 60 დღეღამეში 300 ტონა ნავთის დებეტით.

12 ნოემბერს მე-7 სარეწაოზე ისევ ამოხეთქა შადრევანმა ჭიდან № 34 დღეღამეში 300 ტონა ნავთის დებეტით. (ადს).

„აზსელმაშსოიუზი“

ბაქო, 13 ნოემბერი. მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატმა დაადგინა, რომ აზერბეიჯანის სასოფლო-სამეურნეო მანქანების საწყობი და კეიბერლინგის მომარაგების განყოფილება გაიერთიანოს ერთ ორგანიზაციად, რომელსაც ეწოდოს აზერბეიჯანის გლეხობისათვის მანქანებისა და იარაღების მიმწოდებელი კავშირი — „აზსელმაშსოიუზი“.

ქარიშხალი კასპიის ზღვაზე

ბაქო, 13 ნოემბერი. უკანასკნელ ხანებში კასპიის ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში დიდი ქარიშხალი იყო, რომლის ძალა 9 ბალს უდრიდა.

სპარსელი ფეხბურთელები

ბაქო, 13 ნოემბერი. 19 ნოემბერს ბაქოში სპარსეთიდან ჩამოვა 15 სპარსელი ფეხბურთელი. ერთი მათგანი სპორტის სამინისტროს წარმომადგენელია.

ფიზკულტურნიკების შესახვედრად ფეხლევში მიემგზავრება აზერბეიჯანის ფიზკულტურის კომისია.

შეჯიბრება მოხდება 20 ნოემბერს ქალაქში და 21 ნოემბერს ბალახანაში.

სომხეთი

ლენინაკანის აღმდგენელი კომიტეტი

ერევანი, 13 ნოემბერი. სომხეთის სახ. კომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. ამბარცუმიანის თავმჯდომარეობით სახ. კომ. საბჭოსთან მოეწყო ლენინაკანის აღმდგენელი კომიტეტი. მთავრობის საგანგებო კომისია დაშლილად არის გამოცხადებული.

დახმარება საფრანგეთისაგან

ერევანი, 13 ნოემბერი. სომეხ მშრომელთა კოლონიებმა საფრანგეთში ლენინაკანის მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შეაგროვეს 60.000 მან.

სტუდენტთა კონფერენცია

ერევანი, 13 ნოემბერი. 13 ნოემბერს გაიხსნა სომხეთის პროლეტარული სტუდენტობის მესამე კონფერენცია.

მასწავლებლობა დაეხმარება

(მოსახლეობის [illegible])

ყველა აღწერებში საალწერო პერსონალის ძირითადი კადრი ყოველთვის მასწავლებლობა იყო. ეს გასაგებიც არის.

აღწერის წარმატებით ჩატარების აუცილებელი პირობაა, რომ მოსახლეობა ნდობით შეხვდეს მას. ვის შეუძლია უზრუნველყოს ეს პირობები? ვინ იცნობს კარგათ სოფლის ჭირ-ვარამს?

რასაკვირველია მასწავლებლობა.

ამით აიხსნება სწორეთ ის გარემოება, რომ ყოველთვის ყველა აღწერების და გამოკვლევების დროს, ჩვენი სტატისტიკური ორგანოები უმთავრესად მასწავლებლობას მიმართავდნენ.

როცა მასწავლებელი აწარმოებს დაკითხვას, მაშინ გლეხმა კარგათ იცის, რომ მისი ჩვენება არ იქნება გამოყენებული გადასახადის აკრეფის მიზნით. ასეთი სულიერი განწყობილების შექმნას დიდი მნიშვნელობა აქვს აღწერისათვის.

ქალაქიდან ჩამოსულ პირს, რომელიც ადგილობრივ მდგომარეობას არ იცნობს, არასოდეს ისეთი ნდობით არ შეხვდება ხალხი, როგორც მასწავლებელს. ამის გარდა გარეშე ადამიანისთვის მეტად ძნელია ადგილობრივ პირობებში გარკვევა. ადგილობრივისათვის კი — ეს ადვილია,—რადგან ზეპირად იცის თავისი რაიონი. მომჭირნეობის რეჟიმის გატარება დაბეჯითებით მოითხოვს აღწერის საქმისათვის მოწვეულ იქნეს მასწავლებლობის ფართე მასები.

ქალაქიდან სოფელში წასულ პირს ჩვენ დღიურები უნდა ვაძლიოთ, მისთვის საჭიროა სათანადო ტანსაცმელი. მასწავლებლისათვის, რომელიც თავის რაიონში მუშაობს არ არის საჭირო დღიურები. მისთვის საკმარისი იქნება ხელფასის მიცემა.

ქალაქებში აღწერის წარმოება გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე სოფელში. ქალაქში ადვილად შეიძლება გამოცდილი ხალხის შოვნა და თვით მოსახლეობა უფრო შეგნებულია. სოფლად აღწერის ყოველთვის თანსდევდა დიდი სიძნელენი.

ძირითადი მასა, რომელიც აღწერილ უნდა იქნას საქართველოში, არის სოფლის მოსახლეობა, რომელიც საქართველოს საერთო მოსახლეობის 80 პროც. შეადგენს. მოთხოვნილება, რომელიც უნდა წაეყენოს და რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს საალწერო პერსონალის შტატი შემდეგია:

1. ფორმულიარების შევსების ცოდნა. ინსტრუქციების და წერა-კითხვის საკმაო ცოდნა.
2. საალწერო პერსონალის ავტორიტეტობა.
3. ადგილობრივ პირობების, მოსახლეობის ენის და გეოგრაფიის ცოდნა.
4. მუდმივი ბინადრობა იმ რაიონში, რომლის აღწერა ებარება მას. ყველა ამ მოთხოვნილებას მასწავლებელთა უმრავლესობა აკმაყოფილებს.

ამიტომ მასწავლებლობის გამოყენების საქმეს მომავალ აღწერაში განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდა ა.-კ. ც. ა. კ. და საქ. ც. ა. კ., რომელთაც დაადგინეს, რათა განთავისუფლებულ იქნენ მასწავლებლები 15-31 დეკემბრამდე, რომელნიც აღწერაში მონაწილეობას მიიღებენ. სწორეთ ამ მიზნით განათლების სახალხო კომისარიატმა რ. ს. ფ. ს. რ.-ში საზამთრო არდადეგების ვადა 15-31 დეკემბრ. დანიშნა.

საქართველოში სოფლად ჩვენ დაგვჭირდება სულ—2.600 რეგისტრატორი და 270 ინსტრუქტორი. პედაგოგიური პერსონალ-ს რაოდენობა სოფლად 5.000 მეტია. სწორეთ ამ მასწავლებელთა [illegible] იქნება აყვანილი აღმწერთა უმრავლესობა.

მოხსენებანი ადგილებიდან ცხადჰყოფენ რომ მასწავლებლობა ხალისიანად ეკიდება ამ საქმეს და ჩვენ იმედი გვაქვს რომ ის სრულიად შეგნებულად შეასრულებს თავის მოვალეობას.

ა. რუხაძე.

საით მივყევართ ოპოზიციის ეკონომიურ წინადადებებს

ოპოზიციის ეკონომიური ხასიათის წინადადებანი უფრო მკაფიო და ვრცლად ჩამოყალიბებულია ამხ. პრეობრაჟენსკის წერილებში, რომელიც გამოქვეყნდა „კომუნისტური აკადემიის მოამბე“-ში და „ბოლშევიკ“-ში. საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიური პოლიტიკის საკითხებში ოპოზიციის სხვადასხვა ნაწილები არ არიან ერთსულოვანნი, მაგრამ ამხ. პრეობრაჟენსკის თვალსაზრისი მათ შორის გაბატონებულად უნდა ჩაითვალოს. ამიტომ ამ წერილში ჩვენ უმთავრესად შევჩერდებით იმ ეკონომიურ წინადადებებზე, რომელთაც ამხ. პრეობრაჟენსკი აყენებს.

ამხ. პრეობრაჟენსკი თანამედროვე ოპოზიციონური ბლოკის ცნობილ ეკონომისტად ითვლება. რა და რა ღონისძიებათა გატარებას მოითხოვს ის საქონლის ნაკლებობის აღმოსაფხვრელად, სამეურნეო დაბრკოლებათა დასაძლევათ და ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპის ასაჩქარებლად? რაში მდგომარეობს ოპოზიციის ეკონომიური პოლიტიკის შინაარსი, რომელიც მას სურს თავზე მოახვიოს პარტიას და რაში ცდება ის? რატომ უარჰყო პარტიამ გადაჭრით ოპოზიციონერების ეკონომიური ხასიათის წინადადებანი? შევჩერდეთ ამ საკითხებზე.

პარტიის მე-14-ე ყრილობამ კურსი აიღო ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაზე, მისი (ქვეყნის) აგრარული ქვეყნიდან სამრეწველო-აგრარულ ქვეყნად გადაქცევაზე.

პარტია გადაუხვევლად მიდის ამ გზით, სძლევს ყოველგვარ დაბრკოლებებს. პარტიის ეკონომიური პოლიტიკა, მისი ყველა ღონისძიებანი მიმართული არიან იქითკენ, რომ განახორციელოს ეს უდიდესი და ძნელი ამოცანა—ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, ჩაიყოლიოს ამ საქმეში მუშების და გლეხების ფართო მასები. ახორციელებს რა ინდუსტრიალიზაციის ლოზუნგებს, პარტია არ ივიწყებს, რომ „მთავარი ეხლა ის არის, რომ წინ გავსწიოთ გაცილებით უფრო ფართო და ძლიერი მასით, უეჭველად გლეხობასთან ერთად, მას უნდა დაუმტკიცოთ საქმით, პრაქტიკით, გამოცდილებით, რომ ჩვენ ვსწავლობთ და ვისწავლით მის დახმარებას, მის წინ წაყვანას“. (ლენინი, საბოლოო სიტყვა პარტიის მე-11-ე ყრილობაზე).

ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია არ არის შორეული მომავლის ოცნება. პარტიის პოლიტიკამ უკვე მოგვცა ამ მხრივ საგრძნობი შედეგები. სოფლის მეურნეობის და მრეწველობის საქონლის შეფარდება თანდათან მცირდება მრეწველობის სასარგებლოდ. სოფლის მეურნეობის და მრეწველობის საქონლის მასის ხვედრი წონა პროცენტიულად შემდეგნაირად შეიცვალა:

	1923—24 წ.	1924—25 წ.	1925—26 წ.	1926—27 წ. (ვარაუდი)
სოფლის მეურნეობის	54,7	45,0	41,7	40,3
მრეწველობის	45,3	55,0	58,3	59,7

როგორც ვხედავთ, მრეწველობის ხვედრი წონა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობაში შეუჩერებლად იზრდება. სახელმწიფო მრეწველობა წინ უსწრობს. ეს ციფრები თვალსაჩინოთ მოწმობენ პარტიის ეკონომიური პოლიტიკის სისწორეს.

მაგრამ მრეწველობის განვითარების ასეთი ტემპი არ აკმაყოფილებთ „ზეინდუსტრიალისტებს“ ოპოზიციიდან. ისინი ილაშქრებენ პარტიის წინააღმდეგ და უსაყვედურებენ მას „უმცირესი მოგების“ და სისტემატიური „არასრული დაგროვების“ (недокопление) პოლიტიკას. ისინი, თითქოს, აკრიტიკებენ პარტიის ხაზს მარცხნიდან, მოითხოვენ ინდუსტრიალიზაციის და სოციალისტური დაგროვების უფრო ჩქარ ტემპს. ვნახოთ, რა შინაარსისაა ეს მოჩვენებითი „მემარცხენეობა“, რომელსაც ჩვენი „ზეინდუსტრიალისტები“ იჩენენ?

ამხ. პრეობრაჟენსკი მის მიერ წამოყენებულ ეკონომიურ ღონისძიებებს ჰყოფს ორ ნაწილად: „წმინდა კონიუნქტურულ ხასიათის ღონისძიებანი, რომელნიც მიღებული უნდა იქნენ უახლოეს დროისათვის, და ღონისძიებანი, „დაკავშირებულნი ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის საერთო ხაზთან გათვალისწინებულნი უფრო ხანგრძლივი დროისათვის“ („ბოლშევიკ“-ი № 6. 1926 წ.).

კონიუნქტურული, დროებითი ხასიათის ღონისძიებად ამხ. პრეობრაჟენსკი სთვლის: პირველი, გადასახადების გადიდებას კერძო მეურნეობაზე, რაც, რასაკვირველია, ყველაზე ძნელი განსახორციელებელია, და, მეორე, ტრესტების საბითუმო ფასების გადიდებას ფართო მოთხოვნილების საქონელზე, რომლის დიდი ნაკლებობაა და რომელზედაც ყველაზე უფრო მეტად ხელს ითბობს კერძო კაპიტალი“. (ხაზი ჩვენია ქ. ო.) ამ ღონისძიებათა განხორციელება ამხ. პრეობრაჟენსკის აზრით „ერთად-ერთი გამოსავალია“ ეხლანდელ სიძნელეებიდან.

ამხ. პრეობრაჟენსკი რეცეპტებს იძლევა მომავლისათვისაც, უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვისაც. ის ლაპარაკობს: „რაც შეეხება ხანგრძლივი ხასიათის ღონისძიებებს, აქ აუცილებლად ნათლად და მტკიცედ უნდა დავისახოთ ამოცანად დაგროვების ისეთი დონის მიღწევა სახელმწიფო მრეწველობაში, რომელიც უზრუნველყოფს წონასწორობას მთელს სამეურნეო სისტემაში. მომავალ სამეურნეო წლისათვის ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტი ისე უნდა შევადგინოთ, რომ უწინარეს ყოვლისა მრეწველობა უზრუნველყოფილი იქნეს საჭირო რესურსებით ახალი მშენებლობის იმ ნაწილში, რომელსაც თვით მრეწველობა ვერ უზრუნველყოფს თავისი საშუალებებით. ჩვენი ბიუჯეტი უნდა წარმოადგენდეს სოციალისტური სახელმწიფოს ბიუჯეტს, ე. ი. სოციალისტური დაგროვების ინტერესები პირველ რიგში უნდა იქნენ დაყენებული. გარდა ამისა, ჩვენ უნდა ვაწარმოოთ ტრესტების საბითუმო ფასების ისეთი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს სოციალისტურ დაგროვებას ამ გზით. მტკიცე ვალიუტის დროს ეს მოასწავებს ჯერ საბითუმო ფასების სტაბილიზაციას, ხოლო შემდეგში მათ ისე ფრთხილად დაკლებას, რაც არავითარ შემთხვევაში ხელს არ შეუშლის არც დაგროვების საჭირო პროპორციის მიღწევას, არც სამუშაო ხელფასის ზრდას. შემდეგ, ჩვენ აუცილებლად უნდა გადავსინჯოთ საგადასახადო დაბეგვრის სისტემა მისი გადიდების მიზნით და, პირველ ყოვლისა, უნდა გავადიდოთ სოფლის შეძლებულ ელემენტების დაბეგვრა. ამ თვალსაზრისით ფინსახკომის მიერ გათვალისწინებული რაოდენობა პირდაპირი გადასახადებისა უსათუოდ არ არის საკმარისი“ (იქვე).

ამრიგად, ამხ. პრეობრაჟენსკი აყენებს შემდეგ საკითხებს: 1. ბიუჯეტის წესით ფინანსების მიწოდება მრეწველობისათვის, 2) საგადასახადო პოლიტიკა, 3) ფასების პოლიტიკა. ამ საკითხებში ის არ ეთანხმება პარტიას. განვიხილოთ ამხ. პრეობრაჟენსკის მიერ დასახული საკითხები და ის ღონისძიებანი, რომელთაც ის იცავს.

1) საბიუჯეტო წესით ფინანსების მიწოდება მრეწველობისათვის

ამხ. პრეობრაჟენსკი მოითხოვს სახელმწიფო ბიუჯეტის ისე შედგენას, რომ პირველ რიგში დაყენებული იქნეს მრეწველობის მოთხოვნილება. ჩვენი ბიუჯეტი, მისი აზრით, სოციალისტურ სახელმწიფოს ბიუჯეტს უნდა წარმოადგენდეს. როგორ არის ჩვენში საბიუჯეტო წესით მრეწველობისათვის ფინანსების მიწოდების საქმე? მართლა გვავიწყდებოდა ბიუჯეტის შედგენის დროს მრეწველობის განვითარების ინტერესები? პარტია მართლა უშვებდა აქამდე ასეთ დანაშაულებრივ შეცდომას?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა მოვიყვანოთ ფაქტიური ცნობები ჩვენი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სექტორებისათვის ფინანსების მიწოდების შესახებ.

საბიუჯეტო წესით ფინანსების მიწოდება

	ათას მანეთებში (ჩერვ.)			
	1923—24 წ.	1924—25 წ.	1925—26 წ.	1926—27 წ. (ვარაუდი)
სოფლის მეურნეობას	56.095	147.248	159.001	125.000
მრეწველობას სამხ. მრეწ. ერთად	135.415	129.244	193.500	380.000
ელექტროფიკაციას	50.809	51.610	69.100	90.000
საბინაო აღმშენებლობას და კომუნალურ მეურნეობას	2.214	47.990	85.957	88.000
სულ	244.533	376.092	507.558	683.000

ეს ციფრები სავსებით უარყოფენ ამხ. პრეობრაჟენსკის მტკიცებას, თითქოს სახელმწიფო ბიუჯეტში მრეწველობის ინტერესები პირველ რიგში არ იდგეს და, თითქოს, ის, პრეობრაჟენსკი პირველი მიუთითებდეს ფინანსების ასეთი მიწოდების აუცილებლობაზე. როგორც ვხედავთ, საბიუჯეტო წესით ფინანსების მიწოდება მრეწველობისათვის ძალიან ჩქარი ტემპით ვითარდება არა მარტო აბსოლიუტურად, არამედ შეფარდებითაც, ე. ი. სოფლის მეურნეობასთან შედარებით (სახელმწიფო საგეგმო კომისიის საკონტროლო ციფრები).

პარტიის პოლიტიკა საბიუჯეტო წესით ფინანსების მიცემის დარგში იყო და რჩება სწორი. ის მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაზე აღებულ კურსთან, რომელიც პარტიის მე-14-ე ყრილობამ დასახა. ამხ. პრეობრაჟენსკის სულ ტყვილად ჰგონია, რომ ის აქ რამე ახალს ამბობს. მაგრამ ამხ. პრეობრაჟენსკის უნდა სთქვას რაიმე უფრო მეტი, ვინემ ჩვენში ხდება ამჟამად. მას უნდა სთქვას, რომ ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტი უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფო მრეწველობის ბიუჯეტს და არა მთელი სახალხო მეურნეობისა სოფლის მეურნეობასთან ერთად. თუ მოვიგონებთ ფინანსებზე „მრეწველობის დიქტატურის“ იდეას, რომელსაც რამოდენიმე წლის წინ ამხ. ტროცკი ქადაგებდა და რომელიც უარჰყო პარტიამ, ამხ. პრეობრაჟენსკის ეკონომიური „წინადადება“ ჩვენთვის ნათელი გახდება. არსებითად, ეს ეკონომიური „წინადადება“ შეიცავს გლეხობის ფართო მასების ინტერესების უყურადღებოდ დატოვებას, აგრეთვე სოფლის მეურნეობის განვითარების აუცილებლობის და მნიშვნელობის უყურადღებოდ დატოვებას. ამხ. პრეობრაჟენსკი აქ მხოლოდ იმეორებს ამხ. ტროცკის თვალსაზრისს, რომელიც პარტიამ დაგმო.

სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის დროს პირველ რიგში უნდა იდგეს მრეწველობის ინტერესები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სახელმწიფომ ფინანსების მიწოდება უნდა შეუწყვიტოს სოფლის მეურნეობას ან ასეთები მიაწოდოს მას უმნიშვნელო რაოდენობით. სხვანაირად რომ ვსთქვათ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი მხოლოდ სახელმწიფო მრეწველობის ბიუჯეტს წარმოადგენდეს. სოფლის მეურნეობის განვითარება აუცილებელია პირველ ყოვლისა თვით მრეწველობისათვის. სოფლის მეურნეობის ნედლეულის და საგლეხო ბაზრის გარეშე წარმოუდგენელია ჩვენი მრეწველობის შემდგომი, ოდნავ საგრძნობი წინსვლა. ოპოზიციონერები მხედველობიდან უშვებენ ამ კავშირს, ამ ურთიერთ დამოკიდებულებას სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის. შემდეგ. ოპოზიციონერების წინადადება მიმართულია მუშათა და გლეხთა ბლოკის წინააღმდეგ, ვინაიდან სოფლის მეურნეობის განვითარების შეფერხება, (როცა მრეწველობის განვითარება გაძლიერებით სწარმოებს, თუ ეს შესაძლებელია სოფლის მეურნეობის განუვითარებლად) გაამწვავებდა გლეხობის და მუშათა კლასის ურთიერთობას. ამიტომ, პარტია, გამოდის რა ეკონომიურ და პოლიტიკურ მოსაზრებებიდან, გადაჭრით უარჰყოფს ოპოზიციონერების წინადადებას, რომელიც მიმართულია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და მუშათა და გლეხთა ბლოკის ჩაშლისაკენ.

2. საგადასახადო პოლიტიკა

ეხლა თავი დავანებოთ სახელმწიფო მრეწველობისათვის ბიუჯეტის წესით ფინანსების მიწოდების საკითხს და გადავიდეთ გლეხობისა და კერძო კაპიტალის გადასახადით დაბეგვრის საკითხზე. ამხ. პრეობრაჟენსკი და სხვა ოპოზიციონერები წინადადებას იძლევიან, რომ მრეწველობისათვის ფინანსების მიწოდება უნდა გაძლიერდეს საგადასახადო შემოსავლის გადიდებით, გლეხობისა და კერძო კაპიტალის ახალი დამატებითი დაბეგვრით. განვიხილოთ ეს საკითხი უფრო დაწვრილებით.

ოპოზიცია ბრალს სდებს პარტიას იმაში, რომ საგადასახადო პოლიტიკა, რომელსაც ატარებს იგი, მოკლებულია კლასიურ სიმტკიცეს, რომ პარტია საკმაოდ არ ბეგრავს გლეხობას და კერძო კაპიტალს. ჩვენს გვერდით სდევს მილიარდი, ამბობდა ამხ. ზინოვიევი ერთ-ერთ მუშათა კრებაზე, და ცეკას არ სურს მისი აღება. ეს მილიარდი შეგვეძლო დაგვებანდებია მრეწველობაში და ამით გაგვეძლიერებია მისი განვითარების ტემპიო.

გამოდის, რომ თითქოს პარტია წინააღმდეგი იყოს კლასიური პრინციპის საგადასახადო პოლიტიკაში, თითქოს მას არ სურს დაბეგროს კერძო კაპიტალი და სოფლის შეძლებული ნაწილი და ამით ხელს უშლის ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეს. ოპოზიციის ამ მსჯელობიდან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ თითქოს მხოლოდ ამხ. ზინოვიევი, პრეობრაჟენსკი, პიატაკოვი და სხ. არიან ნამდვილი ინდუსტრიალისტები, მაშინ როდესაც ცეკა და პარტია აბრკოლებს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეს.

როგორ სდგას საკითხი საგადასახადო პოლიტიკის შესახებ? მართლა უარჰყოფს პარტია საგადასახადო დაბეგვრის კლასიურ პრინციპს?

ოპოზიციის ბრალდება ცილისწამებაა პარტიის წინააღმდეგ. თუ ვინმე მართლაც უარჰყოფს დაბეგვრის კლასიურ პრინციპს,—ესენი არიან ოპოზიციონერები. განა ამხ. პრეობრაჟენსკი არ იძლეოდა ამას წინედ წინადადებას, რომ წვრილბურჟუაზიულ მწარმოებლებისაგან (ე. ი. კულაკებისაგანაც, საშუალო შეძლებისაგანაც და ღარიბი გლეხებისაგანაც) უნდა აგვეღოთ მეტი, ვიდრე კაპიტალიზმი იღებდა?.. განა ამხ. პრეობრაჟენსკი არ მოითხოვდა ფასების ისეთ პოლიტიკას, რომელიც დამყარებული იქნებოდა „ყოველგვარი სახეობის კერძო მეურნეობის ექსპლოატაციაზე“? („Вестник Ком. Акад. № 8, გვ. 79). სადაა აქ კლასიური პრინციპი, რომლის შესახებაც ასე გაჰკივიან ოპოზიციონერები? სადაა აქ ნამდვილი პროლეტარული პოლიტიკა? სწორედ ოპოზიციონერები აერთიანებენ ერთ ჯგუფში ყველა წვრილბურჟუაზიულ მწარმოებლებს და არავითარ განსხვავებას არ ატარებენ მის ცალკე ფენებს შორის; სწორედ ოპოზიციონერები მოითხოვენ პრინციპიალურად საერთო ხაზს მთელი კერძო წარმოების მიმართ, რომლის წინააღმდეგაც პარტია გადაჭრით ილაშქრებდა. მაშასადამე, უპრინციპო მეყვირალებს და მემარცხენე ფრაზის გმირებს არ აქვთ უფლება განგაში ასტეხონ იმაზე, რომ თითქოს პარტიის საგადასახადო პოლიტიკა კლასიურად მტკიცე არ იყოს.

ჩვენი პარტია არა მარტო ლაპარაკობს ამ კლასიური პრინციპის აუცილებლობის შესახებ, არამედ იგი გადაჭრით ატარებს მას ცხოვრებაში. მიმდინარე წელს „გადასახადისაგან თავისუფლდება გლეხთა მეურნეობის არა ნაკლებ 20 პროცენტისა; 1925-26 წელთან შედარებით შემცირებულია გადასახადი საშუალო შეძლების გლეხთა მეურნეობის ჯგუფებისათვის, რომელთა ხვედრი წონა მთელი გლეხობის მეურნეობათა 45 პროცენტს შეადგენს; რჩება წარსული წლის საგადასახადო ბეგარა საშუალო შეძლების მეურნეობათა იმ ჯგუფისათვის, რომლის წლიური შემოსავალი სულზე შეადგენს 50-დან 70 მანეთამდე; ასეთი მეურნეობანი 20 პროცენტს შეადგენენ. დაბოლოს საგრძნობლად ძლიერდება დაბეგვრის სიმძიმე უფრო მაგარ საშუალო შეძლებისა და განსაკუთრებით კულაკურ მეურნეობათათვის. ამ ჯგუფის ხვედრი წონა 15 პროც. შეადგენს. მეურნეობათა ეს 15 პროც., რომელსაც აქვს 25 პროც.-ამდე დასაბეგრი შემოსავალი, იხდის გადასახადის 47 პროცენტს, ე. ი. თითქმის 150 მილ. მანეთს. რომ უფრო ნათელი იყოს საკითხი, აღვნიშნოთ, რომ დასაბეგრი შემოსავალი არსებითად გლეხური მეურნეობის მთელ შემოსავალს ეწოდება, იმ ნაწილის გამოკლებით, რომელიც საჭიროა ოჯახისა და საქონლის გამოსაკვებად. დაბოლოს, თუ გლეხობის ზედაფენების მეტ შემოსავლიანობას გამოვააშკარავებთ, მაშინ თვით დაბეგვრის პროგრესიაში, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ტექნიკაში ეს ჰპოვებს გამოხატულებას სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თანხის სათანადო მომატებაში“ (ამხ. პოლიუდოვის წერილი, „პრავდა“ 5 ოქტომბერი, 1926 წელი).

რომ ოპოზიციონერები მხოლოდ მყვირალები და მემარცხენე ფრაზის გმირები არიან, ეს შეიძლება იმითაც დამტკიცდეს, რომ მათ ცაკის სესიაზე სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საკითხის განხილვის დროს არც ერთი კონკრეტიული წინადადება არ შეიტანეს.

ეხლა ვნახოთ, როგორ ტარდება კლასიური პრინციპი გადასახადის დანარჩენ გადამხდელთა მიმართ. ციფრები პროგრესიულ საშემოსავლო გადასახადის გადამხდელთა შესახებ 1925-26 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში, შემდეგ სურათს გვიხატავენ: „გადამხდელთა ძირითადი მასა (89,8 პროც.) ეკუთვნის გადამხდელთა იმ ჯგუფს, რომელთა წლიური შემოსავალი 3.200 მან. უდრის. მათ ხელში, დაახლოვებით, გადასახადის გადამხდელთა მთელი აღრიცხული შემოსავლის საერთო თანხის ორი მესამედი (64,8 პროც.) გადასახადის გადამხდელთა ეს ძირითადი მასა იძლევა მთელი აღრიცხული გადასახადის 35,1 პროცენტს. გადასახადის გადამხდელთა უმაღლესი ჯგუფი კი (რომელთა წლიური შემოსავალი 6 ათას მან. და მეტს უდრის) შეადგენს გადამხდელთა 3.2 პროცენტს; მას აქვს მთელი აღრიცხული შემოსავლის 19,5 პროც. და მთელი საშემოსავლო გადასახადის 46,4 პროცენტს იხდის... რაც გინდათ ის შეგიძლიათ უსაყვედუროთ ამ არსებულ პროგრესიას, მაგრამ არა ის, რომ იგი ამრუდებს კლასიური პოლიტიკის ხაზს“ (სტალინი).

როგორც ვხედავთ, ოპოზიციონერების მტკიცება იმის შესახებ, რომ დაცული არაა საგადასახადო დაბეგვრის კლასიური პრინციპი,—ყალბ დემაგოგიას წარმოადგენს.

საგადასახადო შემოსავლის (პირდაპირი და არა პირდაპირი) საერთო თანხა სახელმწიფო ბიუჯეტით 1926-27 წელში შეადგენს 2.250 მილ. მან., მაშინ როდესაც 1925-26 წელში იყო 1.860 მილ. მანეთი.

გადასახადების გადიდება მიმდინარე წელში წარსულ წელთან შედარებით ამგვარად შეადგენს 390 მილ. მან. (სახელმწიფო ბიუჯეტით); იზრდება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი გადასახადები. „ძალიან ნაკლები იმედი შეიძლება ვიქონიოთ იმისა, რომ ამაზე მეტი ტემპით და რაოდენობით მივაწოდოთ ფინანსები ჩვენ მრეწველობას და სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის მრავალგვარ გადაუდებელ მოთხოვნილებებს საგადასახადო შემოსავლის გადიდებით“. (იქვე). მაგრამ ოპოზიცია მოითხოვს, რომ კიდევ უფრო გავაძლიეროთ საგადასახადო ბეგარა. თუმცა ისინი არავითარ კონკრეტიულ წინადადებებს არ იძლევიან, არავითარ ციფრებს არ ასახელებენ.

პროგრესიულ შემოსავლის კვალობაზე გადასახადის სისტემა მოგვცემს შესაძლებლობას, რომ წლიდან-წლამდე გავადიდოთ გადასახადების მიღება შემოსავლის გადიდების მიხედვით. გადასახადების ხელ-აღებით გადიდება, როგორც ამას გვეუბნება ოპოზიცია, იქნებოდა სრული სიბეცე და ეკონომიური უმეცრება. ასეთივე მომატება მიმდინარე წელში მომავალ წელში გადასახადების ნაკლებ თანხას მოგვცემდა, ვინაიდან ასეთი საგადასახადო პოლიტიკის დროს მხედველობაში არ იქნებოდა მიღებული გადასახადის გადამხდელთა შემოსავლიანობა.

ამგვარად, ოპოზიციამ, რომელიც სრულიად უმართებულოდ სდებდა ბრალს პარტიას საგადასახადო პოლიტიკის საკითხში და ამბობდა, რომ ეს პოლიტიკა მოკლებულია კლასიურ სიმტკიცეს, ვერავითარი დადებითი პროგრამა ვერ წამოაყენა.

ქ. ორაგველიძე.

(დასასრული იქნება)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული
ყოფილ მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილების ორგანო

ახალგზელი

ქ. სულაქველიძის რედაქტორობით

კვირა 14 ნოემბერი 1926 წ. გაზ. „კომუნისტი"-ს ორკვირეული დამატება № 23.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტი ყურადღება ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტებს

ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია ჩვენში საკმაოდ მძლავრი მასიური ორგანიზაცია იყო, რომელიც უმთავრესად მოწავლე ახალგაზრდობას აერთიანებდა და ს.-დ. პარტიის იდეურ გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ორგანიზაციის მიზანი იყო მარქსიზმის შესწავლა-შეთვისება და მისი პრაქტიკაში გატარება. მენშევიკების ბატონობის დროს ახალგაზრდა მარქსისტები დიდ დახმარებას უწევდენ არსებულ ხელისუფლებას და ისინი მენშევიკებთან ერთად, ივიწყებენ რა მარქსიზმს, სდგებიან აშკარა ნაციონალისტურ პოლიტიკის ნიადაგზე და საქ. გასაბჭოების შემდეგ აწარმოებენ აქტიურ არალეგალურ მუშაობას მუშურ-გლეხური ხელისუფლების წინააღმდეგ.

შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ახალგაზრდა მარქსისტებს რევოლიუციამ მოუსწრო ისეთ მომენტში, როცა მათ მთლიანი, ჩამოყალიბებული ორგანიზაცია და მსოფლმხედველობა არც კი გააჩნდათ, ისე ჩაებენ პრაქტიკულ საქმიანობაში და როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა, ისინი ინერციით განაგრძობდენ ძველ მოლიპულ გზაზე სვლას. საჭირო შეიქნა რაღაც მნიშვნელოვანი ქარტეხილი, რომელიც მათში მძლავრ გარდატეხას მოახდენდა და ბურანისაგან გამოარკვევდა. აგვისტოს სისხლიანმა დღეებმა ბევრს თვალი აუხილა. მართალია, ახალგ. მარქსისტ. ფხიზელმა ნაწილმა აღრე აუღო ალღო საბჭოთა წყობილებას, თავი დაანება არალეგალურ მუშაობას და კომუნისტებს ამოუდგა გვერდში, მაგრამ ასეთების რიცხვი მცირედი იყო. ამ მოძრაობას მასიური ხასიათი მხოლოთ 1924 წ-დან ეძლევა.

აქა-იქ კიდევ დარჩენ უკმაყოფილო ელემენტები, რომ მუშურ-გლეხურმა მთავრობამ მათ „აწყენინა". ისინი დღემდის გაბუტული დადიან. ზოგიც შეიპყრო აპოლიტიზმმა, მიანება თავი ყველაფერს და მხოლოთ საკუთარი ცხოვრების მოწესრიგებაზე ზრუნავს.

ერთი აშკარაა: ახალგაზრდა მარქსისტებმა ვერ გაამართლეს თავისი სახელწოდება—„მარქსისტები" მაშინ, როცა ეს ყველაზე მეტად მოითხოვა შექმნილმა პირობებმა. იმის მაგიერ, რომ ობიექტიურად შეეფასებიათ შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობა, პირადი სიმპატია-ანტიპატიის ნიადაგზე დადგენ და მით ასცდენ ჭეშმარიტ რევოლიუციონურ-მარქსისტულ გზას. პროლეტარული რევოლიუციის ქარიშხალმა ნათელჰყო, რომ ყველა ისინი, ვინც გაიძახიან სოციალისტობაზე და სოციალიზმზე, არ არიან ნამდვილი რევოლიუციონერები, არ არიან მუშათა კლასის ნამდვილი მეგობრები. ამიტომ იყო, რომ წვრილბურჟუაზიული, მეშჩანური პსიქოლოგიის მატარებელი „სოციალისტები" ჩამოშორდენ სოციალისტურ საქმიანობას. აქ მოხდა გამიჯვნა ყალბ და ნამდვილ სოციალისტებს შორის.

მაგრამ იმის თქმა, თითქოს ყველა ახალგაზრდა მარქსისტი, რომლებიც აქამდე არ მისულან კომუნიზმის წითელ ლაშქართან. საბოლოოთ დღუპულნი და დაკარგული იყოს ჩვენთვის, არ შეიძლება. ბევრი, ძლიერ ბევრი წამოეგო პროვოკაციის ანკესზე. საქართველოში მენშევიკები მრავალ რიცხოვან პარტიას წარმოადგენდენ, ამიტომ მათი უარყოფითი გავლენა ახალგაზრდობაზე დიდი იყო გასაბჭოების შემდეგაც, მენშევიკების თანდათან შესუსტებამ შეასუსტა მათი გავლენაც ახალგაზრდობაზე და საკმაოდ მომზადდა ნიადაგი იმისთვის, რომ ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტებში ფართო მუშაობა ვაწარმოვოთ და შესაფერი შედეგებიც მივიღოთ. ის შემთხვევითი მოხსენებები, რომლებიც აქამდე კეთდებოდა ყოფ. ახ. მარქსისტებს შორის, ნათლად ამტკიცებს, რომ ნიადაგი მომზადებულია, საქმის გაკეთება შეიძლება, მაგრამ, სამწუხაროთ, დღემდის მათ შორის მუშაობა ვერ გაძლიერდა. ბევრია გულწრფელი მებრძოლი, რევოლიუციონერი, მშრომელი ხალხისათვის თავდადებული, მაგრამ დაბნეულია, გამოურკვეველია, არ იცის საით წავიდეს, არ იცის რა ქნას, ასეთ პირობებში ხშირად მშრომელი ხალხის სახელით კონტრ-რევოლიუციონურ მუშაობაში ფლანგავს თავის ენერგიას.

ასეთ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად ერთად ერთი გზაა ყოფ. ახ. მარქსისტებში მუშაობის გაცხოველება, რომელიც თავს უნდა იდვას ცეკასთან არსებულ. ყოფ. მენ. შორის მომუშავე ქ.-განყოფილებამ. დღემდის განყოფილების მუშაობა სწარმოებდა მოზრდილებში. ახალგაზრდობაში კი ძლიერ მკრთალად მიმდინარეობდა. ამ ბოლო დროს ამ მივიწყებულ ფრონტს მიექცა სერიოზული ყურადღება. შესდგა ყოფ. ახ. მარქსისტთა შორის მომუშავეთა ბიურო რომელიც, უკვე შეუდგა მუშაობას, შეიმუშავა სამოქმედო გეგმა და ამ დღეებში დაიწყება კამპანია ყოფ. ახალ. მარქ. შორის პროპაგანდა-აგიტაციის ჩასატარებლად. მოწვეულ იქნება კრებები, სადაც განუმარტავენ ახალგაზრდებს ყველა იმ გაურკვეველ და „წყეულ" კითხვებს, რომლებიც მათ მოსვენებას არ აძლევს და გზას უბნევს. ყველა სამაზრო ყოფ. მენ. შორის მომუშავე კომისიებმა უნდა მიბაძონ ცეკას ქ.-განყოფილების მაგალითს და სამაზრო ცენტრებში შექმნან ახ. მარქს. შორის მომუშავე ბიუროები და გააჩაღონ მთელ მაზრაში მუშაობა. ახლა პირველად ეწყობა ფართო კამპანია ყოფ. ახ. მარქსისტებს შორის, რომელიც, ჩვენი ღრმა რწმენით, დიდ შედეგებს მოგვცემს: ის გამოაფხიზლებს, გამოარკვევს ბევრ გზა-აბნეულ ახალგაზრდას და მათ კომუნისტურ პარტიასთან ერთად სოციალისტურ აღმშენებლობის ფერხულში ჩააბამს.

პასუხად მენშევიკურ დონ-კიხოტებს

საზღვარგარეთის ქართველ მენშევიკების ორგანოში, ნაცარქექია „მებრძოლში" ერთობ დიდ კორიანტელს აყენებენ.

საბრალონი!.. კარგა ხანია ისინი დაშორდენ საღ მსჯელობას, დაჰკარგეს უნარი სინამდვილის ელემენტარული გარკვევა-შემეცნებისა, და, დავარდნილნი ქადაგათ, ღრმად ჩაფლულნი დაწვრილმანების და დაკნინების ჭაობში, განაგრძობენ სულის ღაფვას (პოლიტიკურად და იდეოლოგიურად) და შემოდგომის ბუზებივით იკბინებიან. მაგრამ, მათი საკბენი ორგანო ძალზე მოშლილია და ამიტომაც მათი საკბილო საგანი ყოველთვის უვნებლად რჩება.

ეს საბრალო ხალხი მსჯელობას, იდეას, პრინციპს არ დაგიდევენ. მათთვის ყველაფერი ეს ამჟამად ზედმეტ ბარგად გადაქცეულა.

პოლიტიკურად და იდეურად გაკოტრებულებს მხოლოდ ერთი და დარჩენიათ: თავის მოწინააღმდეგეს ლაფი ესროლონ, ქუჩურ ლანძღვა-გინებით გაუმასპინძლდენ, და ამით დაიკმაყოფილონ თავიანთი შეურაცყოფილი პარტიული თავმოყვარეობა.

აი, მათი უსაფუძვლო ლანძღვის მაგალითიც. ამხ. ქ. სულაქველიძე საბჭოთა ხელისუფლებამ დაატუსაღა ბათომში იმ დროს, როდესაც ის ს.-დემოკრატიულ ემიგრაციის დავალებით, არალეგალურად ჩამოსული, ეწეოდა მენშევიკურ ორგანიზაციების აღდგენისათვის მუშაობას. როცა ეს ამბავი მოვიდა პარიზში, რამიშვილისტებმა თავიანთ ჟურნალში დასწერეს შემდეგი:

„ბოლშევიკებმა დაატუსაღეს ჩვენი ძველი ამხანაგი, ბრძოლაში გამობრძმედილი ცნობილი ს.-დ. და რევოლიუციონერი ქ. სულაქველიძე"-ო.

მაგრამ, გავის დრო ამხ. სულაქველიძე იდეურ გარდატეხას განიცდის—საბჭოთა წყობილებას სცნობს, ამ წყობილების სასარგებლოდ მუშაობას აჩაღებს და პროლეტარიატის დიქტატურის დამცველად გამოდის. როდესაც პარიზში მივიდა ეს ცნობა, მენშევიკური ემიგრაცია დიდ არევ-დარევას განიცდის რამიშვილის ჟურნალის მორიგ ნომერში ვკითხულობთ: „ქ. სულაქველიძე ჩაეფლა მაღალ წუმპეში, ის გატყდა, დაეცა.. თუმცა, უნდა ითქვას სიმართლე, ის **არასდროს რევოლიუციონერი არ ყოფილა** და მუდამ ჟამს, როცა პარტია გასაჭირში იყო, სულ განზე იდგა"-ო.

აი, ერთი ნიმუშთაგანი მენშევიკური ბელადების თვალთმაქცობისა და უსინდისობისა.

ქ. სულაქველიძე ცნობილი რევოლიუციონერია, როცა მათთან (მენშევიკებთან) არის;

იგივე კაცი არაფერია, როცა მენშევიზმს სტოვებს და მართლაც რევოლიუციონერდება ე. ი. კომუნისტი ხდება.

აი როგორ დაავიწყდა რამიშვილ-ჟორდანიებს უბრალო კეთილსინდისიერების ანბანიც კი!

ახლა იკითხეთ, რას სწერენ ისინი ჩემს შესახებ?

„ა. ხელაძე სთხზავს და სთხზავს ჭორებს პარიზის ს.-დემოკრატიულ ემიგრაციაზე, თუმცაღა ის არას დროს მისი წევრი არ ყოფილაო... ამ ბოლო დროს ამ ვაჟბატონმა დიდებული მკვდარიც არ დაინდო, და ისიც თავის ჭორიკანობის საგნათ გახადაო: კ. ჩხეიძეს პენსია მოუსპეს, მას სდევნიდენო" და სხვა...

„ეს ვაჟბატონი მუდამ ხეპრე იყო, ამიტომ მუდამ სდუმდა. ასეთია რენეგატების თვისება. რენეგატები თავის არშინით ზომავენ ყველას, ისინი შეუდგენ ახალი პენსიის ძებნას, როცა ძველი პენსია მოესპოთ, და კიდეც მონახესო"...

კარგი და პატიოსანი!

რომელ პენსიაზე ლაპარაკობთ, ბატონებო? დამისახელეთ თუ გინდ პირადათ მე—სად ან როდის ვღებულობდი პენსიას? მაქვს ოდესმე მიღებული ემიგრაციაში ყოფნის დროს გროში კაპეიკი მენშევიკური მთავრობიდან ან სხვა დაწესებულებიდან?

ანდა, შეიძლება, ოდესმე ვთხოულობდი ამის მზგავსს რაიმეს; მაშინ, როდესაც ყოფილი მთავრობის და ნ. რამიშვილის დამქაშები ინაწილებდენ ევროპაში გატაცებულ ქართველი ხალხის ნაამაგარ ოქრო-ვერცხლს და პენსიებით სცხოვრობდენ და ეხლაც ცხოვრობენ, ალ. ხელაძე მუდამ შორს იდგა ამ პენსიებიდან.

აბა გაბედონ რამიშვილებმა და გამოაქვეყნონ თუ გინდ ერთი დოკუმენტიც, **რომელიც ამტკიცებდეს არა თუ პენსიის მიღებას, არამედ ჩემი მხრივ მის მისაღებად უბრალო თხოვნასაც კი.**

არა ბატონებო, მე არასოდეს პენსიებით არ მიცხოვრია, მე აქაც საქართველოში და იქაც—ემიგრაციაში ჩემი შრომით ვცხოვრობდი, გონებრივათ ვმუშაობდი, ვსწავლობდი და როგორც მოსწავლე არა რაიმე შავ-ბნელი საქმისათვის სტიპენდიას ვიღებდი ჩეხიის მთავრობიდან, მაგრამ ასეთ სტიპენდიას, ხომ ყველა იღებდა, ვისაც შრომის უნარი ჰქონდა?! რაც შეეხება პენსიონერებს, ეს ეძიეთ თქვენს ფუქსავატ-გალაზღანდარებულ მომხრეებში, რომლებიც პარაზიტულად ატარებენ თავის ყოფა-ცხოვრებას ემიგრაციაში და სტკეპნიან რა პრაღის ქუჩებს (ჩეხია) გაიძახიან: „ჩვენ დამფუძნებელი კრების წევრები ვიყავით, ჩვენ გენერალ-გუბერნატორები ვიყავით და მრავალი სხვა და როგორც ასეთები უნდა მუქთათ ვიცხოვროთო". ცხოვრობენ კიდეც... ბურჟუაზიულ ევროპა მათ აძლევს სახრავ ძვალს... ეს ცოცხალი ლეშნი დღეს დიდი პატრიოტებია ნ. რამიშვილის ავანტიურისტული ჯგუფების და უპირველესი მომხრენი საქართველოში სამოქალაქო ომის გაჩაღებისა მშრომელ მასსებს შორის. ამ საზიზღარი საქმისათვის სწორედ ნ. რამიშვილის პენსია და წყალობა არ აკლიათ ამ გადაგვარებულ ხალხს. სწორედ ეს პენსიონერები არიან მის ალა-პატრონის, ნ. რამიშვილის შემყურენი და მისი სურვილების ბრმა გამტარებელნი ოღონდ პენსიას ნუ წაართმევს რამიშვილი და საქართველოში თუგინდ ქვა-ქვაზე ნუ დარჩენილა, მათ ეს არ ენაღვლებათ.

აბა სცადოს და დაამტკიცოს მენშევიკურმა ორგანომ, რომ მე აქ სინამდვილეს არ ვლაპარაკობ! მაშინ მე იძულებული ვიქნები გაზეთის ფურცლებზე გამოვაქვეყნო ის „მოღვაწენი", რომლებიც პენსიებით არჩენიათ სცხოვრობენ—(ჩეხიაში და სხვაგან).

მენშევიკური ჟურნალი გაიძახის: „ეს ვაჟბატონი (ა. ხელაძე) არას დროს ს.-დ. **ფრაქციის წევრი არ ყოფილაო**". მე კი ვაცხადებ, რომ დღიდან ჩემი ჩასვლისა ემიგრაციაში (ჩეხიაში), მე გახლდით **არა თუ ს.-დ. ფრაქციის წევრი, არამედ სოც.-დემოკრატ. ორგანიზაციის თავმჯდომარეც.** და ეს იმ დროს, როდესაც ჩეხიის ორგანიზაციის წევრები იყვნენ ისეთი ძველი, დამსახურებული ს.-დემოკრატები, როგორიც არიან გ. ურატაძე, ა. ემუხვარი, კ. ჭუმბურიძე, ფ. ლორია, ვ. ჟღენტი და მრავალი სხვა.

ფიზიკურად ძლიერ დავიღალე (ვინაიდან ჩემი პირადი მეცადინეობა და თან ავადმყოფობა ბევრს ჩემს ენერგიას ძთხოვდენ) და დაჟინებით რამოდენიმე თვის განმავლობაში ვთხოულობდი განთავისუფლებას ორგანიზაციის მუშაობიდან. პრაღის ს.-დ. ორგანიზაციამ დიდის ვაი-ვაგლახით გამათავისუფლა თავმჯდომარეობიდან. მაგრამ რამოდენიმე თვის შემდეგ პარტიული დისციპლინით დამაკისრა მეორე დიდი მოვალეობა: გამგზავნა **ჩეხიის ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციის თავმჯდომარეთ** და ამ თანამდებობაზე უკანასკნელ დრომდის დავრჩი.

კითხვა ისმის: თუ მართლა ასეთი ხეპრე, უვიცი და „უხეში" ვიყავი—რათ დამავალა ემიგრაციის შტაბმა ევროპაში ასეთი საპასუხისმგებლო მოვალეობის შესრულება, როგორიცაა: ემიგრაციის პროფესიონალური, კულტურული, ეკონომიური და პოლიტიკური ხელმძღვანელობა? ეს იმ დროს, როდესაც ემიგრაცია სავსე იყო ღენერალ სოციალ-დემოკრატებით (მხოლოდ ჯარისკაცებს ჰყავთ ცოტა) აბა უარჰყონ ბ-ნ რამიშვილებმა, რომ მე ეს თანამდებობები ევროპაში არ მეჭირა?

მე, რასაკვირველია, არ მსურდა ამ საგანზე ლაპარაკი და ამას ისიც ამტკიცებს, რომ ჩემს წერილებში როგორც ევროპაში, ისე აქ, სამშობლოში არას დროს ასეთ წვრილმან საკითხებს არ ვეხებოდი და არც ლანძღვა-გინებით ვიხსენიებდი ჩემ ყოფილ ამხანაგებს.

მე მხოლოდ პრინციპიალურ საკითხებზე ვეკამათებოდი მათ. მაგრამ მათ არ დაინდვეს ჩემი კეთილსინდისიერი პრინციპიალური შეხედულებანი და დაიწყეს ჩემი უშვერი ლანძღვა-გინება. ამიტომაც ვსცანი საჭიროდ გამეხსნენებია ზოგიერთი ფაქტები.

მენშევიკები სწერენ: „ალფესმა არ დაინდო დიდებული მკვდარიც (კ. ჩხეიძე) და ისიც გაჭორაო"...

უნდა მოგახსენოთ, რომ ჭორი და ლანძღვა-გინება ამ პუბლიცისტების ხელობაა. მე, მხოლოდ ფაქტი აღვნიშნე კ. ჩხეიძის შესახებ და ვსთქვი, რომ კარლომ არ გაიზიარა ავანტიურის პოლიტიკა. მან გააკრიტიკა ეს პოლიტიკა:

„მტერი ვერ უსურვებდა ამაზე უარესს ჩვენ ხალხს, რაც ჩვენ მას მოუმზადეთო... დიქტატურამდი მიიყვანა ჩვენი პარტია ამ მარცხამდისო... უნდა ვთხრათ ხალხს სიმართლე, რომ ჩვენ არაინ გვეხმარება და სხვა". (კარლოს სიტყვებია).

აი, ამ კრიტიკამ გააცხარა ნ. რამიშვილი და მისი კამპანია და განსვენებულ მოხუცის გასაგონათ ფრაქციის სხდომაზე იძა- [illegible] დაბერდა გამოჩერჩეტდა და ამისთვის ჭკუა ეხლა აღარ ეკითხებაო". როგორ გგონიათ ბატონებო, მე ვაყენებ კარლო ჩხეიძეს შეურაცყოფას თუ თქვენ? თქვენმა პოლიტიკამ სამარის კარებამდის მიიყვანა ეს ერთხელ მართლაც ცნობილი რევოლიუციონერი! გაბედეთ და გამოაქვეყნეთ იმ წერილის შინაარსი, რომელიც კარლომ დასტოვა თვიმკვლელობის წინ ი. წერეთლის სახელზე.

გარდა ზემოთ ნათქვამისა საჭიროთ მიმაჩნია გავიხსენო ერთი ფაქტიც, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ ემიგრაციის რყევა და იდეური რევიზია დაიწყო კიდევ 1922 წ. ქ. ბერლინში. ამის შესახებ **მწერდა თვით ნოე რამიშვილი.**

ბევრი მხრით საყურადღებოა ნ. რამიშვილის წერილი, მაგრამ მე ორიოდე კითხვაზე შევჩერდები. **პირველი—ეს გახლავთ ის, რომ კიდევ 1922 წ. ბერლინის** ემიგრაციაში დაისვა კითხვა განვლილი გზის და იდეური პოზიციის გადასინჯვისა. ამ მიმართულებას მაშინ ხელმძღვანელობდა გ. ერაძე. ეს საკითხი იმ დროს ძლიერ ვიწრო წრეში იდგა, მაგრამ იდგა მკაფიოთ და აი ნ. რამიშვილს სწორედ ეს გარემოება უფრთხობდა ძილს. ამიტომაც იყო, რომ მეც მთხოვდა „სმენავეხელები" დამეტუქსა... და უნდა გამოვტყდე: ნ. რამიშვილს მაშინ ამ საქმეში მე შეძლებისდაგვარად შეუწყვე ხელი...

მეორე მხრივ, ნ. რამიშვილის წინასწარმეტყველობა და მეგობრული სურვილები იმის შესახებ, რომ ევროპაში ცოდნა-გამოცდილებას მივიღებდი და სამშობლოში უკეთ შეიარაღებული დავბრუნდებოდი—ეს წინასწარმეტყველობა ნაწილობრძვათ გავამართლე. დიახ 4 წლის სწავლის შემდეგ დავბრუნდი საქართველოში, მაგრამ არა ისე როგორც ამას ნ. რამიშვილი ფიქრობდა, არამედ სულ სხვა მიზნით.

ევროპის სოციალ-დემოკრატიის ყოფა-ცხოვრებამ—მისმა პოლიტიკამ ერთის მხრით, მეორე მხრით ქართული მენშევიზმის და მსოფლიო რეაქციის გამარჯვებაზე მისი ორიენტაციის აღებამ—და მესამე, კომუნისტური პარტიის თეორიის და პრაქტიკის შესწავლამ, უეჭველია, გასტეხა ჩემი ძველი მსოფლმხედველობის ხაზი და მიმიყვანა კომუნისტურ ოჯახში. ეს ჩემი ახალი პოზიცია მე უკვე დავასაბუთე ჩემს წერილებში კიდევ ევროპაში ყოფნის დროს.

მე, „ძვირფასი" ალფესი ვიყავი, როცა ნ. რამიშვილთან ვმუშაობდი. ეხლა კი, თქვენის აზრით, საძაგელი და ხეპრე გავხდი, როცა თქვენთან აღარ ვმუშაობ?!

დიე, ვიყო თქვენთვის საძაგელი,—მხოლოდ მშრომელი კლასისა და რევოლიუციისათვის გამოსადეგი!

ალფესი ხელაძე.

ნოე რამიშვილის წერილიდან ამხ. ხელაძისადმი



30/XII. 1922 წ.

30 დეკემ. 1922 წ.

ძვირფასო ამხანაგო ალფეს! გულითადი სალამი.

მე სიამოვნებით გიგონებდი ხშირად იმ ამხანაგთა შორის, რომელთაც ბოლშევიზმის ბუნება თავიდანვე შეიგნეს. ამათში იყვნენ პროფესიონალური მოძრაობის ზოგიერთი ხელმძღვანელები და პირველ ყოვლისა შენ.

მეგობრული სალამით ნოე რამიშვილი.

ევროპა, ოქტომბერი, დელეგაციები

III*)

საბჭოთა კავშირში ორგვარი დელეგაციები მოდიან: მუშების და ბურჟუაზიის. ბურჟუაზია, ასე ვთქვათ, ჩუმათ, წყნარად, უხმაუროდ მოდის და საბჭოთა ეკონომიურ ვითარებას ეცნობა. რატომ ხდება, რომ ბურჟუაზია ფეხაკრეფით შემოდის, პროლეტარიატი კი ექვნებს არაწკუნებს? შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ეს ბურჟუაზიის სიდინჯით და პროლეტარიატის სიმჩატით, მყვირალობით აიხსნება. სრულებითაც არა. საქმე შემდეგშია: როდესაც ბურჟუაზიის წარმომადგენლები მოდიან, მათ არ ეწინააღმდეგებიან, მათი წამოსვლა მთელი ბურჟუაზიის სურვილია, ისინი თავიანთ მთავრობების ლოცვა-კურთხევით მოდიან, მათ არც პროლეტარიატი ეწინააღმდეგება.

ეხლა ვნახოთ, რა პირობებში უხდება მუშათა დელეგაციებს წამოსვლა. მათ წამოსვლას, რაღა თქმა უნდა ბურჟუაზია ეწინააღმდეგება, მუშა-დელეგატებს სამუშაოდან დათხოვნით ემუქრებიან და ითხოვენ კიდეც. მთავრობაც წინააღმდეგია და ყოველგვარ დაბრკოლებებით გზას ულობავს. ყოველივე ეს „ხმაურობას" იწვევს. გარდა ამისა, დელეგატების არჩევა საჯარო კრებებზე ხდება, მათ წარმოების მუშები ირჩევენ. ეს გარემოებაც ხელს უწყობს ერთგვარ ახმაურებას.

მაგრამ არც ერთი ჩამოთვლილი პირობა არ იწვევს ისეთ ხმაურობას, როგორსაც სოციალ-დემოკრატიის ბელადები, მეორე ინტერნაციონალის მეთაურები სტეხენ. ესენი გააფრთებით ებრძვიან მუშების წამოსვლას. ამის შესახებ ისინი მთელ კამპანიებს აჩაღებენ ხოლმე: უშვებენ ფურცლებს, სწერენ გაზეთებში, აწყობენ კრებებს, ემუქრებიან პარტიიდან გარიცხვით და რიცხავენ კიდეც და სხ. და სხ. ასე რომ, სანამ დელეგაცია ადგილიდან დაიძვრებოდეს, მანამ მთელი აურზაური აქ ატეხილი, და ამ ქარ-ბუქს უმთავრესად სოციალ-დემოკრატების, მენშევიკების ბელადები აყენებენ.

და აი აქ იბადება კითხვა, რატომ არ უნდა მეორე ინტერნაციონალს მუშათა დელეგაციების საბჭოთა კავშირში წამოსვლა? თუ ისინი მართლაც დარწმუნებული არიან, რომ აქ შეშლილი ხალხია, რომ აქ მუშას მონობის ბორკილი ადევს, რომ აქ ყველაფერი ინგრევა და ირღვევა, რომ პროლეტარიატის დიქტატურამ მართლაც ვერ შესძლო სახალხო მეურნეობის აღდგენა და სოციალისტური აღმშენებლობის წარმატებით დაწყება, რომ აქ მხოლოდ ჯოჯოხეთია და მეტი არაფერი,—თუ მართლაც ყველაფერი ასეა, მაშინ ხომ მეორე ინტერნაციონალმა თვითონ უნდა წაუჯიკავოს მუშებს ხელი და გამოდენოს აქეთ, რათა მათ საკუთარი თვალით ნახონ, საკუთარი ყურით მოისმინონ ყველაფერი ის, რასაც აქ ადგილი აქვს.

აი, ჩამოვლენ მუშები, სოციალ-დემოკრატი, მენშევიკი მუშები. ნახვენ ყველაფერს, გაბრუნდებიან შინ და იქ ყველას ამცნობენ აქ ნახულ საშინელებას. მაშინ იქაური მუშების სიმპატიასა და თანაგრძნობას ბოლო მოეღება, მუშათა კლასი დაწყნარდება, დაჰგმობს საბოლოოდ პროლეტარიატის დიქტატურას „სოციალიზმისაკენ" ივლის „დემოკრატიზმით". ერთი სიტყვით „მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება" დამყარდება.

მაშ, რატომ არ უნდათ ასეთი იოლი საშუალებით ლელო გაიტანონ და მუშათა მასსები **ფაქტიურად** გახადონ მეორე ინტერნაციონალის წევრებათ, როგორც დღეს ისინი **ფორმალური** წევრები არიან?

პასუხი თვით ამ კითხვაში იგულისხმება, მაგრამ მაინც მოკლედ უპასუხოთ მაზე. იმიტომ არ უნდათ, რომ ყოველი „საშინელება" მათი გამოგონილია, მათი მოჭორილია, მათი ცილისწამებაა და ყოველვე ეს შეგნებულად, განზრახ არის მოჭორილ-მოჩმახული. მათ მართლაც საბჭოთა კავშირის სინამდვილის ეშინიათ, მათ არ უნდათ, რომ მუშებმა სინამდვილე თვითონ ნახონ.

მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებებისა, მუქარისა, შევიწროებისა, მუშათა დელეგაციები ჩვენსკენ მაინც მოდიან. ევროპამ თუ არა, ჩვენ ხომ მაინც ვიცით, თუ როგორი სიდინჯით, დაკვირვებით, დაწვრილებით ეცნობიან ეს დელეგაციები საქმის ვითარებას. მათ მიერ ჩაუხედავი არც ერთი კუნჭული არ რჩება; ისეთი ადგილების ნახვას მოისურვებენ ხოლმე, სადაც მათ არავინ მოელის. კიდეც რომ მოინდომო, მათ ვერ გააცურებ, თვალებს ვერ აუხვევ; კიდეც რომ მოინდომო რამის დროებით შელამაზება, ხელათ ჩამოგიფხეკენ, გაგატიტვლებენ. და დელეგატები ნახულით და გაგონილით შინ ბრუნდებიან.

იქ მათ მუშები ელოდებიან. იმართება კრებები, მიტინგები, ცალკე წარმოებებში და საერთო. „მუშათა დელეგაციის მოხსენება" ყველას ფეხზე აყენებს, მის მოსასმენად, ყველა მუშა მოდის, განურჩევლად პარტიისა, მიმართულებისა, შეხედულებისა. ხუმრობა საქმე ხომ არ არის: დელეგაცია „მუშათა სამეფოდან" (ასე ეძახიან საბჭოთა კავშირს იქაური მუშები) არის ჩამოსული.

იწყება მოხსენება. მე დარწმუნებული ვარ, რომ არასოდეს, არსად, არც ერთ მომხსენებელს ასეთი ყურადღებით, ასე სულგანაბული, ასეთი ინტერესით არ უსმენენ, როგორც მუშათა სამეფოდან ჩამოსულს.

სანამ მუშათა დელეგაციების მოხსენებებს და საერთოდ ასეთი დელეგაციების მნიშვნელობას შევეხებოდე, მე მსურს გადმოვცეთ ერთი ნორვეგიელი სოციალ-დემოკრატი ჟურნალისტის დაწერილი ნაამბობი. ეს ჟურნალისტი დღესაც სოციალ-დემოკრატია თურმე, ვინაიდან ბოლშევიზმს ის, ასე ვსთქვათ, თეორეტიულად ვერ ურიგდება, მისი მსოფლმხედველობა რეფორმისტულია. მან ნახა საბჭოთა კავშირი და სწერს: უდავოა, რომ საბჭოთა კავშირში დიდი აღმშენებლობითი მუშაობა სწარმოებს; უდავოა, რომ ბოლშევიკებმა აღმშენებლობის დიდი უნარი და ნიჭი გამოიჩინეს; უდავოა, რომ იქ მართლაც მშრომელთა ბატონობაა; უდავოა, რომ იქ მუშების მდგომარეობა თანდათან იწევს და უმჯობესდება. ყოველივე ამის ციფრებით დამტკიცება შეიძლება, მათი „ჩოთქში" ჩაგდებაა მოსახერხებელი. მაგრამ არის ერთი რამ, რომელიც არც ციფრით გამოიხატება, არც „ჩოთქში" ჩაიგდება. ეს არის ხელისუფლების მუდმივი, ყოველდღიური ფიქრი და ზრუნვა მუშებზე; ეს არის მუშების სულიერი განწყობილება, ფსიქოლოგიური განცდა,—რომ ისინი არიან სახელმწიფოს ბატონ-პატრონი, რომ ყველაფერი მათი და მათთვისაა.

მუშა ამას იგრძნობს და გრძნობს კიდეც, მაგრამ რაოდენ თვალსაჩინო და მძლავრი უნდა იყოს ეს მდგომარეობა, რომ ის შენმა მოწინააღმდეგემ შენიშნოს და აღნიშნოს!

და თუ ასეთია მოწინააღმდეგის მოწმობა, როგორი უნდა იყოს თვით მუშათა დელეგაციების მოხსენება! დელეგაციები უყვებიან მუშას, თუ რა ნახეს მათ მუშათა სამეფოში.

მუშათა დელეგაციების მოხსენებები ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებენ მუშებში. ხარობს მათი გული, უცინის მათ თვალები, და მათი სიმპატია და თანაგრძნობა ჩქარი ტემპით იზრდება.

მეორე ინტერნაციონალი ეხლა უკ თვით დელეგატებს ებრძვის, ათასგვარ ჭორებს ავრცელებს მათ შესახებ. მათ პარტიიდან რიცხავს, მოხსენების გაკეთებას არ ანებებს. მაგრამ აქედან არაფერი გამოდის. მუშათა კლასი **აქეთ** იცქირება, ყველას აქედან მოელის. მე მსურს ორი სურათი გადმოგცეთ.

საფრანგეთი. რენოს უზარმაზარი ქარხანა, სადაც 35-40 ათასი მუშა მუშაობს. აქ დიდძალი ემიგრანტები მუშაობენ; მათი რიცხვი ათასობით ითვლება. აქ ორგვარი ემიგრაციაა: საბჭოთა კავშირის და იტალიის,—ვსთქვათ ასე: ემიგრაცია ლენინის და ემიგრაცია მუსოლინის, ემიგრაცია ბოლშევიზმის და ემიგრაცია ფაშიზმის.

ლენინის ემიგრანტი თავჩაქინდრული, როგორღაც დარცხვენილი, შეშინებულია; ის იძულებულია ქარხანაში, მუშებთან დამალოს თვისი ემიგრანტობა.

მუსოლინის ემიგრანტი თავაღერილი დაიარება; ის მხიარული, ამაყია; ის ხმამაღლა, თამამად აცხადებს, რომ ის ემიგრანტია, ის კიდეც ტრაბახობს თავის ემიგრანტობით. რატომ ხდება ეს? რატომ? თუ მუშებმა გაგიგეს, რომ შენ **ლენინს** გამოექეცი, ვაი შენი ბრალი, შენ იქ აღარ დაგედგომება. შენ ჩემ სამეფოს ებრძოდი და მიტომ გამოიქეცი, მაშ, შენ ჩემი მტერი ხარო, პირდაპირ გეუბნება ფრანგი მუშა.

და თუ შენ **მუსოლინს** გამოექეცი, მუშა შენ ბეჭებზე ხელს გიფართხუნებს, სიყვარულიან „კამარად"-ს (ამხანაგს) გეუბნება, ვინაიდან ის შენში მოყვარს ხედავს.

ჩეხია. აქ იტალიის ემიგრანტს თქვენ ვერ ნახავთ; აქ მხოლოდ „რუსოვე"-ებია (რუსები). ესენი ან მუშაობენ, ან „სწავლობენ". ყველას რკინის გზაზე შეღავათიანი ბილეთები აქვს. ეს ბილეთები ერთი ფორმის, ერთი ფერისაა; მას რომ მუშა დაგინახავს, მან უკვე იცის, რომ შენ **ლენინის** ემიგრანტი ხარ. და შენ იძულებული ხარ ეს ბილეთი მოხერხებულად, ჩუმათ აჩვენო კონდუქტორს, თორემ თუ მუშებმა დაგინახეს, შენ იმ ვაგონში აღარ გედგომება: შენ ხულიგანი ხარ, შენ მუშების მტერი ხარ.

მიუხედავად ამისა ,იქაც და აქაც, საფრანგეთშიაც და ჩეხიაშიც ასეთი მუშების უმრავლესობა მეორე ინტერნაციონალში შედის, იმ ინტერნაციონალში, რომელიც ასე გააფთრებით ებრძვის მუშათა სამეფოს.

აქ რაღაც გაუგებრობაა, არა? ან მე ვაჭარბებ,—თუ არ ვსტყუი,—ან მუშების უმრავლესობა მესამე ინტერნაციონალში უნდა შედიოდეს. პირველი შეხედვით, ეს მართლაც ასე უნდა იყოს. მაგრამ...

მეორე ინტერნაციონალმა პირველი ინტერნაციონალის მემკვიდრეობა დაისაკუთრა და ამგვარად მას ნახევარი საუკუნის ისტორია აქვს; მესამე კი სულ ახალი მოვლენაა; ეს **ლენინმა** 1919 წელს დაარსა. მან მეორე ინტერნაციონალის მუშები მიიმხრო; ამ მიმხრობას დიდი დრო და დიდი ბრძოლა სჭირდება, ამასთან ერთად ევროპის კომუნისტური პარტიები არ იყვნენ ისე მომზადებულნი, გამოცდილები, შემჭიდროებულნი, რომ მათ შესძლებოდათ თავიანთ ირგვლივ მუშების ფართო მასა შემოეკრიბათ, დაერაზმათ. ამგვარათ, მეორე ინტერნაციონალის ბელადები, სარგებლობენ რა მარქსის პირველი ინტერნაციონალის დოვლათით და სახელით, აბრიყვებენ, ატყუილებენ მუშებს და ყოველგვარ ზომებს ღებულობენ, რომ მათ მათი რიგები არ დასტოვონ.

ამიტომაც არის, რომ მუშები ფორმალურად მეორე ინტერნაციონალში შედიან, თავიანთი შეხედულებით, სულიერი განწყობილებით თანდათან სცილდებიან ძველ გზას.

და დელეგაციების ჩამოსვლას ის დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ მუშები რწმუნდებიან, რომ მათ ბელადები ატყუილებენ და აბრიყვებენ. გარდა ამისა, მუშას ბოლშევიკად თვით ბრძოლა გახდის, ბრძოლა მისი საარსებო, ყოველდღიური ინტერესებისათვის. ამიტომაც არის, რომ ბელადები ასეთი ბრძოლის დაწყებას გაურბიან. ბელადებს დამარცხების კი არ ეშინიათ; სრულებითაც არა. მათ კარგათ იციან, რომ ყოველი ეკონომიური ბრძოლა იმავე დროს პოლიტიკური ბრძოლაა; მათ იციან, რომ ბრძოლაში დამარცხება მუშებს გამოაფხიზლებს, მათ მტერ-მოყვარეს დაანახვებს, მათ უფრო მჭიდროთ დარაზმავს; მათ იციან, რომ ასეთ ბრძოლაში დამარცხება მომავალი გამარჯვების, მისი სწორი გზების მაჩვენებელია; მათ იციან, რომ ყველაფერი ეს მუშებს გარდაუვალად მესამე ინტერნაციონალის, ბოლშევიკების კარებზე მიდენის.

და დენის კიდეც, მიდენის კიდეც.

ივ. კაჩუხაშვილი

ჩემი განცხადება

ცხრა თვეა ემიგრაციიდან დავბრუნდი. ჯერ არსად არც არაფერი მითქვამს და არც ერთი პწკარი დამიწერია. ეხლა მსურს სიჩუმე დავარღვიო და ჩემი სიტყვა ვთქვა.

მე ვირიცხებოდი მენშევიკური პარტიის წევრად 1903 წლიდან. ვიყავი რკინის გზის მუშა, უბრალო ტვირთმზიდველი, შემდეგ საბარგო მატარებლის კონდუქტორი. 1905—06 წლებში მე ვიყავი ნაძალადევის რაიონის სოც.-დემოკრატიული პარტიის არალეგალური კომიტეტის წევრი. სუსხიან რეაქციის ხანაში მე ვიმალებოდი და ვმუშაობდი სადგურ ევლახში ტვირთმზიდველად. 1908 წლიდან საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამდე ვიყავი ფოთში და და ვმუშაობდი, როგორც ს.-დემ. პარტიის არალეგალური კომიტეტის წევრი. 1917 წელს ამირჩიეს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს წევრათ, ვიყავი გვარდიელი და სხვადასხვა ფრონტებზე თოფით ხელში ვიბრძოდი. 1912 წლიდან ვიყავი ფოთის თვითმართველობის ხმოსანი სოციალ - დემოკრატიული სიით არჩეული. ხმოსნათ 1921 წლამდე დავრჩი.

1921 წელს მე სხვებთან ერთად გავბრიყვდი და ჟორდანიას „მთავრობას" ემიგრაციაში გავყევი.

სამ წელიწადნახევარი სტამბოლში ვცხოვრობდი. იქ პურს ვაცხობდი და თავს ვირჩენდი. იმ დროს, როდესაც ჟორდანიას სტამბოლის „საკონსულო" უამრავ ფულს ხარჯავდა და ჩემ თვალწინ ფლანგავდა საქართველოდან გატანილ ოქროს და ყოველგვარ დოვლათს, იმ დროს, როდესაც ემიგრაციის მაღალი ფენები აშკარად, მოურიდებლად და უსირცხვილოთ ფლანგავდენ გატაცებულ ქონებას, შამპანიურში იხრჩობოდენ და მეძავ ქალებთან „დროს ატარებდენ",—მე არც ერთხელ არავისგან დახმარება არ მიმიღია და არც მითხოვია.

როდესაც სტამბოლში ასეთ აღვირახსნილობის სურათებს ვხედავდი, გული მიტყდებოდა ჩვენს მეთაურებზე, მაგრამ ამასთანავე ვფიქრობდი: ჩვენი დიდი მეთაურები პარიზში არიან და არ იციან, თუ როგორ ზნედაცემულ ცხოვრებას ატარებენ მათი წარმომადგენლები, მათი ამხანაგები სტამბოლში და როგორ ანიავებენ საზოგადო ქონებას[illegible].

1924 წლის ივნისში მე პარიზში გადავსახლდი. არც აქ მითხოვნია არავისთვის დახმარება. მე ვმუშაობდი ფაბრიკა-ქარხნებში და რკინის გზის სადგურებზე ტვირთმზიდველად.

საფრანგეთის მუშის მდგომარეობა პირდაპირ აუტანელია. სამუშაო დღე ხშირად 12—13 საათით განისაზღვრება, მუშას სულ უბრალოდ, უმიზეზოთ დაითხოვენ სამუშაოდან და მოსარჩლე კი არსად სჩანს. სამუშაოზე დაავადმყოფებული, დასახიჩრებული მუშა ფაბრიკიდან დახმარებას ვერ მიიღებს და ასეთებს თქვენ ხშირად ნახავთ ფაბრიკა-ქარხნის ჭიშკრებთან ატუზულებს: აქ ისინი მათხოვრობენ და მათ ეხმარებიან მათივე ყოფილი მუშა-ამხანაგები. მუშის ხელფასი ისე მცირეა, რომ იქ მუშას ოჯახის შენახვა არ შეუძლია, თუ ოჯახის რომელიმე წევრი, ცოლი ან მოზრდილი შვილი სამუშაოზე არ გადის და ოჯახს არ ეხმარება. თუ ასეთ მდგომარეობაში არიან იქაური მკვიდრი მუშები, მით უფრო აუტანელ მდგომარეობაში არიან ემიგრანტი-მუშები. ესენი ნამდვილი მონები არიან, ვინაიდან მათ არავინ არავითარ ანგარიშს არ უწევს და მათ ხმის ამოღებაც კი ვერ გაუბედავთ.

ასეთ მდგომარეობაში ვიყავით ჩვენ, ქართველი ემიგრაციის ქვედა ფენები. ამ დროს კი ჟორდანიას „მთავრობა" და მისი ახლობელი დამქაშები განცხრომაში იმყოფებიან. ეს ბატონები ზამთარში პარიზში ცხოვრობენ, საზაფხულოთ კი აგარაკებზე დაბრძანდებიან ცოლ-შვილით, გამდელებით და ბაბუაზებიებით. ჩვენ ვიცით, რომ არც ერთ მათგანს საკუთარი არაფერი გააჩნიათ და განცხრომილ დიდკაცურ ცხოვრებას საქართველოდან გატაცებული ხალხის ოფლით და სისხლით ნაშოვნი ქონებით ეწევიან. ამ ქონების ნაწილიდან მათ იყიდეს პარიზთან ახლოს ლევილის სასახლე 12 დესეტინა მიწით. აქ ცხოვრობენ ჟორდანიას თანამხლებლები. რამიშვილს აქ ხუთი ოთახი უკავია.

როგორც ზემოთ ვთქვი, მე ჩემის შრომით ვცხოვრობდი. მაგრამ აი მე უბედურება მეწვია: გავხდი ავათ, დავსნეულდი, წელში მოვიკაკვე. ექიმებმა მირჩიეს ქალაქ ნიცაში სამი თვით წასვლა. ეხლა კი მივაკითხე „მთავრობას". მივედი „საელჩოში" და ვინახულე აკაკი ჩხენკელი და კოწია კანდელაკი. მე მათ შემდეგი სიტყვებით მივმართე: „თქვენ მხედავთ, ამხანაგებო, როგორ დავსნეულდი. თქვენ იცით, რომ ჯერ მე თქვენთვის არაფერი მითხოვნია. მომეცით საშუალება განვიკურნო; გამისტუმრეთ ნიცაში (ნიცაში პარიზზე უფრო იაფია ცხოვრება) სამი თვით; განვიკურნები და შემდეგ აღარ შეგაწუხებთ". ნიცაში წასვლას და იქ 3 თვეს ცხოვრებას სჭირდებოდა დაახლოვებით 200 მანეთი. ჩხენკელმა და კანდელაკმა მიპასუხეს: „დახმარების მოცემა ეხლავე ჩვენ არ შეგვიძლია, შენ მოახერხე როგორმე და წადი. ჩვენ მთავრობაში დავაყენებთ ამ საკითხს და ერთი კვირის შემდეგ უთუოდ გამოგიგზავნით ნიცაში ფულს"-ო.

მუშა ემიგრანტებმა შემიგროვეს ფული ერთი კვირის საყოფი, და ნიცაში წავედი. პასუხი მართლაც ერთი კვირის შემდეგ მივიღე ნიცაში. კანდელაკი მწერდა: მთავრობამ, უსახსრობის გამო, დახმარებაზე უარი გითხრათო. მე მაშინვე დავბრუნდი პარიზში. დასნეულებულმა, უკაპეიკომ და, რაც მთავარია, უბინაომ ისევ იმ „მთავრობას" მივმართე. მე მათ ვთხოვდი: როგორც მწერდით, ფულით დახმარება არ შეგიძლიათ; მომეცით ლევილში ერთი ოთახი, თორემ ღამე ქუჩაში უნდა გავატაროთქო. ამაზე უარი მითხრეს: ოთახები დაკავებულიაო.—ვიმეორებ, ამ დროს ლევილში რამიშვილს ხუთი ოთახი ეკავა; ზოგს პარიზშიც ჰქონდა ოთახი და ლევილშიც.

ასეთი პასუხის შემდეგ, მე მათ ვსთხოვე ოთახის ერთი კუთხე დაეთმოთ, რომ ღამე ქუჩაში არ დავრჩენილიყავი. ამაზედაც უარი მივიღე და ის ღამე ქუჩაში გავატარე. და პარიზში რომ მუშა-ამხანაგები არ მყოლოდენ, მე მშიერ-მწყურვალ და უბინაოს სადმე „ღობის ძირში" უნდა დამელია სული. ძველი მუშისათვის, ძველი პარტიული ამხანაგისათვის „მთავრობას" ფული არ აღმოაჩნდა, ჩოლოყაშვილები და სხვა მისი მსგავსნი დღესაც უსაქმობისათვის „ჯამაგირს" ღებულობენ. დასნეულებული მუშისათვის ორასი მანეთი არ აღმოაჩნდათ, ამ დროს კი ჩვენი „ბელადები" თავიანთ შვილებს პარიზიდან ლანჩხუთში მეორე კლასით ატუმრებენ „ბებიების სანახავათ" და ამ მოგზაურობისათვის გატაცებული ქონებიდან ათას მანეთებს ხარჯავენ. წელში მოკაკული მუშის საექიმოთ სალაროში 200 მანეთს ვერ ნახულობენ და ლიდერები აგარაკებზე დაბრძანდებიან იმავე სალაროს საშუალებით. ვანდერველდე - რენოდელებს ზეიმებს უმართავენ და შამპანიურით ილეშებიან, ამ დროს კი ემიგრაციის დაბალი ფენები შიმშილით იხოცებიან.

ეხლა ვნახოთ რა ხდება საბჭოთა საქართველოში.

ცხრა თვეა აქ ვიმყოფები. ჩამოვედი თუ არა, ბოლშევიკები მაშინვე შეუდგენ ჩემს ექიმობას. ჯერ მიექიმეს თბილისში. მექიმებდენ საუკეთესო ექიმები. შემდეგ გამისტუმრეს სოხუმის სანატორიუმში. შემდეგ ისევ თბილისში. შემდეგ აბასთუმანში გამგზავნეს ოთხი თვით; ეხლა ისევ თბილისში ვარ და აქ ვექიმობ. „სმა-ჭამა მეტად შესარგი"-ო, —იტყვის ჟორდანია. დიახ, სმა-ჭამაც, ექიმობაც, ამხანაგური მოპყრობაც და ყველაფერი სხვა ასეთები. ამას ჩადის ბოლშევიკი მის ყოფილ მტერთადმი; ის ყოფილ მენშევიკს ასე ეპყრობა, იმ მენშევიკს, რომელიც მას ებრძოდა. ებრძოდა მხოლოდ იმიტომ, რომ მას აბრუებდენ, აბრიყვებდენ, ატყუებდენ მეთაურები, აბრიყვებდენ აქაც, საქართველოს გასაბჭოებამდე, აბრიყვებდენ ევროპაშიც. ბოლშევიკებმა საქართველოში ყველაფერი გაანადგურეს, ააფორიაქეს; მუშები და გლეხები გაძვალტყავდენ; ქართული ენა, ქართული კულტურა მოსპეს, გარყვნეს და სხვა ასეთებს გვეუბნებოდენ ჩვენი ლიდერები ევროპაში.

აქ კი საკმარისია ზერელედ გადახედოთ საქართველოს, რომ სულ საწინააღმდეგო სურათი დაინახოთ. ყოველ ფეხის გადადგმაზე თქვენ აღმშენებლობით მუშაობას ხედავთ, ფაბრიკა-ქარხნების საყვირი ისეთ ადგილებში აყვირდა, სადაც მენშევიკებს არც კი დაესიზმრებოდათ; გაჰყავთ შარა-გზები, რკინის გზები; გაჰყავთ არხები და აშრობენ ჭაობებს. ჩვენ სიმინდის ყანებს იქით გლეხი ვერ გავაცილეთ, ეხლა გლეხი თანდათან მისდევს მებამბეობას, მეაბრეშუმეობას. მეთამბაქოობას; მას მოჰყავს ჩაი და სხვა ძვირფასი მცენარეულობა. მუშის მდგომარეობა დღიდან-დღე უმჯობესდება. ჩვენ დროს ის ცომი მჭადით და ქვიშანარევი ქერის პურით იკვებებოდა, შაქრის მაგიერ სახარინს თუ ხმარობდა, მას ნარმის პერანგი ენატრებოდა, ის ექიმს და წამალს ვერ ეღირსებოდა, შვილს სკოლაში ვერ შეიყვანდა, სკოლა მისთვის მიუწვდომელი იყო ხშირათ და მისაწვდომიც რომ ყოფილიყო, იქ შიშველ-ტიტველ ბავშვებს ვერ გაგზავნიდა; ყოველწლიურად მუშა ორი კვირის დასვენებაზე ვერც კი იოცნებებდა; დასასვენებელი სახლები, კურორტები, სანატორიუმები მუშებისთვის არ არსებობდენ; მის კულტურულ გასართობებზე, ყოველდღიურ საუბრებზე. ლექციებზე არავინ ზრუნავდა; მუშის პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები მხოლოდ ქაღალდზე იყო აღნიშნული, ამით მუშების მხოლოდ ზედაფენები სარგებლობდენ, ისიც იშვიათად. ჩვენ დროს მუშები ფაქტიურად ძველი მონები იყვნენ; მათ მაგიერ რამიშვილები აზროვნობდენ, მოქმედებდენ და მათ მაგიერათაც... ისვენებდენ, ერთობოდენ და მათ მაგიერათ სჭამდენ კიდეც. ეხლა კი მუშა ყველაფრის ბატონ-პატრონია. რასაკვირველია, ნაკლი ბევრია, რასაკვირველია „სამოთხე" არ არის დამკვიდრებული, მაგრამ რაც მე აქ ზერელეთ ვნახე, ჩემი თვალით ვნახე, ყველაფერი იმის მთქმელი და მაჩვენებელია, რომ ნაკლი სწორდება და გასწორდება, სამოთხისაკენ გზა იკაფება. ყოველ შემთხვევაში, მე აქ ვნახე ის, რის წარმოდგენაც ემიგრაციაში არ მქონდა.

ჩვენი ლიდერები ემიგრაციაში მუდამ იმას ჩაგვჩიჩინებდენ, რომ ბოლშევიკებმა გარყვნეს ქართული ენა, ქართული კულტურაო. მე კი აქ სულ სხვას ვხედავ. სწავლა, დაწესებულებების მიწერ-მოწერა ქართულ ენაზე სწარმოებს. წიგნები, უამრავი წიგნები ქართულ ენაზე იწერება და იბეჭდება. აი, ჩვენ ორი წლის განმავლობაში ჭოლა ლომთათიძის ნაწერების გამოსაცემათ ფულს ვაგროვებდით და დიდძალიც შევაგროვეთ. რა იქნა ეს ფული? მე ვეკითხები ჟორდანია-რამიშვილებს: რა უყავით ამ ფულს, რათ არ გამოეცით ჭოლა? ბოლშევიკებმა კი გამოსცეს და განა მარტო ჭოლა გამოსცეს! ილია, აკაკი, ეგნატე, დ. კლდიაშვილი, ბარნოვი, ან. ფურცელაძე და სხ. და სხ. ვინ დაუდგა ეგნატეს ძეგლი, აკაკის ძეგლი? ჩვენ? არა,—ბოლშევიკებმა. ჩვენ მხოლოდ სიტყვით გვიყვარდა საქართველო. ბოლშევიკებს ის საქმით უყვართ: ისინი მას აშენებენ, ამაგრებენ, ეკონომიურად აღორძინებენ. ბრმა უნდა იყოს ის კაცი, რომ ყოველივე ეს აქ არ დაინახოს.

ჩვენ, მუშებს, თქვენ გვასწავლიდით: მუშას სამშობლო არა აქვსო; ამას თქვენ მარქსის სიტყვებით გვიდასტურებდით. მე ეს მჯეროდა და ეხლაც ერთგვარად მჯერა. საფრანგეთში მუშას სამშობლო არა აქვს, ვინაიდან საფრანგეთი მუშას არ ეკუთვნის, იქ ყველაფერი კაპიტალისტების ხელშია, იქ მუშას ფაქტიურად ერთი უფლება აქვს: ტანჯვა-წვალებით ცოცხალ-მკვდარი იარსებოს. მე ეს ჩემ ზურგზე განვიცადე, ეს მე დაღვრილმა ოფლმა შემაგნებინა. აქამდე მე მხოლოდ მჯეროდა თქვენი და მარქსის. რომ მუშას სამშობლო არ აქვს, ეხლა მე ეს შეგნებული, შესისხლხორცებული მაქვს.

აქ, საბჭოთა საქართველოში? ოო, აქ მუშას აქვს სამშობლო, ვინაიდან ეს სამშობლო მისია, მას ეკუთვნის, ის მისი ბატონი და პატრონია; ეს სამშობლო მუშური სამშობლოა.

და ნურას უკაცრავათ, რომ მე, ძველმა მუშამ, ტვირთმზიდველმა, პურისმცხობელმა, უბრალო რკინისგზელმა ძველი გზა დავტოვე და ახალ გზას დავადგე. მე ეხლა მაქვს ჩემი სახელმწიფო. ჩემი ქვეყანა, ჩემი საბჭოთა სამშობლო და „არც მარჯვნივ, არც მარცხნივ" (ნამდვილად კი—მარჯვნივ) სიარულს მხოლოდ მარცხნივ სიარულს ვამჯობინებ. მე ამასვე ვურჩევ ემიგრაციაში დარჩენილ ამხანაგ მუშებს.

თქვენ მანდ, ამხანაგებო, ჟორდანია-რამიშვილის მონები ხართ. თქვენ მანდ გატყუილებენ, გაბრუებენ. მერწმუნეთ, საბჭოთა სამშობლოში ჩამოსვლით მუშები არაფერს წააგებთ. თქვენ აქ შეუდგებით აღმშენებლობით მუშაობას, თქვენ ძველ რევოლიუციონერ-სოციალისტ ამხანაგებთან ერთად. ძველ სოციალისტებს, რევოლიუციონერებს არ შეგშვენით პუანკარე - რენოდელ-რამიშვილების რიგებში დგომა. თქვენი ადგილი აქ, საბჭოთა საქართველოშია, ფილიპე-ძმანაშვილ - ფარნიევ-კუპრაშვილების რიგებში.

თქვენ, ამასთანავე, აქ ნახავთ ამხანაგურ, მეგობრულ, ნაზ შეხვედრას და მოპყრობას. თქვენ აქ გეტყვიან: ჩვენ ერთად ვიყავით, ერთად ვურტყამდით; დროებით დავშორდით, სხვადასხვა ბანაკებში მოვხვდით; ეხლა ისევ ერთად ვართ და ერთად ვიაროთო.

გავათავე. მე არ შემეძლო არ მეთქვა ის, რაც ვთქვი. მე ვიცი, ჟორდანია-რამიშვილები ღრეჭით იტყვიან: ვანო იმნაძეც გამწერალდაო. გატყდი, რენეგატო, რომ ეს შენი დაწერილი არ არისო.

სტყუით. ყველაფერი ეს ჩემი დაწერილია, ჩემი ნერვებით, ჩემი სისხლით არის დაწერილი. თვითეულ სტრიქონში ჩემი სული-გული-გონებაა ჩართული. ყოველივე აქ მოყვანილი ფაქტები, დებულებები, დასკვნები ჩემ მიერ არის გადადუღებულ-გადახარშული და ქაღალდზე უჩვეულო ხელით აღნიშნული. თქვენ სხვა რაღა დაგრჩენიათ თუ არა ასეთი ტყუილები და ცილისწამება. მაგრამ ვინ გასულა ფონს ან ერთი ან მეორეთი. ასე დაგემართა თქვენ და დაგემართებათ კიდევ უარესი მომავალში. ამით ვათავებ მე ჩემს წერილს.

ვანო იმნაძე.

წერილები ადგილებიდან

ლეჩხუმის მაზრა

ეს მაზრა კულტურულათ ჩამორჩენილია, ალბათ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ყოველგვარი საქმე აქ შედარებით გვიან კეთდება.

1925 წლის ივნისში აქ დაარსდა და ჩამოყალიბდა მუშათა ქვე-კომისიის განყოფილება, რომელმაც იმუშავა იმავე წლის 9-12 ოქტომბრამდე. საქართველოს მუშათა კომისიის რწმუნებულთა ყრილობამ ჩასთვალა მუშათა კომისიის საქმიანობა სავსებით დამაკმაყოფილებლათ. ამის შემდეგ მუშათა კომისიის მაგიერ იქნა დაარსებული საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან ყოფილ მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილება. ასეთივე განყოფილებები ჩამოყალიბდა აგრეთვე ზოგიერთ სამაზრო პარტიულ კომიტეტებთან, ხოლო რაც შეეხება ლეჩხუმის მაზრას, აქ განყოფილება არ დაარსებულა, რის გამოც მუშაობა მინელებული იყო უკანასკნელ დრომდე, რის გამო ახალგზელები დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამდენ.

ამ უკანასკნელათ ყოფ. მენშევიკთა შორის მუშაობას სამაზრო პარტიულმა კომიტეტმა მიაქცია სათანადო ყურადღება. ცეკასთან არსებულ ყ. მენშ. შორის მომუშავე განყოფილებამ გამოაგზავნა ლეჩხუმის მაზრაში სამუშაოთ ამხ. გ. სულაქველიძე. მან გააკეთა მოხსენება რამოდენიმე ადგილას და კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე, განსაკუთრებით ცაგერში, სადაც მომხსენებელმა ვრცლად დაახასიათა საზღვარგარეთ მყოფ ემიგრაციის ყოფა-ცხოვრება და მისი დაშლის პროცესი. სულაქველიძის შემდეგ ლეჩხუმის მაზრას მოევლინა ამხ. გ. მეფარიშვილი. ის შეუდგა ენერგიულ მუშაობას; შემოიარა ლეჩხუმის სხვადასხვა თემ-სოფლები, და უკანასკნელად იმოგზაურა ქვემო-სვანეთში. უნდა აღინიშნოს, რომ მისი ჩამოსვლის შემდეგ მუშაობა საგრძნობლათ გამოცოცხლდა. მთელი აქტივი ახალგზელებისა ჩაება მუშაობაში მაზრკომთან არსებულ ყოფ. მენშ. შორის მომუშავე კოლეგიასთან ერთად. მრავალგვარი გაუგებარი და საჭირბოროტო კითხვები თანდათანობით ირკვევა ახალგზელებისათვის. ისინი მჭიდროთ უკავშირდებიან კომპარტიის ორგანიზაციებს და ადგილობრივ ხელისუფლებას.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე უფრო მძიმე და სერიოზული მუშაობა იყო საჭირო ქვემო-სვანეთის რაიონში, სადაც წინედ მენშევიკების გავლენა ძლიერი იყო და სადაც ადგილი ჰქონდა ზოგიერთ გაუგებრობას.

ცენტრიდან მოვლინებულ ამხანაგების მუშაობა საერთოდ დიდ ნაყოფს იღებს. საჭიროა საქართ. კომუნისტ. პარტიის ცეკამ და მასთან არსებული ყოფილ მენშ. შორის მომუშავე განყოფილებამ საკმაოდ მომზადებული მუშაკი გამოიყონ და მოგვცენ მუდმივად, რითაც მუშაობა კიდევ უფრო გაცხოველდება.

გ. ქურასბედიანი.

დავიწყებული საქმე

(ახალგორი, გორ. მ.)

ახალგორში არ არსებობს კულტურული გართობის არავითარი ბინა. გვაქვს თეატრის დარბაზი, რომელშიაც ოდესღაც იმართებოდა წარმოდგენები, მაგრამ ისე მიივიწყეს სცენა, რომ იქაურობა მტვერითაა დაფარული, დალეწილი სკამები კუთხეებში ყრია, ფანჯრის მინები ჩალეწილი, კარებები ღია, თვითონ დარბაზი მთლად ნაგვით სავსე, კაცი რომ შევიდეს შიგ, ჩაიფლება. სახელად ამ კლუბს უწოდებენ კომკავშირის კლუბს. (ვაი სირცხვილო!) კომკავშირს ჰქონდა აგრეთვე ბაღი და სახნავი მიწები. შემოსავალი ამ ქონებიდან უნდა მოხმარებოდა თეატრს. მაგრამ ისე გაიფლანგა, რომ კაპეიკიც არ სჩანს.

კომკავშირის ინსტრუქტორად ახალგორში იყო პავლე გასიევი, რომელმაც გადაყვანის დროს წაიღო თან მამულის შემოსავალიდან დაახლოვებით 40 მანეთამდის. დაჰპირდა უჯრედებს, გაზეთი უნდა გამოგიწეროთო, მაგრამ ეს ოთხი-ხუთი თვე გავიდა და არ შესრულებულა.

რაიკომმა უნდა გამოგზაე ონში ენერგიული მუშაკი.

რველ ს

ორშაბათის, გაი

---

*) იხ. ახალგზელი № № 21, 22.

პარტიული ცხოვრება

პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე

მოსკოვის პარტაქტივის საერთო საქალაქო კრება

მოსკოვი, 13 ნოემბერი. 12 ნოემ- რს კავშირების სახლში შესდგა საკავ- რო კომპარტიის მოსკოვის ორგანიზა- ის აქტიურ მუშაკთა საერთო საქალა- კრება.

ე-15-ე პარტკონფერენციის გადაწ- ილებათა შესახებ მოხსენება გააკე- . მოლოტოვმა.

ოველებულ კამათის და მოლო- საბოლოო სიტყვის შემდეგ ერთ- ერთმა თავი შეიკავა) მიღებულ იქ- ოლუცია, რომელშიაც სხვათა- ნათქვამია: საკავშირო კომპარტი- კოვის ორგანიზაციის აქტივის კრე- სებით და მთლიანად უერთდება კონფერენციის გადაწყვეტილებებს რც ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ ენებლობის საკითხში, ისე კომინ- პოლიტიკის საკითხებში. მოსკო- ანიზაციის აქტივის კრება აღნიშ- ომ მე-15-ე სრულიად საკავშირო ერენციამ ყველა რეზოლიუციები ერთხმად და გამოიჩინა პარტიის ველი ბოლშევიკური მთლიანო- ტკიცე კომუნისტური რწმენა იმაში, რომ ჩვენს ქვეყანაში შესაძლოა სოციალიზმის აშენება და ჩვენი საბოლოო მიზნების მიღწევა.

კონფერენცია თავიდან ბოლომდე ლენინიზმის დროშის ქვეშ ჩატარდა და კონფერენციის გადაწყვეტილებანი სავსებით ლენინის მოძღვრებას ეყრდნობიან. კონფერენცია, მისი მუშაობის მსვლელობა, ყველა ჩვენი მიღწევების შე- ა, გვიმტკიცებს, რომ ცენტრალური ეტი ატარებდა სწორ და მტკიცე ურ, ბოლშევიკურ პოლიტიკას და ამ პოლიტიკის საშუალებით თ ჩვენ ჩვენი მეურნეობის სო- ური ელემენტების განმტკიცე- თა და გლეხთა კავშირის და რული დიქტატურის განმტკი-

ნციამ, რომელიც გამოხატავ- პარტიის შეხედულებას და ურსს, სწორი შეფასება გაუკეთა იმ ანტიბოლშევიკურ გამითიშავ მუშაობას, რომელსაც აწარმოებდა ოპოზიციონური ბლოკი უკანასკნელ დროის განმავლობაში. აქტივის კრება სავსებით უერთდება კონფერენციის გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ პარტიამ მომავალში სასტიკი წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს ყოველგვარ ცდებს ბოლშევიკური იგების მთლიანობის შესარყევათ.

გაბრწინილი ოპოზიციონური ბლოკის ბელადებმა, რომელთაც განაცხადეს, რომ ოპოზიცია რჩება თავის ძველ პრინციპიალურ შეხედულებათა ნიადაგზე, კონფერენციაზე სრული პრინციპიალური გაკოტრება გამოამჟღავნეს.

ოპოზიციის მემარცხენე ფრაზები სინამდვილეში იყო მისი სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) გადახრის მიფუჩეჩება.

რწმენის უქონლობა, პესიმიზმი, პანიკა და სოციალიზმის ერთ ქვეყანაში აშენების შესაძლებლობის უარყოფა, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის კაპიტალისტური მეთოდები, რომლებიც წამოაყენა ოპოზიციამ, მაღალ ფასების პოლიტიკა, პარტიისათვის გადაგვარებაში ბრალის დადება, დემაგოგიური მემარცხენე, — სოციალ-დემოკრატიული ლოზუნგები სამუშაო ხელფასის გადიდების შესახებ, პარტიის მთლიანობის და დისციპლინის დარღვევის ცდა, ყველაფერი ეს საკმაოდ ნათელს ჰყოფს ოპოზიციონური ბლოკის გადახრის სოციალ-დემოკრატიულ ხასიათს.

მე-14 ყრილობის ოპოზიციამ რევოლიუციის ყველა ძირითად საკითხებში სავსებით ქედი მოიხარა ტროცკიზმის წინაშე. კონფერენციაზე ეს კაპიტულიაცია ისევ დადასტურდა მე-14-ე ყრილობის ოპოზიციის ბელადების გამოსვლით, მათ მიერ ლენინიზმის ძირითად პრინციპების გადამახინჯებით, ლენინის იმ დებულების უარყოფით, რომლის თანახმად შესაძლებელია სოციალიზმის აშენება ერთ ქვეყანაში.

აქტივის კრება მოუწოდებს ორგანიზაციას მე-15-ე პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა ერთსულოვნად ცხოვრებაში გატარებისაკენ. ოპოზიციის სოციალ-დემოკრატიულ გადახრის წინააღმდეგ მომავალში წარმოებულ უნდა იქნეს სასტიკი, შეურიგებელი ბრძოლა ოპოზიციის სრულ დაძლევამდე. მოსკოვის ორგანიზაცია მე-15-ე პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა საფუძველზე კიდევ უფრო მჭიდროთ გაერთიანდება ცენტრალურ კომიტეტის ირგვლივ და ლენინისებურ, ბოლშევიკურ დისციპლინით განაგრძობს შემოქმედებითი მუშაობას ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ამოცანათა განსახორციელებლად და საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციისათვის საბრძოლველად.

რეზოლიუცია მიღებულ იქნა ერთხმად (თავი შეიკავა ერთმა).

ბიუროების გადარჩევა

არჩევნების შედეგი მეორე რაიონში

(თბილისი)

მე-2-ე რაიონში დელეგატ ქალების ხელახალი არჩევნები 18 ოქტომბრიდან დაიწყო. გადარჩევების კამპანია წინასწარ იყო მომზადებული. მოწვეული იყო ქალთა ორგანიზაციების თათბირი—უჯრედების მდივნების თანდასწრებით შესდგა გაერთიანებული თათბირი, სადაც შემუშავდა გეგმა დელეგატ-ქალების გადარჩევის ჩასატარებლად ადგილებზე.

ადგილებზე მოწვეული იყო აგრეთვე ქალთა კომისიები, ძველ დელეგატ ქალების თანდასწრებით, სადაც შერჩეულ იქნა ახალ დელეგატ ქალების კანდიდატურა, რომელიც შემდეგ უჯრედების ბიუროებში გატარდა. გადარჩევების კამპანიაში მთელმა პარტიულმა მასამ მიიღო მონაწილეობა. უჯრედების ბიუროები და ადგილკომები აქტიურ მონაწილეობას იღებდენ კამპანიის ჩატარებაში. გადარჩევებ მიმდინარეობდა უმთავრესად მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი და მრავალი შეკითხვები იყო მიცემული. მოხსენებების შემდეგ დელეგატი ქალები ანგარიშებს იძლეოდენ წარსულ მუშაობის შესახებ. მთელს რაიონში სულ 53 ანგარიში გაკეთდა, 43 კრებაზე. გადარჩევები დამთავრდა 28 ოქტომბერს არჩეულ იქნა 335 დელეგატი ქალი.

არჩეულთა სოციალური შემადგენლობა ასეთია: მუშა ქალი—224, მოსამსახური—31, დიასახლისი—55, მოსწავლე—25.

ნაციონალური შემადგენლობის მიხედვით: ქართველი—121, სომეხი—78, რუსი—102, ოსი—7, დანარჩენი—27.

ზ. მ.

არჩევნები „სახმედვაჭრობაში"

20 ოქტომბერს შესდგა „სახმედვაჭრობის" მუშა-ქალთა გაერთიანებული კრება.

კრებას დაესწრო, ამ წარმოებაში მომუშავე ქალების დიდი უმრავლესობა.

ქალთა სადელეგატო კრებების მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ენუქიძემ. მომხსენებელმა აღნიშნა ქალთა სადელეგატო კრებების აქტივის ზრდა, და ზოგიერთი მიღწევები წარსულ წლებთან შედარებით. დასასრულ მომხსენებელმა მოუწოდა კრებას შემდეგი მუშაობის გასაცხოველებლად.

„სახმედვაჭრობის" მუშა ქალთა გაერთიანებულმა კრებამ მოხსენების გარშემო გამოიტანა რეზოლიუცია, სადაც ხაზგასმით აღნიშნულია დელეგატ ქალთა მოვალეობანი. დელეგატ-ქალებს, ნათქვამია რეზოლიუციაში, წინადადება უნდა მიეცეთ, რათა ისწავლონ და ასწავლონ სხვებსაც და ამით შეასრულონ ილიჩის ანდერძი, რომელიც ამბობდა, რომ სოციალიზმის აშენება არ შეიძლება ქალის მონაწილეობის გარეშე.

რუსულ ენაზე მოხსენება გააკეთა მე-2-რე რაიკომის ქალთა განყოფილების გამგემ ამხ. მიხაილოვამ. რომლის მოხსენების გარშემო იყო შეკითხვები და გაიხსნა კამათი.

დასასრულ არჩეულ იქნა 6 დელეგატი ქალი და 1 კანდიდატი.

გ. ი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

მინერალური სიმდიდრენი

ქუთაისი, 13 ნოემბერი. საქართველოს სამთო-ქიმიურ კომბინატის ქუთაისის განყოფილების მიერ წარმოებულ გეოლოგიურმა კვლევამ შორაპნის მაზრაში აღმოაჩინა ტყვიის მადანი, ხოლო ქუთაისის მაზრაში—გოგირდის კოლჩედანი. ზამთრის დაწყების გამო შემდეგი მუშაობა გადადებულ იქნა 1927 წლის გაზაფხულამდე. (ადს).

ახალი სანერგე

ქუთაისი, 13 ნოემბერი. სოფ. მექვენაში სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა შეუდგა ხილის სანერგის მოწყობას. (ადს).

კონიაკის ქარხანა

ქუთაისი, 13 ნოემბერი. ბაღდადის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა ამთავრებს კონიაკის ქარხნის აშენებას. ქარხანა ერთი თვის შემდეგ ამუშავდება. (ადს)

მუსიკალური ტეხნიკუმი

ქუთაისი, 13 ნოემბერი. მიმდინარე სამოსწავლო წელში ქუთაისის მუსიკალურ ტეხნიკუმში მიიღეს 100 მსმენელი, წარსულ წელს მიღებული იყო მხოლოდ 40 კაცი. ეხლა ტეხნიკუმში 236 კაცი სწავლობს.რომელთაგან სწავლის გადასახადისაგან განთავისუფლებულია 78. (ადს).

ხანძრის ჩაქრობა

ოზურგეთი, 13 ნოემბერი. გომის ტყის აგარაკში, ახლო-მახლო მცხოვრებ გლეხებისა და ოზურგეთის მოხალისე მეხანძრეთა რაზმის დახმარებით ჩაქრობილ იქნა ტყის ხანძარი. ზარალი უმნიშვნელოა. (ადს).

მანდარინის მოსავალი

ოზურგეთი 13 ნოემბერი. ყველგან დაიწყო მანდარინის მოკრეფა, ეს არის პირველი მოსავალი, 1924—25 წლის ზამთარში პლანტაციების ყინვით განადგურების შემდეგ. (ადს).

ლენინაკანის დასახმარებლად

ა.ალ-სენაკი, 13 ნოემბერი. სამაზრო პროფბიურომ დანიშნა სპეციალური კომისია, ლენინაკანში მიწისძვრისაგან დაზარალებულების სასარგებლოთ შემოწირულებათა შესაგროვებლათ. (ადს).

აჭარისტანში

ნავთის პროდუქტები

ბათომი, 13 ნოემბერი. მოვიდა ოსმალეთის გემი „ჩან-კაია" 500 ტონა ნავთის წასაღებათ სტამბოლსა და სმირნაში.

პოლანდიის გემი „კატენდრეხტი" 6000 ტონა ნავთს ტვირთავს ლონდონში წასაღებათ. ჰამბურგში წავიდა გერმანიის გემი „ნორდ-ატლანტიკა", 6500 ტონა ცილინდრის ზეთით დატვირთული. (ადს).

აფხაზეთი

ავიოქიმიის პროპაგანდა

სოხუმი, 13 ნოემბერი. განათლების სახალხო კომისარიატმა მე-2 საფეხურის სკოლების ქიმიის პროგრამაში შეიტანა მასალები ავიოქიმიის შესახებ. (ადს).

შეღავათი წითელ ჯვარს

სოხუმი, 13 ნოემბერი. ჯანსახკომმა წითელ ჯვარს შეღავათიან პირობებში მისცა თევზის ჭერის უფლება. (ადს).

წერილები

დოროთეს კავშირი სოფელთან

(ს. წალენჯიხა, ზუგდ. მ.)

ცეზარმა სთქვა, პროვინციაში პირველობა სჯობს, ქალაქში უკანასკნელობასო. თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტის სტიპენდიანტ კურსანტმა დოროთე ქურულიაომ ცეზარის ეს დრო მოჭმული ცნება კარგათ შეითვისა. ჩამოვიდა თუ არა საკუთარ სოფელ წალენჯიხაში, ცხვირი მაშინვე მაღლა დაიჭირა. ყველაფერს იალბუზის მწვერვალიდან დასჩერებოდა. კაცი ბუზათ არ მიაჩნდა და ბუზი მწერათ.

მისი ყურადღების ღირსი მხოლოდ ადგილობრივი ახალგაზრდა გლეხი ქალები თუ იყვნენ. დოროთეს მათთან ნამდვილ თბილისურათ ეჭირა თავი და ქალაქური ხერხებით ცდილობდა ქალიშვილების გულის დატყვევებას. რა გასაკვირია, რომ მის ბადეში ვინმე გულუბრყვილო გაბმულიყო. ასეც მოხდა. დოროთე დაუახლოვდა უდარაბისი გლეხის 16 წლის ქალიშვილს. მოხიბლა გამოუცდელი გოგონა ფარისევლური ქცევით და პირფერობით. მთელი ერთი თვე ატარა მასთან დრო.

მაგრამ, მოგეხსენებათ დაღმართს აღმართი მოჰყვება. დოროს ბედნიერება იმ დღიდან დაიჩრდილა, როცა მას გულის სწორს მუცელი წამოეზარდა. ეს თბილისი, სადა ხარ, ოხვრით და კვნესით იტყოდა ის მუშტს გულში. ერთ წამში გავაქრობდი იქაური ექიმის დახმარებით ჩემს დამღუპველ მომავალ მოქალაქეს. მაგრამ თბილისი წალენჯიხიდან შორს იყო, ექიმები კიდევ უფრო დაშორებულნი. საფრთხე კი თანდათან უფრო თვალსაჩინო და საშიში ხდებოდა.

დორო ადგა და ექიმბაშებს მიმართა შველისათვის. ის იყო ქალი უნდა დაღუპულიყო ექიმბაშების ხელიდან, რომ მშობლებმა გაიგეს ეს ამბავი და საფრთხეს გადაარჩინეს.

საქმე ხელისუფლებას ყურამდი მიაღწია. დოროს სასჯელი მოელოდა. მაშინ თბილისელ დონჟუანის მშობლებმა სხვა ხერხს მიმართეს. პატარძალი სახლში მოიყვანეს. მოამშობიარეს. ბავში ძიძასთან გაგზავნეს, ახალგაზრდა დედას კი კარი გაუღეს და გზა უჩვენეს.

დორო დამშვიდებით გაემგზავრა თბილისში. დადის ალბათ ეხლა არხეინად რუსთაველის პროსპექტზე და ულვაშებზე ღიმილით ხელს ისვამს. სტიპენდიასაც ღებულობს ყოველთვიურად. თან კომკავშირის უჯრედის კრებებზე, რომლის წევრიც ის არის, ალბათ პრტყელ-პრტყელ „რეჩებს" აცხობს ქალთა თანასწორობის შესახებ.

ასე გააბა დორომ კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის. ასე იმუშავა მან შვებულების დროს თავის სოფელში. ვფიქრობ, რომ ამ გარჯილობისათვის კომკავშირის თბილისის ორგანიზაცია შესაფერის ჯილდოს მიუძღვნის დოროთე ქურულიას.

გლეხიშვილი.

დედინაცვალური დამოკიდებულება

(აფენი, სიღნ. მ.)

აფენის კოპერატივის რაიონში შედის ალაზან გაღმა მდებარე აფენ-ლელიანის თემები, 30-მდე პატარ-პატარა სოფლების შემადგენლობით. ეს რაიონი მოწყვეტილია როგორც რკინის გზის სადგურს, ისე ყველა სამაზრო თუ სარაიონო მნიშვნელობის ცენტრებს. უხიდობის და უგზოობის გამო—სულ მცირე ხნის წვიმებია საჭირო, რომ გზები ჭაობებათ იქცეს და ვეღარსად წახვიდე. ამიტომ კოოპერატივს ძლიერ ცუდ პირობებში უხდება მუშაობა: ხშირად ყოფილა შემთხვევები, რომ კოოპერატივის საქონელი დიდი ხნობით გაგვიჩერებია სადგურ გურჯაანში, რაც გამოწვეულია უგზოობით. კოოპერატივს ამის გამო უხდება ზედმეტი ფულის გადახდა საქონლის შენახვისა და ვაგონების გაჩერებისათვის.

გარდა ამისა ხშირათ გაფუჭებულა საქონელი გზაში წვიმისა და წყალდიდობის გამო. ასეთი საქონელია: შაქარი, მარილი, ცემენტი, ფართალი და სხვა. მიუხედავათ ამგვარ მძიმე პირობებისა ყველა ბანკები და სახელმწიფო სავაჭრო დაწესებულებანი, არავითარ შეღავათებს არ გვაძლევენ სესხის მოცემის დროს. ხან უარს პირობებშიდაც გვაყენებენ: უფრო მცირე ვადით გვაძლევენ სესხს, ვიდრე სხვებს.

მაგალითად, ამას წინად კოოპერატიულმა ბანკმ. გაანაწილა მთავრობის მიერ ნებადართული გრძელვადიანი სესხი სუსტ კოოპერატივების აღსადგენათ, საიდანაც აფენის კოოპერატივს ხვდა ყველაზე ნაკლები—რაღაც 1000 მანეთი. ამ ფულის მიღებასაც დღემდე ვერ ვღირსებთ. ამავე კოოპერატიულმა ბანკმა, პროტესტში გაუშვა აფენის კოოპერატივის მიერ „გოსშვეიმაშინა"-ზე მიცემული თამასუქი და არ აცნობა „ცეკავშირს", სადაც თამასუქის ვადის 20 აგვისტოსათვის აფენის კოოპერატივის ფული მიმდინარე ანგარიშზე ირიცხებოდა ასეთი მიზნისათვის 2.300 მანეთზე მეტი. კოოპერატიული ბანკი კოოპერატივის ინტერესებს უნდა იცავდეს. ჩვენ ვერ გაგვიგია, რით უნდა აეხსნათ ბანკის ამგვარი დედინაცვალური დამოკიდებულება აფენის კოოპერატივისადმი.

ქ. მოდებაძე.

მევახშეების თავგასულობა

(თერჯოლის თემი, შორაპნის მაზრა)

თერჯოლის თემში ფულის გასესხებამ მიიღო ეპიდემიური ხასიათი. ხშირად 10 მანეთზედ თვეში 2 მანეთს იღებენ სარგებლად. ერთი წლის განმავლობაში ფულის მეპატრონე 10 მანეთს 34 მანეთად აქცევს. არის ისეთი შემთხვევები, რომ ხელწერილებში თუ ვექსილებში, თავიანთ მეტს ჯარიმას სწერენ. ღარიბი გლეხი ვარდება მევახშის კლანჭებში.

თერჯოლის თემში, სოფ. მეწუხრელაში ცხოვრობს ღარიბი გლეხი—ისიდორე მუჯირი მას სესხათ აუღია თავის ქვრივ რძლისაგან, რომელიც თბილისში ცხოვრობს, 500 მან. ჯარიმა ხელწერილში დაუწერიათ 1.500 მანეთი. ვალი მუჯირს თავის დროზე ვერ გადაუხდია და უწყება მოუვიდა, რომ მისი რძალი უჩივა 2.000 მანეთს. კარგი ამბავია! 500 მან. სესხათ აღებული, 1.5000 მ. ჯარიმა, სულ 2.000 მანეთი. ამ ქალს ვექილიც აუყვანია. ალბათ ცუდი დღე მოელის ისიდორე მუჯირს! საჭიროა მიექცეს მევახშეების თავგასულობას სერიოზული ყურადღება. ერთხელ და სამუდამოთ უნდა აილაგმონ ისინი.

თერჯოლის თემს ეპირება საკრედიტო ამხანაგობა, [illegible] ახსნილი ღარიბ გლეხებს მიეცემა სა[illegible] განთავისუფლდენ მევახშეების კლ[illegible]

ვალ—ია.

წერილებიდან

შიათურა

დარაჯია თუ შინა ყმა? ადგილობრივ მეურნეობის განყოფილების მდივანი ალეოშა კ[illegible]ლეიშვილი ხსენებულ დაწესებულ დარაჯს იყენებს თავის პირად სამუშაოზე. აზიდვინებს სურსათ-სანოვაგეს, წყალს, თეთრეულებს მრეცხავთან, ავგვინებს ოთახს და სხვ. მართალია ადგილ. მეურნ. განყოფ. მდივნობა დიდი და ფრიად საპატიო თანამდებობაა, მაგრამ რა შუაშია სახელმწიფოს ჯამაგირზე მყოფი დარაჯი და ალიოშას ნიფხავ-პერანგი?

ობოლი სარკე.

ს. ჭიგნარი (ქუთ. მ.)

მისაბაძი მაგალითი. ჩვენი სოფლის მკვიდრმა, რკ. გზის რევიზორმა ბეს. დოლონაძემ შვებულებაში ყოფნის დროს დიდი სამსახური გაუწია ჭიგნარს. მან თბილისიდან ჩამოიტანა წყლის ამოსაღები მოწყობილობა და გაუკეთა ჭას, რ[illegible]ლითაც სარგებლობს 100 კომლი გლეხი. [illegible]ები გადარჩენ ყოველწლიურად თოკების და ვედროების ყიდვას. სოფელი დიდი მადლობელია ბ. დოლონაძის.

დაფიქრებული.

მუშათა ცხოვრება

„26 კომუნარის" სახელობის ქარხანაში

(ერთი სურათი ქარხნის ცხოვრებიდან)

ჩვენ გვაქვს მრავალი ქარხნები. დამაკმაყოფილებელია მათი გარეგანი სახე, შინაგანი მოწყობილობა და ადგილ-მდებარეობა. მაგრამ სულ სხვა სურათს დაინახავს ადამიანი, როდესაც დაათვალიერებს „26 კომუნარის" სახელობის სახელმწიფო ქარხანას. ჩქარი ტემპით მიისწრაფის აქაური აღმშენებლობა მშრომელთა საკეთილდღეოდ. ტეხნიკის უკანასკნელი მიღწევებით მოწყობილია ქარხნის საამქროები:—საწოლების დასამზადებელი, თუჯის ჩამომსხმელი, სადნობი, სამჭედლო, სადურგლო და სხ. პატარაა ქარხანა თავისი მოცულობით, მაგრამ იგი ბევრსა ქმნის სახელმწიფოსათვის.

— რა არის ეს?—ვეკითხები მუშა კაპიტონს, რომელიც დაზგასთან იდგა, გამურულიყო ზეთნარევ მაზუთში და ხალისიანად მუშაობდა.

— ეს საწოლების საამქროა. აქ მზადდება ყველა ზომის და მოთხოვნილების საწოლები სახელმწიფო დაწესებულებებისა, საავადმყოფოების, დისპანსერების, ამბულატორიებისათვის და სხ. იყო პასუხი.

— აბა, დამიჭირე ეს მილი, უნდა მოვღუნო, ამბობს ერთი მუშა მეორე მუშის საყურადღებოდ და აძლევენ მილს გველეშაპივით დაღრენილ მანქანის პირს მოსაღუნად. უკვე მოიღუნა მილი ერთ თვალის დახამხამებაზე. უერთდება ნაწილები ერთმანეთს და მზადდება ის, რის მოთხოვნილებაც არის.

ზოგიერთი საწოლი სისხს ბუღშია გახვეული, უკანასკნელნი ახლად შეღებულია და სიმხურვალით შრებიან.

მოუსვენრად ტრიალებენ დინამო-მანქანები. საამქროებში ქარხნის მუშაობა მათზეა დამოკიდებული. ეხახუნება ერთმანეთს სპილენძის ძაფები და ჩნდება ელექტრო-დენი, რომელიც გადადის საამქროებში მანქანების დასატრიალებლად. დახლართულია საამქროები ფართო ტყავის ქამრებით.

დაუმკლავებია მჭედელს მკლავები და არტყამს უროს გავარვარებულ რკინას და დამზადებული საგანი ეშვება გრდემლიდან.

მუშები ენერგიულად მუშაობენ. მათი შრომის და ნივთიერი პირობები გაუმჯობესებულია.

გუგუნებს ცეცხლი. მძლავრია იგი. მისი სიმძლავრე ადნობს თუჯს. დნება და ჩუხჩუხებს იგი დიდ ქვაბში. დამდნარი თუჯი ჩამოდის მილით სხვა ქვაბში და ცივდება. მას ხმარობს ქარხანა სხვადასხ. იარაღებისათვის. ანკარა წყაროს მოგვაგონებს, როდესაც დიდრონ კოვზებით ჩადის იგი ფორმებში.

უკვე გამოიყვანა ერთმა მუშამ ფორმაში თუჯი, გაცივდა კიდეც იგი. მას ჯერ კიდევ მრავალი ხორკლები აქვს ზედა. არსებობს თურმე ხორკლების მოსაშორებლად საშუალება. ტრიალებს უზარმაზარი მანქანა. სთლის მისი მჭრელი დანები თუჯს და შორდება გამოყვანილ საგანს ზედმეტი ხორკლები.

აგერ ჩასდეს თუჯის საგანი დიდ მანქანაში. აქ ნელად „დასეირნობს" იგი და სუფთავდება; მას ეცლება ზედმეტი „ხორცი".

მძიმეა თუჯის ჩამომსხმელთა მუშაობის პირობები. ამიტომ მათ ეძლევათ რძე და დამატებითი შვებულება.

შრიალებს სადურგლო საამქროში შალაშინები. ტრიალებენ სახერხი დაზგები. აქ ყველაფერი სუნთქავს, ცოცხლობს.

— აბა ასწიე ეს ფიცარი, გვერდი ჩამოვახეროთ. მიმართა ერთმა მუშამ მეორეს და მისცეს კიდეც თვითმხერხავ ხერხს კბილებში უზარმაზარი ფიცარი და იგი ერთ წუთშივე მზადაა.

ამზადებენ აქ სასწორებსაც

საქვაბე საამქროში ამზადებენ „ზაჰესისათვის" რკინის მაღალ ბოძებს.

ქარხანაში ხმაურია. ქშინავენ მანქანები. გუგუნებს ცეცხლი.

აგერ გაისმა საკუთარ საყვირის ხმა. წამოიშალენ მუშები სასაუზმოდ; ისაუზმეს დამშვიდებით, გადაათვალიერეს გაზეთები და კვლავ დაუბრუნდნენ თავიანთ დაზგებს. კვლავ განახლდა მუშაობა. ყველაფერი ცეცხლის ალში გაეხვია. ისმის უროების გუგუნი, ჩაქუჩების კაკანი. აქა-იქ მუშებიც მხიარულად ღიღინებენ.

— „გუდოკია", „გუდოკი"!—გაისმა მუშებში ძახილი და რამოდენიმე წუთის შემდეგ ისევ მოეფინენ მუშები თავიანთ კუპრიანით შავ ტანისამოსში თბილისის ქუჩებს.

ცალა ისინი სახლებისკენ მიეშურებიან.

მუშკორი ჯავახიშვილი.

გაახსენით ადგილკომს შრომის დისციპლინა

11 სექტემბერს (აღმასკომი) საბჭოთა მუშაკების ადგილკომის წევრების ამხ. ბაიდამვილის და ნებიერიძის ინიციატივით. გამგზავრენ ექსკურსიაზე აღმასკომის 12 თანამშრომელი ვლადიკავკაზში. მათი მიზანი იყო, მოეწყოთ სადღესასწაულო ხასიათის ექსკურსია, რომელიც ასეთი არ გამოდგა სინამდვილეში. 13 სექტემბერი სამუშაო დღე იყო. ეს დღე ექსკურსანტებმა გააცდინეს და დაწესებულებას ზიანი მიაყენეს.

ექსკურსიების მოწყობა კარგია, მაგრამ ექსკურსიის მოწყობით სამუშაო დღის გაცდენა ყოვლად დაუშვებელი არის და ეს იმ დროს, როცა ჩვენი მთელი ყურადღება მიქცეულია მომჭირნეობის რეჟიმის ჩატარებაზე.

საჭიროა საბჭოთა მუშაკების კავშირმა მიაქციოს ყურადღება ასეთ ადგილკომებს. გაახსენოთ მათ შრომის დისციპლინა.

მეუხრუჭეშვილი.

ტრამვაის მუშათა კლუბში

28 ოქტომბერს ტრამვაის მუშათა კლუბში მოხდა საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კავშირის ქართული პირველი „ლურჯ ხალათოსნების" („წითელი შოლტის") გამოსვლა ამხანაგ ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით.

საღამოს აუარებელი მუშა-მოსამსახურე თავიანთ ოჯახებით დაესწრო. პროგრამაში იყო: 1)პარად-ალე, 2) საწყევრო ახირებები, 3) მომეჭირ-კომა, 4) ჯარში გაწვევა, 5) ქმრები ჩამოდლეს მალეო, 6) ალიმენტი, 7) ინგლისის ამბები და 8) ვირ-ტაჟი.

ლურჯ-ხალათიანებმა საუცხოვო შთაბეჭდილება დასტოვეს მუშა-მოსამსახურეებზე. ტრამვაის კლუბში მეორეჯერ გამოდის ლურჯი ხალათი ახალ პროგრამით.

მთელი პროგრამა მხატვრულად და ცოცხლად ჩატარდა, მოთამაშეთ ეტყობათ სათანადო მომზადება, რაც ამხ. ს. ლორთქიფანიძის დაუღალავ და ენერგიულ მუშაობას უნდა მიეწეროს.

მადლობის ღირსია ამ პროგრამის ავტორი ამხ. სეზმან ერთაწმინდელი, რომელიც საზოგადოებამ აპლოდისმენტით და ყვავილებით დააჯილდოვა. წესრიგი ვერ იყო კარგად დაცული, ალბად გამგეობის დაუდევრობის ბრალი უნდა იყვეს.

სასურველია ეს ქართული „ლურჯი ხალათი" ხშირად გვეწვევოდეს, როგორც ჩვენ კლუბში, ისე სხვა კლუბებში ახალ-ახალ პროგრამით.

მთელ პროგრამაში მონაწილეობდა 14 ვაჟი და 6 ქალი.

საზოგადოება ფრიად ნასიამოვნები დაიშალა ღამის 12 საათზე.

მუშკორი ს. ხ—ევი.

მუშათა წერილებიდან

—რად ხდება ასე? ლითონ-ტრესტის ქარხნებში ამ ბოლო ხანებში ძალზე შემცირდა სამუშაობი, რადგან ქარხნებს არ ეძლევათ ახალი და დიდი შეკვეთები. მასიური შეკვეთები ხდება აღნიშნულ ქარხნების გარეშე კერძო მწარმოებლებთან.

„ფოდრიადჩიკები" და აგენტები, რომელთა ხელშია ახალი შეკვეთების ბედ-იღბალი, დადიან კერძო პირებთან, გვერდს უხვევენ ტრესტის ქარხნებს და დაკვეთებს აძლევენ კერძო პირთ. ეს კი მეტად სახიფათოა სახელმწიფოსათვის. აქ ვილაცები, ალბად, ხელს ითბობენ სახელმწიფოს ხარჯზე, რაც დაუშვებელია.

საჭიროა, ამ გარემოებას მიექცეს სათანადო ყურადღება, ვისგანაც ჯერ არს.

მუშკორი ნათენაძე.

— ამ მუშებმა რაღა დააშავეს?! ტყავ-ტრესტის მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი უდრის 600 კაცს. მათ შორის არის სამი მეტაბელე. ყველა მუშა-მოსამსახურეთა შრომის პირობები თანდათან უმჯობესდება, ამ მეტაბელეთ კი არაფერი ეშველა. მათი ხელფასი 42 მანეთს უდრის. არავითარი განსაკუთრებული ჯილდო მათ არ ეძლევათ. არ ეძლევათ მათ არც სპეცტანსაცმელები.

რაღა დააშავეს ამ მუშებმა?!

მუშკორი ნაპერწკალი.

— როდის მოგვაქცევენ ყურადღებას. ორთაჭალის ქარხნებში დაბანდებულია რამოდენიმე ასეული მუშა-მოსამსახურე. ორთაჭალა ყოველთვის განთქმული იყო თავისი ტალახით წვიმების დროს და მტვერით მზიან დღეებში. ეხლაც ამ საშინელ ხან მტვერში და ხან ტალახში იტანჯებით რამოდენიმე ასეული მუშაბი.

საჭიროა აღმასკომმა მიიღოს სათანადო ზომები აქ მუშათა უბნის კეთილმოწყობისათვის.

მუშკორი მნახველი.

მუშათა ქრონიკა

— მუშათა კლუბში. ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბის ქართულ დრამწრის რეჟისორმა ვ. ნინიძემ გადმოთარგმნა ამხ. კარონსკის ინსცენიროვკა, რაც უკვე დაიდგა 7 ნოემბერს. აღნიშნულ კლუბში.

— დაზიანებული ბინების შეკეთება. ამ.-კავ. რკ.-გზ. სამმართველომ რკინისგზელთა ბინების შესაკეთებლად გადასდო 10.000 მანეთი.

—10.000 მანეთი. ა.-კ. რკინის გზის სამმართველომ სომხეთში მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად (რკინისგზელთათვის) და ბინების ასაგებად გადასდო 10.000 მანეთი.

— პროფწრე. სად. თბილისის მოძრაობის დარგში არსდება პროფწრე. პროფწრეში მიიღებენ იმ მუშებს, რომელნიც დაინტერესებულნი არიან პროფმოძრაობის საქმეში.

— ზეიმი. ამხ. ს. ორჯონიკიძის და პლეხანოვის სახელობის კლუბში ოქტომბრის რევოლიუციის მეცხრე წლის თავის აღსანიშნავად შესდგება საღამო-ზეიმი. წარმოდგენით.

— მომღერალთა გუნდი. სად. თბილისის მოძრაობის დარგში დაარსდა მომღერალთა გუნდი. გუნდის ხელმძღვანელად მოწვეულია გამოცდილი კაცი.

— 1.770 წევრი. ამჟამად ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის მუშათა კლუბი აერთიანებს კლუბის 1.770 წევრს.

— ოქტომბრის დღესასწაულის დღეს. ოქტომბრის რევოლიუციის 9 წლის თავზე 7 ნოემბერს, კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალის" რედკოლეგიამ გამოუშვა ქარხანაში სპეციალური № კედლის გაზეთის. გაზეთი როგორც შინაარსით, აგრეთვე გარეგნობით მიმზიდველია.

გაზეთი გამოდის სამ ენაზე: ქართულად. რუსულად და სომხურად.

რედკოლეგია ენერგიულად მუშაობს.

— დაარსდა მოჭადრაკეთა წრე. კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალის" კულტკომისიამ ქარხნის მუშებისათვის დაარსა „მოჭადრაკეთა" წრე. წრეში მუშები ხალისიანად ეწერებიან.

ამავე ქარხანაში მბეჭდავთა კავშირი აარსებს წრეს ქართულ წერა-კითხვის შესასწავლად უცოდინარებისათვის.

მოსახლეობის აღწერის გამო

(თეზისები)

1. საბჭოთა სახელმწიფო თავის ყოველდღიურ მუშაობაში, ყოველ ნაბიჯზე საჭიროებს ცნობებს, რომელნიც აშუქებენ ჩვენი კავშირის ხალხის ცხოვრების პირობებსა და მოთხოვნილებებს. ეს ცნობები მით უფრო საჭიროა საბჭოთა მთავრობისათვის, რომ იგი, განსხვავებით ბურჟუაზიულ სახელმწიფოთაგან, სადაც მთელი ცხოვრება აშენებულია კერძო ინტერესთა ბრძოლაზე და დაცული არ არის მთელი სახალხო მეურნეობის ინტერესები,—იგი, ჩვენი მთავრობა, ცხოვრებას აშენებს გეგმიან საფუძველზე, რომლის დროს ყველაფერი უნდა იყოს გათვალისწინებული და აწონილ-დაწონილი მთელი ჩვენი კავშირის მშრომელთა ცხოვრების სწორ, ჯანსაღ ნიადაგზე აღმშენებლობისათვის.

2) განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვთ ცნობებს მოსახლეობის შესახებ, რომლის ყოველმხრივ ცოდნა სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ და სამეურნეო ცხოვრებაში დიდი დახმარების გაწევა შეუძლია საბჭოთა სახელმწიფოსათვის მშრომელთა ცხოვრების საუკეთესოდ მოწყობის ზრუნვის საქმეში.

ამგვარად, როცა საკითხი ეხება მოსახლეობის სურსათით ან სხ. დაკმაყოფილებას, შეუძლებელია საკითხის გადაწყვეტა, თუ სისწორით არ იქნა აღრიცხული ამა თუ იმ ადგილის მოსახლეობა. როცა ჩვენ ვიმუშავებთ გეგმას და ღონისძიებებს უმუშევრობასთან ბრძოლისა, მრეწველობის განვითარებისათვის ამა თუ იმ რაიონში, ჩვენ გვესაჭიროება სწორი ცნობები მუშა ხელის და მოსახლეობის შემადგენლობის შესახებ. სასკოლო ქსელისა და სხვა განმანათლებელი ხასიათის დაწესებულებათა სისწორით გაფართოებისათვის აუცილებელია გვქონდეს მთელი მოსახლეობის, წერა-კითხვის მცოდნეთა, სასკოლო ჰასაკის და სხ. სწორი რიცხვი. სწორედ ასევე, მოსახლეობისათვის სამედიცინო, სანიტარული დახმარების აღმოსაჩენად აუცილებელია ცოდნა იმისა, თუ როგორ არის განაწილებული მოსახლეობა ცალკე დასახლებულ ადგილების მიხედვით.

3) ამგვარად, ცხოვრების რომელ მხარესაც არ უნდა შევეხოთ, აუცილებელია მოსახლეობის სრული აღრიცხვა.

ასეთი ცნობების მიღება საბჭოთა სახელმწიფოს არ შეუძლია საყოველთაო აღწერის გარეშე. მართალია, ჩვენში, ამიერ-კავკასიაში იყო აღწერები საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, მაგრამ ამ აღწერებით მიღებული ცნობები უკვე დაძველდა, ვინაიდან მას შემდეგ დიდი ცვლილებები მოხდა როგორც მოსახლეობის ზრდის, ისე მისი განათლების მხრივ კავშირის ტერიტორიაზე და აგრეთვე სოციალური შემადგენლობისაც: დამთავრდა სამოქალაქო ომი, მოსახლეობა დაუბრუნდა მშვიდობიან შრომას, დამთავრდა სამხედრო ტყვეთა გაცვლა-გამოცვლა; შეჩერდა ლტოლვილების მოძრაობა, რომელიც ომმა და შიმშილმა დაძრა თავიანთი ადგილებიდან; მოსახლეობა მკვიდრად დაესახლა თავის საცხოვრებელ ადგილას; დაიწყო მოსახლეობის ლტოლვა ქალაქებისაკენ მრეწველობის აღორძინების გამო; დიდი ცვლილებები მოხდა მოსახლეობის განაწილებაში ხელობის, ჰასაკის, ოჯახური და სოციალური მდგომარეობის და სხ. შემადგენლობის მხრივ. ყოველივე ამის გაგება და გათვალისწინება აღწერის გარეშე შეუძლებელია; შეუძლებელია აგრეთვე ნაკლების თუ მეტის სისწორით აღრიცხულ იქნას მოსახლეობის საერთო რიცხვი, ვინაიდან ომის გამო ძალიან შეიცვალა დაბადებულთა და გარდაცვალებულთა რიცხვი.

4) ითვალისწინებს რა ყოველივე ამას და აღიარებს რა აღწერის უდიდეს მნიშვნელობას საბჭოთა სახელმწიფოსათვის, ჩვენი მთავრობა, მიუხედავად მომჭირნეობის სასტიკი რეჟიმისა, დიდ თანხებს იღებს (20 მილ. მანეთამდე), როგორც აღწერის ჩატარებისათვის, ისე მისი დამუშავებისათვის.

5) აღწერა შეეხება როგორც ქალაქის, ისე სოფლის მთელ მოსახლეობას, როგორც სრული ჰასაკის, ისე ბავშვების შემადგენლობა მთელი ჩვენი კავშირის თვალუწვდენელ ტერიტორიაზე. ყოველი პიროვნება აღწერილი იქნება ცალკე, ცალკე ფურცლებზე, რომელშიაც აღნიშნული იქნება მის სქესი, ჰასაკი, ხელობა, წერა-კითხვის ცოდნა არ ცოდნა და სხ. ქალაქის მოსახლეობის აღწერის დროს, გარდა ამისა, შეივსება საცხოვრო ბარათები და ქონების ფურცლები იმ მიზნით, რომ შესწავლილი იქნეს ქალაქის მოსახლეობის ოჯახის შემადგენლობა და აგრეთვე საბინაო პირობები.

6) აღწერის შედეგად მიღებული ხმოვანურავი ცნობები მოსახლეობის რიცხვისა, მისი განაწილებისა ცალკე რაიონებად, მისი შემადგენლობის ეროვნების, სქესის, ჰასაკის, სოციალური მდგომარეობის და წერა-კითხვის ცოდნა არ ცოდნის მიხედვით და აგრეთვე დაწვრილებითი ცნობები ბინებისა და მფლობელობის შესახებ, იქნება ის საფუძველი რომელსაც დაემყარება ჩვენი საბჭოთა სახელმწიფო თავის საქმიანობაში. აღწერა მოგვცემს საშუალებას: ა) შევადგინოთ გეგმა საყოველთაო სწავლის შემოღებისა და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა, ბ) შევიმუშავოთ საავადმყოფოების, ამბულატორიების, აფთიაქების და სხ. სამედიკოსანიტარული დაწესებულებების სწორი ქსელი, გ) დავამუშაოთ გეგმა ომისა და შრომის ინვალიდების და საერთოდ დაუძლურებულების უზრუნველყოფისა, დ) გამოვარკვიოთ უმუშევართა რაოდენობა და შევიმუშავოთ ზომები მის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, ე) შევადგინოთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის დასაბუთებული გეგმა, რომელიც ჯერ კიდევ იმყოფება იმპერიალისტური გარემოცვის სალტეებში და სხ.

7) საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებამ, რომლის მიხედვით აკრძალულია სააღწერო ბლანკების გამოყენება სხვა რომელიმე მიზნით, გარდა სტატისტიკური ცხრილების შედგენისა, უნდა უზრუნველყოს სრული ნდობა აღწერისადმი მოსახლეობის მხრივ, რომელსაც შეუძლია თავისუფლად და სისწორით, მისცეს ყველა საჭირო ცნობები და არ იქონიოს იმის შიში, რომ ეს ცნობები გამოყენებული იქნება სხვა რომელიმე მიზნებისათვის.

8) აღწერა ჩატარდება ამა წლის დეკემბერში. დაიწყება 17 დეკემბერს და დამთავრდება ქალაქებში 23 დეკემბერს, სოფლებში კი 30 დეკემბერს.

9) მოსახლეობის აღწერისათვის ამიერ-კავკასიაში საჭირო იქნება 10.000-მდე მუშაკი. აღწერის ჩატარების სიძნელე ჩვენში, ამიერ-კავკასიაში რთულდება მთელ რიგ ადგილობრივ პირობების თავისებურობით, როგორიცაა, მაგალითად: გზების უქონლობა, გადაკვეთილი რელიეფი ,ეროვნული ზნე-ჩვეულების პირობები, მოსახლეობის ნაკლები განათლება, ინტელიგენტურ ძალების ნაკლებობა, მიმოსვლის სიძნელე ზამთრის პერიოდში და სხ.

ასეთ პირობებში მხოლოდ სტატისტიკურ ორგანოებს, პარტიისა, ხელისუფლებისა და საბჭოთა საზოგადოებრიობის ფართო დახმარების გარეშე, არ შეეძლებათ ამ უდიდესი ამოცანის შესრულება—აღწერის ჩატარება, ასე ხანმოკლე ვადაში (7 დღე ქალაქებში და 14 სოფლებში), განსაკუთრებით ზამთარში.

10) აუცილებელია, რომ თვითონ მოსახლეობამაც უნდა მიიღოს აქტიური მონაწილეობა აღწერაში.

საბჭოთა ამიერ-კავკასიის ყველა მშრომელნი უნდა გაიმსჭვალონ ამ საქმის უდიდესი მნიშვნელობის ღრმა შეგნებით და ნათლად გაითვალისწინონ ის მჭიდრო კავშირი, რომელიც არსებობს აღწერასა და ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობის მორიგ ამოცანებს შორის; მათ უნდა ახსოვდეთ ყოველთვის, რომ მათ მიერ სწორი და სრული ცნობების მიწოდება აღწერის დროს საშუალებას მოგვცემს წარმატებით ჩავატაროთ აღწერა და მით მივცეთ საბჭოთა მთავრობას ყველა ის ცნობები, ურომლისოდაც მეტად ძნელია სოციალისტურ სახელმწიფოს აშენება გეგმიან საფუძველზე.

ქაღალდის ქარხანა

ქაღალდის ქარხნის ასაგებათ დღემდე ამორჩეული იყო ენგურის რაიონი, სადაც დიდი ხანია სწარმოებდა შესწავლა იმისა, თუ რამდენად ხელსაყრელია ადგილობრივი პირობები ქაღალდის მრეწველობისათვის.

ენგურზე ქარხნის აგება ცნობილ იქნა ყოველმხრივ მიზანშეწონილათ და ხელსაყრელათ, ხოლო საამისოთ გამოუსადეგარი გამოდგა თვით მდ. ენგურის წყალი, რომელშიაც აღმოჩნდა ზომაზე მეტი რაოდენობის რკინა.

ამ დღეებში ს. მ. უ. ს. განკარგულებით ენგურზე ქარხნის ასაგებ ადგილის ასარჩევათ იგზავნება სპეციალისტ-ინჟინერების კომისია, რომელშიაც შედიან ინჟ. ტიმოფეევი, ქართველიშვილი და თუმანოვი.

ამავე დროს ქარხნის ასაგებათ წარმოდგენილ იქნა აგრეთვე მეორე ვარიანტიც. ამ ვარიანტით ქაღალდის წარმოება უფრო ხელსაყრელათაა ცნობილი ბზიბის რაიონში (აფხაზეთი). ამის გამო გადაწყვეტილია შეუდგენ მდ. ბზიბის წყალის გამოკვლევას.

ხვნა-თესვა

რთველის დამთავრებისა და საშემოდგომო ჭირნახულის მოწევის შემდეგ, კახეთში დაიწყო ხვნა-თესვის ალო. ოქტომბრის მეორე ნახევრიდან საშემოდგომო ხვნა-თესვისათვის შესაფერი ამინდი სდგას. წლევანდელი ხვნა-თესვის კამპანია წარსული წლებისგან იმით განირჩევა, რომ არასოდეს კახეთში ამდენ ტრაქტორს არ უმუშავნია. ამჟამად მხოლოდ სიღნაღის მაზრაში მუშაობაშია ჩაბმული 50 ტრაქტორი. შირაქის ველის ყანებზე მუშაობა სწარმოებს ახლოლად მარტო ტრაქტორებით.

ტრაქტორების ნაყოფიერ მუშაობას აბრკოლებს ტრაქტორისტების ნაკლებობა. ამ მიზეზით ზოგიერთი ტრაქტორი შეჩერებულია. გარდა ამისა, გამოუცდელ ტრაქტორისტების ხელში მანქანის მექანიზმი მალე ფუჭდება. შესაკეთებელი სახელოსნოები კი მთელს მაზრაში არ მოიპოვება. ტრაქტორის უმნიშვნელო გაფუჭების დროს იძულებული ხდებიან ტრაქტორი შესაკეთებლად თბილისში გადაგზავნონ.

სიღნაღის მაზრის აღმასკომის აგრონომიულმა განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა, რათა წნორის წყალში მოწყობილ იქნეს ტრაქტორების სარემონტო სახელოსნო.

მეცნიერება და ტექნიკა

სინათლე და მისი ხელოვნურად მიღება

11. სინათლის ბუნებრივი წყაროები

პირველ წერილში საუბარი გვქონდა სინათლის რაობის შესახებ და მოკლეთ მოთხრობილი სინათლის მოძღვრების ისტორია.

გადავიდეთ სინათლის წყაროების განხილვაზე. სინათლის წყაროები ორ უმთავრეს ჯგუფად შეიძლება დავყოთ. პირველ ჯგუფს ეკუთვნიან ე. წ. ბუნებრივი წყაროები, მეორეს ხელოვნური.

პირველ ჯგუფს ეკუთვნის: მზე, მთვარე და ვარსკვლავები. ცხადია, რომ ამ სამ სინათლის წყაროთა შორის პირველი ადგილი მზეს უჭირავს. მისი სინათლე გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე უკანასკნელი ორის და ამიტომ მეტი მნიშვნელობაც აქვს ადამიანისათვის.

ამ წერილში ბუნებრივ წყაროთა შორის მზეს შევეხებით, მაგრამ სანამ მზეზე ვილაპარაკებდეთ ორიოდე სიტყვა მთვარის და ვარსკვლავების შესახებ.

მთვარეს, როგორც პირველ წერილში გვქონდა ნათქვამი. თავისი საკუთარი სინათლე არა აქვს, ე. ი. უშუალოდ არ წარმოადგენს სინათლის წყაროს. ის ისე, როგორც დედა-მიწა, ცივ სხეულს წარმოადგენს. მისი სინათლე მზის ანარეკლი სინათლეა და მისი ძალა მზის სინათლის ძალასთან შედარებით, ცხადია, ძლიერ მცირეა. მაშინაც კი, როდესაც მთვარე სავსეა, მისი სინათლე მზის სინათლეზე 90.000-ჯერ ნაკლებია. ასე, რომ თუ წარმოვიდგენთ ორ ზედაპირს, ერთს განათებულს მზის სხივებით და მეორეს მთვარის სინათლით, მაშინ პირველი ზედაპირი მოგვეჩვენება, როგორც მოკაშკაშე თეთრი ზედაპირი, მეორე კი შავად. მიუხედავად მთვარის სინათლის ძალის ასეთი სიმცირისა, მას მაინც მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის.

მთვარიან ღამეში ადამიანს შეუძლია გაარჩიოს ახლო მდებარე საგნები და თავისუფლად იმოგზაუროს ხელოვნურ განათების გარეშეც.

ვარსკვლავებს მთვარეზე კიდევ ნაკლები სინათლე აქვს. მიუხედავათ იმისა, რომ სინამდვილეში ვარსკვლავების სინათლე ისეთივე დიდია, როგორც მზის. ჩვენამდე მოღწეულ ვარსკვლავთა სინათლის სისუსტე აიხსნება იმ მანძილის სიდიდით, რომლითაც ვარსკვლავები დაშორებულნი არიან დედა-მიწას.

სხვადასხვა ვარსკვლავთა სინათლე სხვადასხვა ხასიათისაა. შეუიარაღებელ თვალითაც შეიძლება შემჩნევა, რომ ზოგიერთ ვარსკვლავთა სინათლე მოწითალოა, ზოგიერთების კი მოცისფრო. ზოგ ვარსკვლავთა სპექტრი ძლიერ გავს მზის სპექტრს, ზოგის კი განირჩევა. ვარსკვლავების სინათლეს ასტრალურ სინათლეს უწოდებენ. ასტრალური ლათინურ სახელწოდებიდან წარმოსდგა. ასტრა — ლათინურად ვარსკვლავს ნიშნავს.

მართალია, როდესაც პირველყოფილმა ადამიანმა შესძლო ცეცხლის ხელოვნურად მიღება, მან ამით სინათლის ხელოვნური წყაროც მიიღო, მაგრამ ის კარგად გრძნობდა იმას, რომ ხელოვნურად მიღებული სითბო და სინათლე ვერ შეედრება ვერც სიძლიერით და ვერც ხანგრძლივობით მზის სითბოს და სინათლეს. ადამიანი იმ თავითვე გრძნობდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მზეს, როგორც ადამიანისა [illegible]ებისათვის, ისე საერთოთ მთელი ბუნე[illegible] ყენებულიბობდა და ანათებდა—ყვე[illegible]ყოფს ოხოდა, ხარობდა, ჩაქვიდოდა [illegible]ქტიურ ხასი[illegible] მზე, და თითქოს ბუნება იძინებდა, ისვენებდა. ზაფხულში, როდესაც მზე უფრო ათბობს და ანათებს, პირველყოფილი ადამიანის ცხოვრება უფრო ადვილი იყო: საკვებს ადვილად და მეტს შოულობდა, სიცივე იმდენად არ აწუხებდა და ბინის აგებაც უფრო ადვილი იყო.

დადგებოდა ზამთარი, მზე უფრო ნაკლებ სითბოს და სინათლეს აწვდიდა დედამიწას და ამით ადამიანს მეტი დაბრკოლებანი ხვდებოდენ არსებობისათვის ბრძოლაში. ამიტომ საკვირველი არაა, რომ პირველყოფილი ადამიანი მზეს უყურებდა, როგორც განსაკუთრებულ მოვლენას. მასში ხედავდა სიცოცხლის და კეთილდღეობის წყაროს. ასეთმა შეხედულებამ მზეზე წარმოიშვა ე. წ. მზის კულტი, პირველყოფილმა ადამიანმა ის ღმერთათ აღიარა.

ადამიანის ცხოვრების განვითარებასთან ერთად მზის კულტმა, თაყვანისცემამ რთული ხასიათი მიიღო.; გაჩდენ ქურუმები, ე. ი. კულტის განსაკუთრებული მსახური პირნი, დაიწყო მსხვერპლის მიტანა, ხან ნიშნად მადლობისა, და ხან კი ნიშნად წყალობის მოვლენისა. მზის გაღმერთებას თან მოჰყვა ლეგენდები, გადმოცემები მისი ცხოვრების, ბოროტ სულებთან ბრძოლის შესახებ და სხვა.

მორწმუნეთ მზე ჰყავდათ წარმოდგენილი, როგორც კეთილი სული, რომელიც ადამიანის საკეთილდღეოთ იწვის, მაგრამ ბუნებაში არსებობენ კეთილ სულს გარდა ბოროტი სულები, ძალები; ეს ბოროტი ძალები სულ იმის ცდაში არიან, რომ ადამიანს რაიმე ზიანი მიაყენონ და ამისათვის ისინი პირველ რიგში ბრძოლას უცხადებენ მზეს, როგორც ადამიანის მფარველს და კეთილის მსურველს. ერთი სიტყვით, ამ ორ კეთილ და ბოროტ ძალების შორის მუდმივი განუწყვეტელი ბრძოლაა და ხშირად ეს ბრძოლა ბოროტმხნელ ძალთა გამარჯვებით თავდება: ღამე ბოროტნი იმარჯვებენ და სინათლეს ართმევენ მზეს, შემოდგომაზე ამცირებენ მის მუშაობას და ზამთარში კი თითქმის სავსებით ამარცხებენ. ზოგიერთ ხალხთა ლეგენდებით მზე ამ დროს წარმოდგენილი ყავდათ, როგორც დატყვევებული ბოროტ ძალების მიერ. მაგრამ ტყვეობაში მზე თანდათან ძალას იკრეფს და გაზაფხულზე ტყვეობიდან თავისუფლდება. ყველგან, სადაც კი იყო გავრცელებული მზის თაყვანისცემა, გაღმერთება, არსებობდა განსაკუთრებული დღესასწაულები. ეს დღესასწაულნი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყვნენ გაზაფხულზე, როდესაც მზე ამარცხებდა ბნელ ძალებს, ე. ი. მისი სინათლე და სითბო მატულობდა და შემოდგომაზე, როდესაც მისი ცხოველმყოფელური ძალა კლებულობდა. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ხალხებში მზის თაყვანისცემასთან ერთად გავრცელებული იყო ცეცხლის თაყვანისცემა.

მაგალითად ცეცხლის კულტი არსებობდა ძველ გერმანელ, მექსიკელ, სპარსელ და სხვა ხალხების შორის. მზისა და ცეცხლის თაყვანისცემა ერთხანს სპარსეთის გავლენით ჩვენშიაც იყო გავრცელებული, რის შესახებ ხალხურ გადმოცემებში ბევრი რამ არის დარჩენილი. ცეცხლ-თაყვანისცემის ნაშთები უკანასკნელ ხანებამდე არსებობდა. შორს რომ არ წავიდეთ მაგალითისათვის, საკმარისია დავასახელოთ ბაქო, სადაც ცეცხლის კულტმა [illegible] საუკუნის დამლევამდე მიაღწია და სამლოცველო კი ეხლაც არსებობს.

დრო გადიოდა, ადამიანი თანდათან გამოდიოდა—პირველ ყოფილ ველურ მდგომარეობიდან; ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა მისი ცოდნა, გამოცდილება და მისი წარმოდგენაც ბუნების ძალების შესახებ იცვლებოდა, ჭეშმარიტებას უახლოვდებოდა. მაგრამ ძველ შეხედულებათა, რწმენათა, უარყოფა, ყველასათვის როდი იყო სასურველი, ყველასათვის როდი იყო სასარგებლო. ყოველი სახის სარწმუნოების მსახურნი ქურუმთა და სამღვდელოების წოდება დაინტერესებული იყო მით, რომ ხალხი ცრუმორწმუნეობაში ყოფილიყო გახვეული, რადგანაც უვიც და ცრუმორწმუნე ადამიანზე ბატონობა ადვილია. არა ერთი და ორი მეცნიერი, რომელთაც ბუნების მოვლენებს სულ სხვა თვალსაზრისით შეხედეს და პირველ ყოვლისა მათი ღვთაებრიობა უარყვეს, იდევნებოდა და ხშირად სიკვდილით ისჯებოდა ძველი სწავლის, უვიცობის და ცრუმორწმუნეობის მომხრეთა მიერ. გავიხსენოთ თუ გინდ კოპერნიკის სწავლის დევნა და წამება გალილეისა

მაგრამ მიუხედავად დევნისა და წამებისა მეცნიერება მაინც განაგრძობდა წინსვლას და მრავალ სხვა სწავლასთან ერთად მზის სწავლაც ჭეშმარიტების გზით წავიდა. სწავლა მზის შესახებ კერძოდ, და ცის მნათობთა შესახებ საერთოთ უხსოვარ დროიდან მომდინარეობს. მართალია, ადამიანი დედამიწასთან უფრო ახლოს იყო, ვიდრე ცის სხეულებთან, მაგრამ მაინც თავისი ყურადღება უმალ ცას მიაქცია, ვინემ დედამიწას. და ამიტომ ასტრონომია, სწავლა ცის მნათობთა შესახებ. უძველეს მეცნიერებათა რიცხვს ეკუთვნის. მრავალმა ცნობებმა ცის მნათობთა შესახებ, რომლებიც ძველად არსებობდენ, ჩვენამდე ვერ მოაღწიეს. იმ ომებისა და ქარტეხილების დროს, რომლებიც განიცადეს სხვადასხვა ერებმა მრავალ საუკუნეთა მანძილზე, ბევრი საგულისხმო ცნობები დაიღუპენ და ჩვენამდე ვერ მოაღწიეს.

დარჩენილი მცირე ცნობები მაინც ცხადყოფენ, თუ რა ადრე მიაქცია ყურადღება ადამიანმა ცის მნათობთა და მათ შორის უპირველესად მზის შესწავლას.

არის ცნობა, რომ ეგვიპტეში 4625 წლით ადრე (ქრისტეს დაბადებამდე) აწარმოებდენ მზის დაბნელების დაკვირვებას ან და ჩინეთში იმავ მოვლენის შესახებ 4622 (ქ. დ.) ჩინეთის იმპერატორი დეუ-კონგა 3525 წლის წინად აწარმოებდა დედამიწის ღერძის ეკლიპტიკის სიბრტყის მიმართ დახრის გამოანგარიშებას.

მართალია, ასე ადრე დაიწყო სწავლა ცის მნათობთა შესახებ, მაგრამ ნამდვილ, ჭეშმარიტ, მეცნიერულ გზას, როგორც ასტრონომია, ისე სწავლა დედამიწის შესახებ, დაადგა ახალ საუკუნეებში. კოპერნიკის სწავლის შემდეგ წარმოდგენა ცის მნათობთა და დედამიწის შესახებ სრულიად ახალ ნიადაგზე დადგა.

როგორც ვსთქვით ამ ახალ სწავლის მოწინააღმდეგენი გამოუჩნდენ, უმთავრესად სამღვდელოების სახით, მაგრამ საბოლოოდ ჭეშმარიტებამ გაიმარჯვა და ახლა ჩვენ მზის და საერთოთ ცის მნათობთა შესახებ მრავალი სწორი ცნობები მოგვეპოვება.

თუ წინად მზე თავისი სიდიადით, ცხოველმყოფელობით ისე აკვირვებდა ადამიანს, რომ მისი გაკვირვება და მოხიბლვა მზის გაღმერთებამდე მივიდა, ეხლა ნაკლებ საკვირველია ის ცნობები მზის შესახებ, რომელსაც თანამედროვე მეცნიერება იძლევა. ავიღოთ მაგალითისათვის მანძილი მზისა და დედამიწის შორის. ზუსტი გამოანგარიშებით ეს მანძილი უდრის 149 ½ მილიონ კილომეტრს. ეს მანძილი იმდენად დიდია, რომ ჩვენ წარმოდგენაც კი გვიძნელდება ასეთ დიდი რიცხვების, რადგან შესა[illegible] დედამიწაზე არ მოგვეპოვება ასეთი [illegible] მანძილი, რომ დაახლოვებით მაინც წარმოვიდგინოთ ეს მანძილი, ამისათვის მივმართოთ შემდეგნაირ შედარებას. დაუშვათ, რომ დედამიწის და მზის შორის არსებობს რკინის გზა. თუ დედამიწიდან გაუშვებთ მატარებელს, რომელიც ანვითარებს 70 კილომეტრ სისწრაფეს საათში და თან მატარებელი არსად გზაზე არ ჩერდება, სანამ არ მიაღწევს მზეს, იგი (მატარებელი) დანიშნულების პუნქტს, ე. ი. მზეს, მიაღწევს 243,8 წლის შემდეგ. ასე, რომ დედამიწიდან მზეზე ასვლას და იქიდან დაბრუნებას ზემოაღნიშნული სისწრაფით მავალი მატარებლით მოუნდება 5 საუკუნე. 70 კილომეტრის სისწრაფე შედარებით დიდი სისწრაფეა დედამიწაზე არსებულ მანძილისათვის, მაგრამ სრულიად უმნიშვნელოა დედამიწის და მზის შორის მანძილისათვის. ამიტომ ავიღოთ მეორე შედარება. როგორც ვიცით ხმის (ბგერის) სისწრაფე ჰაერში უდრის 332 მეტრს წუთში და თუ მზიდან ასეთივე სისწრაფით გადმოგზავნილი იქნა ბგერითი სიგნალი დედამიწაზე, მას გავიგონებთ მხოლოდ 14 წლის შემდეგ.

მაგრამ თუ შევადარებთ მანძილს დედამიწისა და მზის შორის მანძილთან, რომელიც არსებობს დედამიწასა და სულ უახლოეს ვარსკვლავს შორის, მაშინ მანძილი მზემდე რაღაც უმნიშვნელოდ მოგვეჩვენება. მანძილი უახლოეს ვარსკვლავამდე 275.000 ჯერ მეტია, ვიდრე მზემდე. ასეთ წარმოუდგენელ სიდიდით აიხსნება ის გარემოება, რომ ვარსკვლავების სინათლე მზის სინათლესთან შედარებით ძლიერ სუსტია.

როგორია სიდიდე მზისა.

აქაც შედარებას მივმართოთ. მზის დიამეტრი დაახლოვებით დედამიწის 109 დიამეტრს, ანუ 1.390.978 კილომეტრს უდრის და გარშემოწერილობა კი 4.363.000 კილომეტრს. მისი ზედაპირი 12.000-ჯერ მეტია დედამიწის ზედაპირზე, ე. ი. უდრის 5 ½ ბილიონ (ბილიონი უდრის მილიონს გადამრავლებულს მილიონზე) კვადრატულ კილომეტრს. მოცულობა მისი 1.230.000 ჯერ მეტია დედამიწის მოცულობაზე, ე. ი. 11.390.000 ბილიონ კუბიკურ კილომეტრს უდრის.

ზუსტად არის გამოანგარიშებული რომ მზის წონა 324.000-ჯერ მეტია დედამიწის წონაზე. თუ ვიცით მოცულობა და წონა, აქედან ადვილი გამოსაანგარიშებელია მზის სიმკვრივის გამოცნობა. აღმოჩნდა, რომ მისი სიმკვრივე ნაკლებია დედამიწის სიმკვრივეზე. თუ დედამიწის სიმკვრივეს მივიღებთ ერთეულად, მაშინ მზის სიმკვრივე 0,255 იქნება, ე. ი. ის ნივთიერებანი, რომლებისაგანაც შესდგება მზე, იწონიან ოთხჯერ ნაკლებს, ვინემ დედამიწის შემადგენლობის ნივთიერებანი. წყალსა და მზის სიმკვრივეთა შედარებიდან გამოირკვა, რომ მზე უფრო მკვრივეა.

რაც შეეხება მზის ტემპერატურას, ამ საკითხში აზრთა დიდი სხვადასხვაობა არსებობს. ზოგიერთ მკვლევართა აზრით ის არ აღემატება რამოდენიმე ათას გრადუს, ზოგიერთების აზრით კი რამოდენიმე მილიონს უდრის.

როგორია მზის ფიზიკური აგებულება.

მართალია, ჯერ კიდევ არ ვიცით, თუ რას წარმოადგენს მზის შიგნი, მაგრამ, მრავალ დაკვირვებათა მიხედვით, შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მზის ბურთი წარმოადგენს მეტის მეტად შესქელებულ დიდი სიმკვრივის გაზს. მისი გარეგანი გარსი წარმოადგენს უსაზღვროთ მნათ ზედაპირს, რომელსაც ჩვენ ყოველ დღე ვხედავთ. ამ ზედაპირს ფოტოსფერა ეწოდება. სწორედ ამ ფოტოსფერიდან ვღებულობთ სითბოს და სინათლეს. მზის ფოტოსფერა ძლიერ ტელესკოპებში გვეჩვენება მარცვლოვანისებური. [illegible] ერთმანეთს ერთვიან. ეს იმას ნიშნავს, რომ ფოტოსფეროს შემადგენელი ნივთიერებანი მუდმივ ცვალებადობას განიცდიან, ე. ი. სწარმოებს მუდმივი, განუწყვეტელი ფიზიკური და ქიმიური პროცესები. ეს განუწყვეტელი ცვლილება ფოტოსფეროს შემადგენლობისა არის სითბოს და სინათლის წყარო.

ჩვენ ვსთქვით, რომ ფოტოსფერა თითქოს მარცვლებიდან შესდგება, მაგრამ ჩვენ მხედველობაში უნდა მივიღოთ ამ მარცვლების ზომა.

მარცვლების ოდენათ ჩვენ ისინი გვეჩვენება ტელესკოპში, ისე კი, სინამდვილეში, რამოდენიმე ასეულ კილომეტრს უდრის მათი ზომა.

ამ მნათ წერტილებს ანუ მარცვლებს შორის მანძილი მუდმივი როდია, ის განუწყვეტლივ იცვლება. ხშირად მარცვლებს შორის ხარვეზებია, რომლებსაც მზის ლაქებს უწოდებენ. მზის მარცვლების არსებობა ძველადაც იცოდენ. ხშირად ეს ლაქები თავისი სიდიდით დედამიწას სჭარბობდენ. ლაქების გამოჩენაში ერთნაირი პერიოდულობა არსებობს. ფოტოსფერა, რომლის შესახებ ჩვენ გვქონდა ლაპარაკი შემოვლებულია შემდეგ გარსით, ე. წ. ხრომოსფერათი. მისი სისქე 10-15 ათას კილომეტრს უდრის და შესდგება გავარვარებულ გაზებისაგან. ხრომოსფერას გარე პირს შეადგენს წყალბადი. ფოტოსფერასთან ახლოს კი—მაგნიუმის რკინის, ნახშირბადის, ნატრიუმის სხვა ელემენტების ორთქლი. ხრომოსფერას გარსში ხშირად ამოხეთქავენ დიდი მასის ცეცხლის ალის მაგვარი ენები, რომლებსაც პროტუბერანცებს ეძახიან. პროტუბერანცების წარმოშობის მიზეზია მზის შუაგულიდან ამოხეთქილი სხვადასხვა ელემენტების ორთქლი. მათი ხანგრძლივობა რამოდენიმე საათს და ხშირად რამოდენიმე დღესტანს. იყო შემთხვევა 1919 წელს, როდესაც პროტუბერანცი მოქმედობდა 4 თვე და სიმაღლით აღწევდა 760.000 კილომეტრ მზის ნაპირიდან. მზის შემდეგ გარს წარმოადგენს ე. წ. გვირგვინი, რომელიც ნახევარი მილიონი კილომეტრის სისქე გარსად ახვევია მზეს. გვირგვინი თავის ფორმას, ხშირად იცვლის. ხან გარშემო არტყავს მზეს, ხან კი ერთი მხრით ეკვატორის გასწვრივ არის, მისი სიმკვრივე იმდენად მცირეა, რომ იგი გამჭვირვალეა. მზის გვირგვინი შეგვიძლია შევადაროთ დედამიწის ატმოსფერას, მაგრამ ის ატმოსფერასავით ჰაერიდან როდი შესდგება, არამედ უნდა ვიფიქროთ რომ ის შესდგება მზისგან მოცილებული და დიდი ტემპერატურის გავლენის ქვეშ აირად ქცეულ მზის ნაწილაკებისაგან.

აღსანიშნავია რომ ხრომოსფერის და გვირგვინის დანახვა შეგვიძლია მხოლოდ მზის სრულ დაბნელების დროს სპექტროსკოპის საშუალებით.

ასეთია მოკლედ ცნობები მზის შესახებ. მისი მნიშვნელობა ჩვენთვის უფრო ნათელია, ვიდრე იყო პირველყოფილ ადამიანისათვის.

შემდეგ საუბარი გვექნება სინათლის წყაროების მეორე ჯგუფის შესახებ.

ქ. ბ—ძე.

ვარსკვლავების სიდიდე

მზე, რომელიც მრავალ მილიონი წლების განმავლობაში ანათებს და ათბობს დედა-მიწას, ბევრ ჩვენთაგანს დღემდე წარმოდგენილი აქვს, როგორც ერთად ერთი უდიდესი და ერთად ერთი უმნიშვნელოვანესი მნათობი. სინამდვილეში კი მზე არის შედარებით პატარა და ნაკლებ შესამჩნევი ვარსკვლავი. ამის დასამტკიცებლათ, წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ჩაჯექით ავტომობილში და შეუჩერებლივ მიჰქროდით საათში 100 კილომეტ. სისწრაფით. მაშინ თქვენ დედა-მიწას ეკვატორის ხაზით შემოივლით 17 დღეში და 8 საათში. ხუთ წელზე ცოტა ნაკლები დრო დაგჭირდებათ, რომ ასეთივე სისწრაფით შემოიაროთ მზის გარშემო. მაგრამ იმისათვის, რომ ასეთივე სისწრაფით შემოიაროთ ანტარესის გარშემო, დაგჭირდებათ, დაახლოებით, 1.370 წელიწადი.

ანტარესის ანუ მორიელის ალფის ვარსკვლავის დიამეტრი, ასტრონომების გამოანგარიშებით, უდრის 380 მილიონ კილომეტრს, ე. ი. მზის დიამეტრზე 300 ჯერ მეტია. მაგრამ მარტო ანტარესი როდია ერთად-ერთი უდიდესი ვარსკვლავი სამყაროში. ვარსკვლავი ბეტელჰეიზი და ჰერკულესის ჯგუფის ალფა ვარსკვლავიც თითქმის იმავე სიდიდის არიან, როგორც ანტარესი. ისინი ისეთი სიდიდის არიან, რომ არ დაეტევიან დედამიწის საორბიტო სივრცეში (ე. ი. წრეში, რომელსაც ასწერს დედამიწა მზის გარშემო მოძრაობით, (იხ. სურ.)

საერთოდ ამ უზარმაზარი ვარსკვლავების სიდიდე იმდენად დიდია, რომ ვერც კი ემორჩილება ადამიანის გონების წარმოდგენას, სულ რამოდენიმე წლის წინედ ასტრონომები ფიქრობდენ, რომ ვარსკვლავი კანოპუსი—ერთი უდიდესი ვარსკვლავთაგანი არისო, მაგრამ მას აქეთ, თითქმის ყოველ წელს პოულობდენ უფრო მეტი სიდიდის ვარსკვლავებს. ამის გამო მეცნიერების წინაშე სრულიად ბუნებრივად აღიძრა საკითხი—არსებობს თუ არა ვარსკვლავების საზღვრითი სიდიდე, და თუ არსებობს, რას უდრის ის. ამ საკითხზე პასუხი გასცა ცნობილმა ინგლისელ ასტრონომის ა. ედდინგტონის [illegible] გამოკვლევამ

მთელ რიგ მათემატიკური მსჯელობის გზით, ამ მეცნიერმა აღმოაჩინა, რომ მასსა, რომელიც 50-ჯერ აღემატება ჩვენი მზის მასსას, არის ვარსკვლავთა საზღვრითი სიდიდე. წარმოუდგენელია ამ საზღვრითი მასაზე მეტი მასის მქონე მნათობების არსებობა სამყაროში. ამ მასაზე უფრო დიდი მასის მქონე მნათობები აუცილებლივ უნდა დაიყონ ცალკე ნაწილებად, რადგან ამას მოითხოვს მათი უზარმაზარი სიდიდე, და აი რატომ: კოლოსალური დაწოლა შიგნიდან, ცენტრმსრბოლ ძალასთან ერთად,რომელსაც ისინი თავის მოძრაობის დროს ანვითარებენ, გადააჭარბებდა ვარსკვლავის შემადგენელი მატერიის ნაწილაკების ურთიერთ მიზიდვას და ამიტომ ეს ნაწილაკები გაიფანტებოდენ სხვადასხვა მიმართულებით.

აქ არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რომ ამ გამოანგარიშებას საფუძვლად აქვს აღებული ვარსკვლავების მასა, ე. ი. რაოდენობა ანუ წონა იმ ნივთიერებათა, რომლისგანაც შესდგებიან ეს ვარსკვლავები; მაშასადამე ვარსკვლავების სიდიდეს კი არა აქვს მნიშვნელობა, არამედ იმას, თუ რა წონისაა ეს მასა. ასე მაგალითად, მიუხედავათ იმისა, რომ ვარსკვლავი ანტარესი თავისი სიდიდით ასჯერ აღემატება ჩვენს პატარა მზეს, მისი მასა მაინც შედარებით ნაკლებია და არ სცილდება ზემოაღნიშნულ პირობას.

ედდინგტონის მიერ ამ საკითხზე გამოტანილი დასკვნები შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ასე: ტემპერატურა (თბიერება) იმ ვარსკვლავის შუაგულში, რომელიც მხოლოდ ერთნახევარჯერ აღემატება ჩვენი მზის მასსას, აღწევს უზომაზარ ციფრებამდე—3.800.000 გრადუსამდე ცელსიუსით. დაწოლა იმავე ცენტრზე უდრის 21 მილიონ ატმოსფერას, ე. ი. (ცხრა ათასჯერ აღემატება თოფის წამლის გაზების დაწოლას შორის მსროლელ საარტილერიო ზარბაზნების ლულაში.

მაგრამ ედდინგტონის გამოკვლევებიდან არა ნაკლებ საინტერესოა უმცირეს ვარსკვლავთა საზღვრითი სიდიდის განსაზღვრაც. თურმე, ვარსკვლავი. რომლის მასა მზის მასის ერთ მეშვიდედზე ნაკლებია, [illegible] ტომ, რომ ტემპერატურა მის [illegible] აღწევს 2.400 გრადუსამდე ცელსიუსით; ეს კი უმცირესი ტემპერატურაა, რომლის დროსაც კიდევ შეიძლება ვარსკვლავის დანახვა.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ გაცილებით მრავალია ამ უსხივოსნო პატარა ვარსკვლავების რიცხვი, ვიდრე მნათობელ ვარსკვლავებისა, მაგრამ მათი უმეტესობა შეუმჩნეველი რჩება უძლიერეს ტელესკოპებშიაც კი. ცენტავრის ჯგუფის ვარსკვლავ ალფას უსხივო თანამგზავრი თამამად შეიძლება ჩაითვალოს ყველაზე უპატარავეს ვარსკვლავად, რომლის შემჩნევა ჩვენ მოვახერხეთ. ამ კარლიკ-თანამგზავრის მიერ გამოყოფილი სინათლე უდრის მზის სინათლის ერთ მეექვსასათასედს! ამ ვარსკვლავ-კარლიკების დიამეტრი ქანაობს 250.000 კილომ. და 750.000 კილომ. შუა, და, მაშასადამე, გაცილებით ნაკლებია მზის სიდიდეზე. როგორც ვიცით, მზის დიამეტრი უდრის 1.394.260 კილომ. (არსებობენ უფრო ნაკლები ზომის კარლიკვარსკვლავები, მაგრამ მათ დიდ მჭიდროობის გამო, აქვთ მაღალი ტემპერატურა).

სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი გამოანგარიშების საშუალებით, შესაძლებელი გახდა ახალი დასკვნების გამოტანა მზის ტემპერატურის შესახებ. ედდინგტონის გამოანგარიშებით მზის ზედაპირის უდიდესი ტემპერატურა უდრიდა 7.200 გრადუსს ცელსიუსით, ხოლო ამჟამად უდრის 4.800 გრადუსს. ეს ადასტურებს სხვა ასტრონომების აზრს, რომ ჩვენი მზე არის „მომაკვდავი" ვარსკვლავი". ცხადია ჩვენ ამ მხრივ არავითარი შიში არ უნდა გვაწუხებდეს, რადგან ჯერ კიდევ მრავალი მილიონი წელი გაივლის, სანამ მზის თანდათანი გაცივება იმოქმედებდეს დედამიწის სიცოცხლეზე.

ნ. ტ.

ელექტრო-დენის საშიშროება

ტეხნიკის არაჩვეულებრივი პროგრესის და ცხოვრების საზღაპრო კომფორტის ფონზე, რომელიც შექმნა ელექტროობამ, ვამჩნევთ საშინელ მოვლენებს: ელექტრობა დიდი უბედურების მატარებელია ადამიანისათვის და მას შეუძლია ისეთი ძალის სახე მიიღოს, რომელიც ჩვენს ორგანიზმს დააზიანებს. როცა ვლაპარაკობთ „ელექტრონულ ტრამვის" ე. ი. ელექტრონის მიერ ჩვენი ორგანიზმის დაზიანების შესახებ. საჭიროა აღინიშნოს, რომ იმ წყაროებისაგან განსხვავებით, რომლებიც იწვევენ სხეულის სავსებით გარკვეულ, ერთნაირი ხასიათის დაზიანებას, ელექტრო-ენერგია იწვევს სულ სხვადასხვა გვარ ზიანს და ავადმყოფურ აშლილობას. ეს აიხსნება იმით, რომ ელექტრო დენი ერთდროულად სხვადასხვა გავლენას ახდენს ცოცხალ ორგანიზმში შეჭრის დროს.

ელექტრო-დენის მოქმედება ჩვენს სხეულზე გამოიხატება უპირველეს ყოვლისა მექანიკურ და თბიერებითი გავლენაში.

უკანასკნელ შემთხვევაში ელდენი მიემართება შინაგან ქსოვილებისაკენ, რომლის დროსაც იწვევს წვას, ან და წინააღმდეგი მიმართულებით, რაც ხასიათდება ტემპერატურის სწრაფი აწევით სხეულის ქსოვილებში, როგორც საერთო ყველა გამტარ ნივთიერებებში. მესამე სახის გავლენა—ეს არის ქიმიური გავლენა, და ბოლოს,—დენის სპეციალური ელექტრონული გავლენა, უმთავრესად ნერვიულ სისტემაზე. თავისა და ზურგის ტვინზე.

რა პირობებში გადადის ელექტრო-დენი ადამიანის ორგანიზმში.

პირველი პირობა—როცა სხეულის რომელიმე ნაწილი შეეხება ელექტრო-დადგმულობის ნაწილს, ან ელექტრო-აპარატს. აქ პირველ როლს თამაშობენ დენის თვისება და ორგანიზმის წინააღმდეგობა. დენის თვისება თავის მხრივ, ორ ფაქტორად ხასიათდება: მისი ჭიმვით და ძალით. ტეხნიკურ ეფექტისათვის ამ ორ ფაქტორს ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს; ხოლო ბიოლოგიური თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დენის ჭიმვას.

დენის რა ზომის ჭიმვაა საშიში ადამიანისათვის? ადამიანის სიცოცხლისათვის საშიშროების საზღვრათ ითვლება 200 ვოლტიანი ჭიმვა, 200 ვოლტზე ნაკლები ჭიმვის დენი არ ემუქრება ადამიანის სიცოცხლეს, 200—500 ვოლტამდე უკვე საშიშია, 500 ვოლტზე მეტი ჭიმვის დენი უკვე ორგანიზმის სიკვდილს იწვევს. მაგრამ არის ხოლმე გამონაკლისი ორივე მხრით. ყოფილა სიკვდილის შემთხვევები 95 ვოლტიან დენისგან და უვნებლად გადარჩენის შემთხვევა[illegible] 4.000 ვოლტიან დენთან შეხების [illegible]ის.

როცა დენი შედის ორგანიზმში, ის ჯერ კანს ხვდება, რომელიც დამცველის როლს თამაშობს, რაშიც მას ხელს უწყობს ის, რომ ჩვენი სხეულის ყველა ქსოვილებიდან მარტო კანს აქვს უნარი ელექტრონისათვის გაცილებით დიდი წინააღმდეგობის გაწევისა.

შემდეგ საშიშროება მჭიდროთ არის დაკავშირებული ელექტრონის შეხების პირობებთან: თუ რამდენად დიდია შეხების მოედანი, რა ხანგრძლივობისაა შეხება და რა თვისებისაა ის. რამდენადაც დიდია ყველა ეს პირობები, მით უფრო ადვილად იჭრება დენი ორგანიზმში, ხოლო რამდენადაც მცირე, მით უფრო ნელდება დენის შეჭრა ორგანიზმში.

ეხლა განვიხილოთ თვით ზიანი, რომელსაც იწვევს ელექტრობა ორგანიზმში შეჭრის დროს. აქ თვალწინ წარმოგვიდგება მრავალფეროვანი სურათი. ელექტრო-ენერგიას შეუძლია კანქვეშ დაზიანების გამოწვევა, დაწყებული უბრალო დაშავებიდან და გათავებული ძვლების გადატეხით. და, აგრეთვე, მთელ რიგ ჭრილობების გამოწვევა, დაწყებული უბრალო ჭრილობებიდან და გათავებული მთელი ნაწილების მოგლეჯით. ელექტრო-დენის თბიერებითი გავლენა იწვევს, როგორც უმცირეს, ისე უდიდეს და ღრმა წვას, რომელიც ანგრევს ქსოვილებს. ქიმიური გავლენა ჩვეულებრივ ვერ ასწრებს თავის კვალის დაჩენას მისი მცირე ხანგრძლივობის გამო. სპეციალური ელექტრო-მოქმედება შეიძლება გამოიხატოს გრძნობების დაკარგვაში (ანესტეზია) და მგრძნობიერობის შესუსტებაში (პარესტეზია), დამბლის დაცემაში, შეგრძნობის ორგანოების მოშლაში და სხვა. მხედველობისა და სმენის შესუსტება მათ დაკარგვამდეც კი, ისე, როგორც სხვა გარეგან გრძნობების შესუსტება, ხშირი მოვლენაა ელექტრო-ტრამვის დროს.

ამრიგად, თუ ტეხნიკურ მეცნიერების წარმომადგენლებს შეუძლიათ სიამაყით მიუთითონ თანამედროვე ელექტრო-ტეხნიკის სასწაულებაზე, მაშინ ექიმებმა. როგორც მოსახლეობის ჯანმრთელობის დამცველებმა, უნდა მიუთითონ იმ საფრთხეზე,რომელიც დაკავშირებულია ამ სასწაულებთან. ტეხნიკებისა და ექიმების საერთო ღონისძიება უნდა იქნეს მიმართული იქითკენ, რომ ელექტრო-ტეხნიკის სასურველ პროგრესს თან არ სდევდეს ელექტრო-ტრამვის პროგრესი.

მედ. დოქ-რი ი. ვ. ვალიხი.

კატასტროფა რკინის გზაზე

მიზეზები ჯერ კიდევ გამოურკვეველია

13 ნოემბერს მთელი დღე გრძელდებოდა გზის გაწმენდა. მუშაობს 100—ზე მეტი მუშა. მოძრაობა მთავარ ხაზზე აღდგენილი იქნება 14 ნოემბერს.

ამ.-კავკ. რკინის გზების სამმართველომ გზათა მიმოსვლის სახ. კომისარიატიდან მიიღო დეპეშა, რომელშიაც წინადადება ეძლევა კომისიას, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მომუხრუჭების საკითხის გამორკვევას: იყო თუ არა შემოწმებული მუხრუჭი ხაშურსა და ლიხში, არის თუ არა აღნიშნული სამუხრუჭე ჟურნალში და სხ.

კომისიამ დღემდე ვერ გამოარკვია კატასტროფის მიზეზები.

დამატებითი ცნობების მიხედვით კატასტროფის დროს მოკვდა 4 და არა 5 კაცი. დაშავებულთა მდგომარეობა, რომელნიც 13 ნოემბერს ჩამოიყვანეს რკინის გზის საავადმყოფოში, საშიში არაა.

რკ.-გზის მუშაკების აზრი

(სპეციალურ კორესპონდენტისაგან)

ჩვენ სპეციალურ კორესპონდენტს სადგ. წიფაში საუბარი ჰქონდა რკინის გზის ადგილობრივ აგენტებთან:

ამხ. ვარდოსანიძე: მე კატასტროფის ღამეს ვმორიგეობდი. საცდელი მატარებლის ხაშურიდან გამოსვლა მაცნობეს ღამის 2 საათზე და 30 წუთზე. 2 საათზე და 55 წუთზე სამორიგეო ოთახში ვიყავი და გავიგონე ორთქლმავლის საყვირის ხმა, იგი დასამუხრუჭებელ ნიშანს იძლეოდა და სჩანდა, რომ რაღაც საფრთხე მოელოდა.

მატარებელმა ისეთის სისწრაფით გაიარა ჩვენს წინ, რომ გარდა ნაპერწკლებისა ბორბლებიდან ვერაფერი გავარჩიე. მატარებლის სიჩქარე, ჩემის აზრით, 100 ვერსს უდრიდა საათში.

ისარი ჩვეულებისამებრ დაყენებული მქონდა თავდასაცავ ჩიხისაკენ და მატარებელი ელვის სისწრაფით შევარდა მასზე. იქიდან არაფერი ისმოდა, რადგან ჰქროდა აღმოსავლეთის ძლიერი ქარი.

მოლითის მხრიდან მესამე ხაზზე იდგა მატარებელი. მოლითიდან მოდიოდა სახალხო მატარებელი № 9. ვცნობეთ ხიდზე დარაჯებს და გააჩერეს გზაში. მოსალოდნელი იყო მარცხი.

მე და სადგურის უფროსი წავედით შემთხვევის ადგილზე და ვნახეთ საშინელი სურათი.

ამხ. ზბიავა: სადგურის უფროსის თანაშემწე ამხ. ზბიავა ამბობს:

— ღამით, დაახლოებით 3 საათზე სახლში, გვირაბის მხრიდან გავიგონე ორთქლმავლის საშინელი ყვირილი. გამოვიქეცი და დავინახე არაჩვეულებრივი სისწრაფით მომავალი მატარებელი, ბორბლების დამმუხრუჭებელი კალაპოტები გახურებული წითელ ფერამდე და იქიდან მფრინავი ნაპერწკლები.

საყვირის ხმა არ შეწყვეტილა მატარებლის დამსხვრევამდე.

წავედი შემთხვევის ადგილზე. საკლასო რონოდიდან, რომელიც თავდაღმა გადაბრუნებული იყო, გამომცდელ კომისიის ზოგიერთი წევრები გამოსულიყვნენ, ხოლო დანარჩენები გამოვიყვანეთ რონოდის გადმობრუნების შემდეგ.

ამხ. კერვალიშვილი: წიფაში ჩამოვედი პირველ დამხმარე მატარებლით. დამსხვრევის სურათიდან შეიძლება გამოვარკვიოთ, რომ გვირაბში, სანიშნებელ ზართან აღარ მოქმედობდა მუხრუჭების ავტომატიური ონკანი და შეუძლებელი გახდა რონოდების დამუხრუჭება.

ამავე წუთში მატარებელმა გააძლიერა სისწრაფე: კონდუქტორებმა რონოდებზე ვერ გაითვალისწინეს საფრთხე, იფიქრეს რომ სწარმოებს ცდები: ბოლოს გვიან მიჰყვეს ხელი დამუხრუჭებას, მაგრამ ამან ვეღარ უშველა საქმეს.

მატარებელი ელვის სისწრაფით შევარდა სადგურში.

უნდა ითქვას, რომ ორთქლმავლები იძლეოდნენ კონტრ-ორთქლს დამტვრევამდე. ამის გამო მოხდა მატარებლის მოწყვეტა უკანა ნაწილისა წინა ნაწილებისაგან, ამითივე იყო გამოწვეული ერთიმეორეზე რონოდების ერთმანეთზე შეხეთქვა.

გაწყვეტის დროს მატარებლის წინა ნაწილი განაგრძობდა წინ სვლას ზევით, მას მოსწყდა ორი რონოდა მოსახვევში და ორთქლმავლები თერთმეტი ვაგონით გადავარდნენ ფერდობზე.

ნაწილი დაჭრილებისა ჩვენ მისვლამდე ამოეყვანათ, დანარჩენები—ჩვენს შემდეგ.

შესაძლოა კიდევ აღმოჩნდეს მკვდარი ნამსხვრევებში. საკლასო რონოდიდან ხალხი ამოვიყვანეთ რონოდის დამტვრევის შემდეგ. მემანქანის თანაშემწე მიქაძე დამდუღრული იყო.

ვფიქრობ, რომ პირდაპირი მოძრაობა აღდგენილი იქნება 13 ნოემბრისათვის საღამოს.

ამხ. მირიმანოვი: მე ვიმყოფებოდი მე-2 ორთქლმავალზე; როდესაც გადავცდით უღელტეხილს და ვცადე დამუხრუჭება, ვნახე, რომ იგი აღარ მემორჩილებოდა. ჩემთან იყო ამხ. ვლ. კაზანცევი (გამომგონის ძმა), მან ხელი წაავლო ორთქლის რეგულიატორს და დაუწყო რეგულიაცია, მაგრამ შედეგები არ სჩანდა.

ორთქლმავალზე შეიქმნა საშიშარი მდგომარეობა, ვიგრძენით საშიშროება. მე დავიწყე ყვირილი, რათა კონტრ-ორთქლი მოგვეცა; ასეც მოვიქეცით, როგორც ჩვენ, ისე წინა ორთქლმავალზე. მივეცით დასამუხრუჭებელი ნიშნების განუწყვეტლივ ძლევა.

მატარებელი სვლას არ უკლებდა, სისწრაფე უფრო და უფრო ძლიერდებოდა. გავირბინეთ სადგ. წიფა.

თავდაცვის ჩიხზე, აღმართის გამო მატარებელმა განიცადა წინააღმდეგობა წინა მხრიდან და ბოლოდან დაწოლის გამო. დაწოლის ძალამ ამოაგდო ჩიხი და მატარებლის შუა ნაწილი გადავარდა მთავარ ხაზზე.

წინა ორთქლმავალი მოსწყდა ჩიხის ბოლომდე, გაგლიჯა ჩიხის ხაზი და დაჰკარგა რა წონასწორობა, გადაბრუნდა თავდაღმა ფერდობზე. ჩვენი ორთქლმავალი იქვე შეიჭრა მიწაში.

მე უკანასკნელ წუთამდე ორთქლმავალზე დავრჩი.

გადმოსვლისას ვნახე, რომ გარდა იმ რონოდების ბორბლებისა, რომელთაც ხელით ამუხრუჭებდნენ, დანარჩენების კალაპოტები ცივი იყო.

ამხ. ვლ. კაზანცევი. (გამომგონის ძმა) იმყოფებოდა მეორე ორთქლმავალზე. ამბობს:—ჩვენი მატარებელი იმავე სახით წავიდა თბილისიდან, როგორც ჩამოვიდა ბაქოდან. სრული იმედით მივდიოდით და მისი სახე არ შეგვიცვლია. ჩვეულებრივ მატარებელთან შედარებით, მისი წონა 1200 ფუთით ნაკლები იყო.

საშიშროებისას მე და წევის დარგის რევიზორმა ამხ. კუზმინმა ავსწიეთ რეგულიატორის დაწოლა და ვცადეთ დამუხრუჭება, დაწოლა არ იყო. ლიხში გავსინჯეთ მუხრუჭები, სამაგალითოთ მოქმედებდნენ. უღელტეხილზე ვიგრძენით მხოლოდ, რომ ისინი აღარ მოქმედობდნენ. უკანასკნელ წუთამდე ორთქლმავალზე დავრჩი.

ამხ. კუზმინი: უკვე 44 წელიწადია წევის დარგში ვმუშაობ. კაზანცევის მუხრუჭები ჩვენს სფეროში უდიდესი მოვლენაა. მათ მე ვენდობი. ეხლაც მზად ვარ მარტოკა წავიყვანო მითი მატარებელი.

ამხ. მუსხელიშვილი: უღელტეხიდან ისე განავითარა მატარებელმა მოძრაობა, რომ გვირაბში განუწყვეტელ სინათლეს ვხედავდით. რონოდა ირყეოდა. ფანჯრებმა იწყეს მტვრევა. ჩვენ მოველოდით ყოველ წუთს სიკვდილს. კომისია ერთ კუპეში იჯდა. აქ შემოვიდნენ ყველანი რონოდიდან. სიკვდილის მოლოდინში ვიგრძენით რონოდის გადაბრუნება, ზედა თაროებიდან გადმოცვივდნენ მგზავრები და დაგვეცნენ ჩვენ, მერე აღარაფერს ვგრძნობდი. გრძნობაზე მოსვლისას ვნახე, რომ მე და ლიუბანსკი ძირს ვიყავით, ზევიდან კი დანარჩენი მგზავრები გვაწვნენ თავზე. დავიწყეთ ყვირილი. გამოვედი ქვეშიდან, ვიპოვე გაგლეჯილი კედელი და გამოვედი გარეთ. ისეთი სიბნელე იყო, რომ თვალთან მიტანილ თითს ვერ ვხედავდი. გარეთ მოდიოდა მაზუთის მდინარე, რომელშიაც ჩავვარდი. სახეზე თურმე სისხლი მომდიოდა, მე კი ვერ ვგრძნობდი ტკივილს, მეგონა, რომ ეს მაზუთი იყო, დავინახე შემდეგ სინათლე და მისკენ წავედი.

კატასტროფის ადგილზე

(სპეციალურ კორესპონდენტისაგან)

4 საათია. ხაშურში მივედით. მატარებელი ქვევით არ მიდის. პირდაპირი მოძრაობა შეწყვეტილია, სწარმოებს მგზავრების გადასხდომა. წიფაში სდგას მე-4 ნომერი. გვატყობინებენ, რომ წიფაში წასასვლელად გამზადებულია მუშა მატარებელი, იგი მეორეა რიცხვით, პირველი დილით გაუგზავნიათ. მატარებელი ათ წუთში გავა. ჩვენს განკარგულებაში დრო არის ცნობების შესაკრებათ.

დაინტერესებულნი მივმართავთ ადგილობრივ რკინის გზელებს და ვეკითხებით ამბავს. ზოგი მათგანი ყოფილა წიფაში: გვიხატავენ საშინელ სურათს. განსაკუთრებით საზარელია ამბავი კონდუქტორ გველესიანის დაღუპვის შესახებ, ის ცისტერნებს შორისაა გასრესილი.

ამბობენ:—კაზანცევი იყო, ნახა დაჭრილების საშინელი მდგომარეობა და იტირა.

წასვლის დრომ მოაღწია. ვსხდებით მოძრავ ელექტრო-რონოდაში, რომელიც საუბნო შრომის ინსპექციის განკარგულებით იგზავნება წიფაში სამუშაო ადგილების გასანათებლად, მივდივართ. ლიხში შემოგვხვდა მე-4 ნომერი. სასტიკი ქარი ნებას არ გვაძლევს რონოდიდან გამოვიდეთ.

მივდივართ ქვევით. უღელტეხილზე დიდის სიფრთხილით ვეშვებით.

წიფა. ის ჩვეულებრივად ხალისიანი სადგური დღეს მოწყენილია. არსად სჩანან პატარა ბავშვები, რომელნიც ყოველ მატარებელს ხვდებიან ხოლმე და მგზავრებს ხილს და სანოვაგეს სთავაზობენ. სადგურიდანვე მოსჩანს საშინელი სურათის მცირე ნაწილი. ვისწრაფვით იქით, რადგან სიბნელე ახლოვდება.

კატასტროფის ადგილი შავადაა შეღებილი მაზუთით. ზოგან ტბებია შექმნილი, ზოგან სითხე რუებად მიდის.

მივდივართ ჩიხისკენ.

ჩიხის თავში ერთი ორთქლმავალი თავდაღმაა გადაბრუნებული, მეორე გვერდზე წევს. ორი დიდი ცისტერნა ერთმანეთზეა მისრესილი, მათ შორის მოჰყოლია კონდუქტორი გველესიანი, რომელიც გალეულია. მხოლოდ თავი გადარჩენილა, დანარჩენ მასას ადამიანის ნიშან-წყალი არ აზის.

წინა თერთმეტ ცისტერნიდან ორი გარეთაა გადმოგდებული, ისინი ჩაფლულნი არიან მიწაში ფერდობზე. თერთმეტ ცისტერნის შემდეგ მატარებელი გაწყვეტილია, მანძილი 14 საჟენზე თავისუფალია; ქვევით ხაზთან არის ერთი ცისტერნის ბორბლები და ზედსადგამი, ქვაბი მოგლეჯილია და აგდია მთავარ ხაზზე ძირს. (სიმაღლე ჩიხსა და მთავარ ხაზის შორის უდრის 20 საჟენს).

უფრო ქვევით მატარებლის უკანა ნაწილია. იგი 26 ცისტერნისაგან შესდგებოდა, მათ შორის იყო საკლასო რონოდა, რომელშიაც გამომცდელი კომისია იმყოფებოდა. ამ ცისტერნებიდან მხოლოდ ოთხს შერჩენია თავის სახე, ისინი ლიანდაგზეა. დანარჩენებისაგან შექმნილია ხროვა დამსხვრეულ ცისტერნებისა, ეს ხროვა პირამიდას წარმოადგენს. აქ ცისტერნებს ვეღარ გაარჩევთ, ისინი რაღაც უფორმო მასას წარმოადგენენ. ნაწილი დამსხვრეულ ცისტერნებისა ფერდობზე დაგორებულა ან მთავარ ხაზზე ყრია. მათ წინ გდია თავქვე გადაბრუნებული საკლასო რონოდა. ეს უკანასკნელი მოსწყვეტია შემადგენლობას, დაგორებულა ფერდობზე, ჩასულა მთავარ ხაზზე და იქ მიწოლია ორ დიდ ხეს, რომელნიც ნახევრად ამოგლეჯილია. თუ ეს ხეები არ ყოფილიყო, რონოდა ხრამში გადაიჩეხებოდა და იქ მყოფნი უსათუოთ დაიხოცებოდნენ. ეხლა კი მხოლოდ გამყოლია დაღუპული.

ჩიხი დანგრეულია 50 საჟენის მანძილზე. რელსები მოდრეკილია.

ზოგი ცისტერნი სისხლითაა გასვრილი.

სანამ ჩვენ დათვალიერებას დავამთავრებდით მოძრავი ელექტრო რონოდა უკვე აემუშავებიათ და იქაურობა ელექტრონითაა განათებული.

ნამსხვრევებს შორის მუშები ფუსფუსობენ. ისინი მუშაობენ მთავარ ხაზის გასაწმენდათ და დამსხვრეულ ცისტერნების ამოსაღებათ.

დღეს წიფაში 100-დე მუშას მოუყრია თავი თბილისიდან, ხაშურიდან და შორაპნიდან.

წიფაში ვხვდებით: წევის დარგის უფროსს ინჟ. ლეონტიევს, მოძრაობის დარგის უფროსს ინჟ. ნებესოვს და სალიანდაგო დარგის უფროსს ინჟ. გეგიძეს. ისინი დადიან ნანგრევთა შორის და იკვლევენ კატასტროფის მიზეზს. თანაც მუშაობას ხელმძღვანელობენ.

ღამის 9 საათია. ბათუმის მხრიდან ნანგრევებს ადგება სახალხო მატარებელი, სადგურზე სდგას მეორე მატარებელი, რომელიც თბილისისკენ უნდა წამოვიდეს. ხდება მგზავრების გადასხდომ-გადმოსხდომა.

ა. ქ.

პოსტნიკოვის დეპეშა

ა.-კ. რკინის გზების სამმართველოში მიღებულია გზათა-მიმოსვლის კომისრის მოადგილეს ამხ. პოსტნიკოვის დეპეშა.

ამხ. პოსტნიკოვი წინადადებას იძლევა გამოყოფილ იქნეს კომისია განსაკუთრებულ კომპეტენტურ პირთაგან კატასტროფის მიზეზების გამოსაკვლევად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს კომისიამ დამუხრუჭების საკითხის გამოკვლევას, გასინჯოს მუხრუჭები ხაშურში და ლიხში.

თუ კომისია საჭიროდ დაინახავს, შეუძლია მოიწვიოს თვით გამომგონი ამხ. ფ. კაზანცევი.

ამხ. ბერიძის დეპეშა

მოსკოვიდან ა.-კ. რკ. გზების სამმართველოს პირდაპირი მავთულით ელაპარაკა ა.-კ. რკ. გზების უფროსი ამხ. გ. ბერიძე. ამხ. ბერიძე მოითხოვს მატარებლის დამტვრევის მიზეზების დაუყოვნებლივ გამოკვლევას და ცნობის მიწოდებას ცენტრში.

მოძრაობის აღდგენა

გუშინ ღამის 9 საათზე გზების სამგზავრო ნაწილის გამგე ამხ. ბოკერია პირდაპირი მავთულით ელაპარაკა წიფაში მოძრაობის დარგის უბნის უფროსს ამხ. ცომაიას.

უკანასკნელმა აცნობა, რომ მთავარ ხაზით პირდაპირი მოძრაობა აღდგენილ იქნება ხვალ ე. ი. 14 ნოემბერს ღამის 4 საათზე. ჩიხს აღადგენენ დილის 10 საათზე.

სახალხო მატარებლები № 10 და 4 წავლენ პირდაპირ ბათომში.

დილის 10 საათზე დაიწყება საბარგო მატარებლების პირდაპირი მოძრაობა.

„რუსავსტორგ“

თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული რუსეთ-ავსტრიის შერეულ სააქციო საზოგადოება—„რუსავსტორგ“-თან—ამხ. ზადვორიანსკი.

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს ამხ. ზადვორიანსკიმ აღნიშნული საზოგადოების მუშაობის შესახებ განაცხადა შემდეგი:

— „რუსავსტორგი“ ერთერთი პირველი შერეული სააქციო საზოგადოებაა საბჭოთა კავშირში. იგი ოპერაციებს აწარმოებს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს საშუალებით და მასთან შეთანხმებით. ამიერკავკასიაში მუშაობს აღნიშნული საზოგადოების წარმომადგენლობა.

ამჟამად ავსტრიის მრეწველობამ გააფართოვა წარმოება; ავსტრიის სამრეწველო წრეები სცდილობენ მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობა დაამყარონ ჩვენთან.

„რუსავსტორგს“ ავსტრიიდან ამიერკავკასიაში შემოაქვს უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო იარაღები და მანქანები, ინსტრუმენტები მრეწველობის სხვადასხვა დარგებისათვის, ავტომობილები და სხვა.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საზოგადოების ბრუნვა ამიერ-კავკასიაში გაიზარდა 3.000.000 მანეთამდე.

რამოდენიმე ხნის წინად ამიერ-კავკასიაში ჩამოვიდნენ ადგილობრივი ბაზრის გასაცნობად ავსტრიის მსხვილი ფირმების წარმომადგენლები; ამჟამად მათ მიერ გადადგმულია ნაბიჯები ავსტრიის ფირმების პროდუქციის ბაზრის გასაფართოებლად, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე ამიერ-კავკასიაში.

„რუსავსტორგი“ იმპორტის გარდა ეწევა საექსპორტო მუშაობასაც. ამ მიზნით საზოგადოების მიერ გადადებულია ერთი მილიონი მანეთი. ამ თანხით ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს საშუალებით ამიერ-კავკასიაში შეძენილი იქნება საექსპორტო საქონელი, რომელიც გაიგზავნება ავსტრიაში.

გზატკეცილი

ცაგერ-ორბელს შორის

ლეჩხუმის სამაზრო ცენტრი—ცაგერი უკანასკნელ დრომდე მოწყვეტილი იყო ოსეთის სამხედრო გზატკეცილს, რომელიც გვერდზე უვლის ლეჩხუმს და აერთებს ქუთაისთან. მთავარ გზატკეცილს ცაგერი უკავშირდებოდა ორი ბილიკით —ღვირიშის და ორბელის საქვეითო გზებით. გასულ წელს ორივე მიმართულებით დაიწყო გზატკეცილის გაყვანა, რომელიც დღემდე გრძელდება. ორივე გზატკეცილი გაყავთ თვითონ გლეხებს თვითდაბეგვრის წესით. ამჟამად ლეჩხუმის მაზრის მთელი ყურადღება მიქცეულია ორბელ-ცაგერის გზატკეცილზე, რომლებზედაც ყოველდღიურად ლეჩხუმის ყველა თემებიდან გამოყვანილია გლეხობა მიწის და კლდის სამუშაოების შესასრულებლად. გზატკეცილის გეგმა შედგენილია გზატკეცილების სამმართველოს მიერ, ხელოვნურ ნაშენთა აგებაც სწარმოებს სახელმწიფო ფულით. გზატკეცილის სიგრძე ორბელიდან ცაგერამდე უდრის 15 კილომეტრს.

1 ნოემბრამდე უკვე შესრულებული იყო სამუშაოთა ორი მესამედი.

ამავე დროს სწარმოებს იმ გზატკეცილის შეკეთება, რომელიც სოფელ ორბელიდან ალპანამდე არის გაყვანილი. ამგვარად ახალ გზატკეცილის სიგრძე ცაგერიდან სად. ალპანამდე, ე. ი. ოსეთის სამხედრო გზატკეცილამდე, იქნება 25 კილომეტრი.

პროფსნეულების

ინსტიტუტი

დაინტერესებული ორგანიზაციები ჯანსახკომის თაოსნობით ამ რამოდენიმე წლის წინად შეუდგნენ პროფსნეულებების შემსწავლელ ინსტიტუტის მოწყობის საქმეს. ინსტიტუტი თითქმის სავსებით მოწყობილია და მისი გახსნა განზრახულია ამა თვის ბოლო რიცხვებში. უკვე შემუშავებულია გეგმა, რომლის მიხედვით ინსტიტუტი სხვადასხვა წარმოებებში სისტემატიურად მოახდენს პროფსნეულებით დაავადების მიზეზების შესწავლას და გამორკვევას. აგრეთვე ინსტიტუტი გამოიკვლევს წარმოებათა ყველა დარგში მუშაობის პირობებს და ამავე დროს შემოიღებს შრომის კომისარიატის დახმარებით პროფილაქტიურ ზომებს. პირველ ხანებში ინსტიტუტი მუშებს აღმოუჩენს ამბულატორიულ დახმარებას და პროფსნეულებით დაავადმყოფებულებს გაგზავნის სხვადასხვა საავადმყოფოებში, ხოლო შემდეგ კი, როცა ინსტიტუტთან მოეწყობა საწოლები, ავადმყოფებს უეჭიმებენ იქვე.

გახსნის პირველ ხანებში ინსტიტუტი პირველად პროფსნეულების გამოკვლევას მოახდენს თამბაქოს და ტყავის წარმოებებში. ინსტიტუტი აგრეთვე თავის მუშაობას გადაიტანს პროვინციებშიაც, სადაც არსებობენ მსხვილი წარმოებები.

მეცხენეობა

ცხენთსაშენის განყოფილებაში ჩვენს თანამშრომელს გადასცეს შემდეგი:

— დღემდე საქართველოში მხოლოდ უკანასკნელი წლების განმავლობაში მიიღო სპორტის ხასიათი.

ცხენთსაშენის განყოფილებას მიზნათ აქვს დასახული განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ჩვენში მეცხენეობის საქმის აღორძინებას. ამ მხრივ უკვე არის შესაფერი ნაბიჯები გადადგმული.

ჩვენ ერთის მხრივ ვცდილობთ მოვაშენოთ ადგილობრივი ჯიშის საუკეთესო ცხენები, ხოლო მეორეს მხრივ ვიძენთ ახალი ჯიშის ცხენებს მოშენების მიზნით. ცხენების მოსაშენებლათ მთელ რესპუბლიკაში მოწყობილი გვაქვს 900 საგრილებელი პუნქტი, 1925 წელს კი იყო 615 პუნქტი. ჩვენს მიერ მიღებულია აგრეთვე ცნობები მეცხენე გლეხების სას.-სამეურნეო ამხანაგობების მოსაწყობათ. რამდენიმე მაზრიდან უკვე მიღებული გვაქვს ცნობები, რომ უკვე მოეწყვენ ასეთი ამხანაგობანი.

გარდა ამისა, ცხენთსაშენი აწარმოებს სპეციალურათ სადოღე ცხენების წვრთნას. ამან უკვე გამოიღო თავის შედეგი და წელს ბაქოს დოღზე ქართული ცხენები პირველ რიგში დგანან.

გურიის გლეხთა სახლი

ოზურგეთის სამაზრო გლეხკომის მეთაურობით, 7 ნოემბერს ქალ. ოზურგეთში გაიხსნა ამხ. ხომერიკის სახელობის გურიის გლეხთა სახლი.

სახლის მოწყობა იკისრა ადგილობრივმა გლეხკომმა, რისთვისაც აწარმოებდა შესაფერ წინასწარ მუშაობას.

საზეიმო გახსნას დაესწრნენ სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის, სამაზრო აღმასკომის და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სახლში მოთავსებულია საწოლები 22 გლეხისათვის, იქვე გახსნილია ბაკი, სამკითხველო და ლექცია-საუბრების დარბაზი.

8 ნოემბერს ამავე სახლში გაიხსნა გურიის გლეხკომების სამაზრო ყრილობა. გლეხები დიდის აღფრთოვანებით შეხვდნენ გლეხთა სახლის გახსნას და წინდაწინ შესწირეს პერსონალურათ 500 მანეთი.

ანარიცხები

სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან.

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ განაწილა ამიერ-კავკასიაში შემავალ რესპუბლიკებს შორის 10-პროცენტიანი ანარიცხი ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან 1926—27 წლისათვის.

საქართველოს ბიუჯეტში გადარიცხულია 3 პროც., სომხეთის—2 პროც. და აზერბეიჯანის—5 პროც. რესპუბლიკანურ სახალხო კომისართა საბჭოებს უფლება ენიჭებათ განაწილონ ეს თანხა ავტონომიურ რესპუბლიკებსა და მაზრებს შორის.

საქართველოში ეს თანხა უკვე განაწილებულია. საქართველოს ცაკის მესამე სესიის დადგენილების თანახმად, ყოველგვარი ანარიცხები სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან გადარიცხული უნდა იქნეს სათემო ბიუჯეტში ტერიტორიალური ნიშნების მიხედვით, ე. ი. 10-პროცენტიანი ანარიცხი ფაქტიურად უნდა განაწილდეს მაზრებს შორის მათზე გაწერილი გადასახადის მიხედვით.

მთელს ამიერ-კავკასიაში წელს განზრახულია აკრეფილი იქნეს ერთიანი სასოფლო - სამეურნეო გადასახადი 6.518.900 მანეთის რაოდენობით, აქედან საქართველოზე ავტონომიურ რესპუბლიკებთან ერთად მოდის 1.993.333 მანეთი, ე. ი. მთელი გადასახადის 30,6 პროცენტი.

10 პროცენტი მთელი შემოსული გადასახადიდან განაწილდება საქართველოში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და მაზრებს შორის.

ფასების დაკლება

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა დაადგინა განსაკუთრებით ენერგიულათ შეუდგეს ტრესტების და შენაერთების პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

ამავე მიზნით ამას წინეთ ყველა ტრესტებში და შენაერთებში დაიწყო ცალკე კამპანიის ჩატარება.

ახლო მომავლისათვის განზრახულია დაწესდეს განსაკუთრებული მეთვალყურეობა პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საქმეზე.

მთელ მუშაობას უხელმძღვანელებს ს. მ. უ. საბჭოსთან არჩეული ცენტრალური კომისია, რომლის თავმჯდომარეთაც პრეზიდიუმმა დანიშნა ამხ. ავაქოვი.

ცენტრალურ კომისიას დავალებული აქვს დაუყოვნებლივ შეუდგეს მუშაობას და მიიღოს პრაქტიკული ღონისძიებანი ტრესტების პროდუქციის გასაიაფებლათ.

განათლება

თურქული სახელმძღვანელოები.

სახელგამმა მიიღო დიდძალი სახელმძღვანელოები თურქულ ენაზე რესპუბლიკაში არსებულ თურქულ სკოლებისათვის.

ეროვნულ უმცირეს. საბჭომ

გადასწყვიტა მიიღოს სათანადო ზომები ეროვნულ უმცირესობათა სკოლების მასწავლებლებით უზრუნველსაყოფად.

ცხრაწლედი.

სოცაღზრდის მთავარ მმართველობის დადგენილების თანახმად, კოჯორის შვიდწლედი გადაკეთებულ იქნა ცხრაწლედად.

წრეები

სასკოლო ასაკამდე აღზრდის დაწესებულების მასწავლებლების კვალიფიკაციის ასამაღლებლად, თბილისში დაარსდა წრეები. ამ წრებისათვის სახელმძღვანელო პროგრამები უკვე შემუშავებულია.

საბავშო ბაღი.

სოფ. მოლიტაში გაიხსნა საბავშო სახლი განათლების კომისარიატის დახმარებით.

თბილისის არხები

დიდი ხანია, რაც თბილისში გამოყვანილია სარწყავი არხები. მათი მთავარი მაგისტრალი სათავეს იღებს ავჭალაში და ჩამოდის თბილისში, სადაც იყოფა ორ შტოთ: ერთი გადის პლეხანოვის პროსპექტის, ხოლო მეორე კლ. ცეტკინის ქუჩის გასწვრივ.

უკანასკნელ ხანებში პლეხანოვის პროსპექტის რაიონებში ძალიან გავრცელებულია მალარიით დაავადება: ფიქრობენ, რომ ამის მიზეზია აღნიშნული არხები, რომლის საშუალებით გროვდება წყალი და დგება ჭაობები.

ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებამ, არხების საკითხის შესასწავლად და იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად საშიშროებას წარმოადგენენ ისინი მოსახლეობის მალარიით დაავადების მხრივ, გამოჰყო სპეციალური კომისია ექ. ლ. წერეთლის ხელმძღვანელობით

კომისიამ გამოიკვლია არხები და ნახა რომ ისინი ზოგიერთ ადგილებში დანგრეულან; მრავალ ადგილებში მათ აღარ აქვთ სახურავები ფილაქნებზე, რასაც მოჰყოლია ბუნებრივად ჭაობების გაჩენა ამ ადგილებში და ახლო მდებარე შენობათა დაზიანება.

აღნიშნული არხები რწყავენ 100 დესეტინამდე მიწას ქალაქის ბაღ-ბოსტნებში, რომლებიც ქალაქის აღმასკომს მიცემული აქვს მოიჯარადრეებზე.

კომისიის აზრით, არხების აღდგენა მიზანშეწონილია, რადგან თვითეულ კვადრატიული საჟენის მოსარწყავად იგი იძლევა საჭირო 20 ვედრა წყალს, ასეთი მორწყვა კი საჭიროა სეზონში ხუთჯერ.

შპალი

გასულ საოპერაციო წელში რკინის გზამ თავის საწარმოო პროგრამა შპალების გამოცვლის საკითხში სავსებით ვერ შეასრულა. ამის მიზეზი ის იყო, რომ შპალების დამმზადებელ ადგილობრივ ორგანიზაციებმა თავის დროზე ვერ შეასრულეს ვალდებულება რკინის გზისადმი შპალების მიწოდების საქმეში. ამის გამო. რკინის გზაზე გასულ წელში გამოიცვალა მხოლოდ 500.000 შპალი, 750.000 შპალის ნაცვლად.

მიმდინარე წელში გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს გადაწყვეტილი აქვს გამოსცვალოს 650.000 ცალი შპალი. ამ მიზნით, მან სათანადო ხელშეკრულება უკვე დასდო საქართველოსა და აზერბეიჯანის სატყეო ტრესტებთან. ზემოაღნიშნულ რაოდენობიდან საქართველოს სატყეო ტრესტი დაამზადებს 500.000 ცალ შპალს.

შპალების ვულკანიზაციის გასაძლიერებლად სამმართველოს განზრახული აქვს გააფართოვოს გორის შპალმჟღენთი ქარხანა და მოახდინოს ნავთლუღის შპალმჟღენთი ქარხნის ელექტროფიკაცია.

პატარა ფელეტონი

ინგლისელი „პიონერი“ ჩინეთში

თემთა პალატაში ჩინეთის ამბების შესახებ ბალფურმა განაცხადა: „ჩვენ პიონერები ვიყავით ჩინეთში „ვაჭრობის“ საქმეში და ამიტომ ყველაზე მეტად დავზარალდით“-ო.

(დეპეშებიდან)

სტირის პატარა „მუზიკანტი“,
საყელოზე წითელ კანტით:
— დამ-ბარაბან!.. დიმ-ბარაბან!..
ჩინეთის დავიდარაბა
დარჩა ჩემთვის საზარალო!..
ოხ, საბრალო... მე საბრალო!..
ვარ საწყალი „პიონერი“,
აღარ მადევს კაცის ფერი:
ზღვა, თევზი, თუ ხიზალალა
ჩინეთში სულ მეზარალა!..
დაიღუპოს ვან-სიანი,
მომაყენა მთლად ზიანი:
ანგარიშიც ამესვარა..
უ-პეი-ფუ, ჩიფუ... „ჩხხი-რთფუ“!..
„ბონდოა“ ეს, თუ სამეფო?!.
აბუდა შიგ დავიდარაბა..
— დიმ-ბარაბან!.. სულ ბარაბან!..
შარაბან კი, რა შარაბან,
თუ წყვილ ჩინელს შიგ არ ვაბამ?
ჩემოდანს არ ვათრევ „კული“-თ,
გატენილი რომ მაქვს ტყულით?
თუ გონკონგი და კანტონი
მე არ მცნობს, რომ ვარ ბატონი?!.
თუ ჩინელი „პიონერი“,
როგორც მე, მილიონერი
არ არის და ფეხს კი მიწვდის!..
არ შევარჩენ, ყელში თუ ვწვდი!..
აგერ ვიღაც ჩან-კაიში
არ მასვენებს შანხაიში:
სუნ-ჩუან-ფან დამიშინა,
ყუმბარები დაუშინა...
(ცოტა რამე მეც „მიბწკინა“:
ჩამიმტვრია სარკმლის მინა!)
ჯარები სულ დაუქსაქსა:
„ტრიშკას კაფთანს“ დაუმსგავსა!..
საშველიც კი არ გაართვა,
ქალაქები სულ წაართვა:
ჩან-ჩუ, ფან-ჩუ, ნინ-ჩან-ჩანი..
რაებს სჩადის ეგ „ჩაჩანი“?!.
მეც არ შემრჩა კაცის ფერი,
ვარ საწყალი „პიონერი“:
პეკინსა, თუ ვან-სიანში
ინგლისური ვაწყვე მარში,
ქირი მაინც ვერ დავმალე:
„ვაჭრობა“-ში ვიზარალე!..
აბუდა ეს დავიდარაბა:
— დიმ ბარაბან!.. დუმ-დარაბან!..

ონისიმე.

გამომცემლობა „შრომა“

კოოპერატიული გამომცემლობა „შრომა“-ს პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე განხილული იქნა საკითხი სახელგამთან ურთიერთობის შესახებ.

პრეზიდიუმმა დაადგინა მიღებული იქნეს ზომები სახელმწიფო გამომცემლობასთან უფრო მჭიდრო და ნორმალური ურთიერთობის დასამყარებლად.

გამომცემლობას ამჟამად განყოფილებები აქვს ქუთაისში (ორი), ბორჯომში, ზესტაფონში და საჩხერეში. მიღებულია გადაწყვეტილება განყოფილებების სასწრაფოდ გასახსნელად თელავში და ჭიათურაში. ფოთში და სენაკში ლიტერატურის გავრცელება დაევალა გაზეთ „კომუნისტი“-ს და „მუშა“-ს კიოსკებს.

სას.-სამ. მ ნქანები

რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო მანქანების გავრცელებას ხელმძღვანელობს უმთავრესათ, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო სამმართველო.

მიმდინარე წლისათვის სასოფლო-სამეურნეო სამმართველოს ჰქონია სულ 61 მანქანების გასაქირავებელი პუნქტი. აღნიშნული პუნქტებიდან წლის განმავლობაში სწარმოებდა გლეხებზე სას.-სამ. იარაღ-მანქანების გაქირავება შეღავათიან პირობებში.

გარდა გასაქირავებელი პუნქტებისა მოწყობილი იყო აგრეთვე 68 თესლის საწმენდი პუნქტი. წლის განმავლობაში ყველა პუნქტებზე გაუწმენდიათ 69.000 ფუთი სათესლე ხორბალი.

ქრონიკა

საწარმოო კონფერენციები

საქართველოს პროფსაბჭოს დადგენილებით, მიმდინარე თვეში სხვადასხვა წარმოებებთან ჩამართული იქნება საწარმოო კონფერენციები. კონფერენციები მოწვეული იქნება მუშათა დელეგატების საშუალებით.

კონფერენციებზე განხილული იქნება სამეურნეო ორგანოების მოხსენება და პროფკავშირის წარმომადგენლის თანამოხსენება. კონფერენციებზე სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელთა გარდა, მოწვეული იქნებიან საინჟინერო-ტეხნიკურ ძალთა მუშაკები და მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლები.

პროფსაბჭოს პლენუმი

20 ნოემბრისათვის მოწვეულია საქართველოს პროფსაბჭოს მორიგი მეოთხე პლენუმი.

პლენუმზე დასმულია უმუშევრობის და სოციალური დაზღვევის საკითხები.

თბილისის აღმასკომში

◆ **რონები.** ტრამვაის დირექციამ შეიძინა 33.049 მანეთის ახალი რონები (რელსები).

◆ **წყალსადენი.** თბ. აღმასკომის დახმარებით სოფ. ომარონში გაჰყავთ წყალსადენი.

◆ **ზაჰესის კომიტეტი** ახლო ხანში სავსებით დაამთავრებს თბილისში მიწისქვეშა მავთულის გაყვანას ზაჰესის ენერგიის გადასაცემად.

◆ **ქოხ-სამკითხველო.** ქვემო-ერწოში პოლიტგანყოფილება აწყობს სამკითხველოს.

შრომის სახ. კომისარიატში

◆ **შრომის დაცვის განყოფილებას** დაევალა ჭიათურის მაღაროებში მოახდინოს შრომის პირობების გამოკვლევა.

◆ **ლექციები.** შრომის დაცვის განყოფილებამ გადასწყვიტა წარმოებებში მოაწყოს ლექციები შრომის დაცვის შესახებ.

◆ **წარმოებებში მომხდარ უბედურ შემთხვევების** აღსარიცხად, შრომის კომისარიატმა დამზღვევ ორგანოებთან ერთად შეიმუშავა ახალი გეგმა.

◆ **ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებების** დადებას შრ. კომისარიატი შეუდგება ამ თვის ბოლო რიცხვებში.

◆ **გამოკვლევა.** შრომის დაცვის განყოფილება ახლო ხანში შეუდგება ბორჯომის საკასრე და მინის ქარხნების და ხაშურის ხე-ტყის სახერხ ქარხნის გამოკვლევას.

საბინაო აღმშენებლობა

◆ **საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტის** ცნობით, თბილისში ამჟამად თითო სულზე მოდის 6,8 კვ. მეტრი საცხოვრებელი სივრცე. ნორმალურ სივრცეთ კი ითვლება 10 კვ. მეტრი.

◆ **„ოდა“.** თბილისში არსდება ახალი საბინაო - სააღმშენებლო ამხ-ბა „ოდა“.

◆ **ლენინაკანში საბინაო მშენებლობისათვის** საბინაო კოოპერაციის დამხმარე კომიტეტმა ა.-კ. ფონდიდან გადასდო 9 ათასი მანეთი.

◆ **ა.-კ. მუშათა საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტმა** დაამტკიცა საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის დამხმარე კომიტეტების ხარჯთ-აღრიცხვები.

◆ **საბინაო მშენებლობის დამხმარე თბილისის კომიტეტმა** გასულ თვეში სხვადასხვა ამხანაგობებს სესხად მისცა 95 ათასი მანეთი.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ **სანიტგანათლება.** ჯან. კომისარიატმა გადასწყვიტა მაზრებში მოაწყოს სანიტგანათლების ხასიათის ლექცია-საუბრები.

◆ **სექიმო პუნქტები.** ჯანმრთელობის კომ. დადგენილებით, დიდ თემებში არსებული საფერშლო პუნქტები გადაკეთებული იქნება საექიმო პუნქტებად.

◆ **კბილის საექიმო რაზმები.** ჯან. კომისარიატი აწყობს კბილის საექიმო რაზმებს მაზრებში დასაგზავნად.

სხვადასხვა

◆ **ბამბა.** ამჟამად მთელ ამიერ-კავკასიაში გაცხოველებით სწარმოებს ბამბის შეგროვება. ბამბის მეურნეებს ბამბის საფასური ეძლევათ ნატურით.

◆ **დაზღვევა.** სახ. დაზღვევის სამმართველომ დაამთავრა მთელ რესპუბლიკაში კულტურული სასოფლო-მეურნეობათა აღრიცხვა მათი დაზღვევის მიზნით.

◆ **სესხი.** წელს ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკი სესხად გასცემს 16.863.000 მან.

◆ **მ.-გ. ინსპექციამ** მიზანშეწონილად სცნო ქუთაისის სააბრეშუმო სადგური გადაიყვანოს სამეურნეო ხარჯზე.

◆ **ბავშვთა მეგობრების საზოგადოებაში.** ორშაბათს, 15 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, ბავშვთა მეგობართა საზ-ბის შენობაში (სასახლის ქ., № 4), წაკითხულ იქნება საინსტრუქციო მოხსენება უპატრონო ბავშვთა სამდღიურის კამპანიის ჩატარების შესახებ.

◆ **გადამდებ სნების წინააღმდეგ.** რადგან ქუნთრუშის შემთხვევები ამ უკანასკნელ დროს გაძლიერდა ქალ. თბილისში, ჯანმრთელობის განყოფილებამ გასცა განკარგულება ყველა ექიმებისადმი, რათა სასწრაფოდ აცნობონ ჯანმრთელობის განყოფილებას ყოველი შემთხვევა მათ მიერ აღმოჩენილ მწვავე გადამდებ სნებით დაავადებულების შესახებ.

ჩაუბარებელი დეპეშები 10 ნოემ. 1926 წ.

ბაქოდან—ალიევს, ლანჩხუთიდან—პაჩუაშვილს, ფოთიდან—სიხარულიძეს, არმავირიდან—შალამბერიძეს, ლენინგრადიდან—სატარაძეს, თელავიდან—მაისურაძეს, თელავიდან—მიშელაშვილს.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

ურიის ქალი

ეს ოპერა, დაწერილი გალევის მიერ თითქმის ასი წლის წინედ, დღემდე არ სცილდება მსოფლიო საოპერო სცენების რეპერტუარს, რაც აიხსნება მისი არაჩვეულებრივი მუსიკალური ღირსებით და, აგრეთვე, დრამატიული შინაარსით, რომელიც თითქოს ერთგვარი პროტესტის გამჩენებელია ებრაელთა საშუალო საუკუნეების უუფლებობის წინააღმდეგ აბსოლიუტურად კლერიკალურ სახელმწიფოებში. ოპერის მუსიკა ნაწილობრივ უკვე მოძველებულია, მაგრამ მასში მაინც არის მრავლად დიდი სიძლიერისა და სილამაზის მომენტები

შემსრულებელთ შორის მხოლოდ ბოგოლეპოვამ (რახილ) დასრულებულად, მუსიკალურად და სცენიური შესრულების მხრივ მოფიქრებულად ჩაატარა თავისი პარტია—დიდის ტემპერამენტით და ვოკალურის მხრივ მშვენივრად შესრულებულ იქნა 1-ლი აქტის ლამაზი ფინალური დუეტი. პარტიის კარდინალურ ნაწილს მეორე აქტი წარმოადგენს. მსახიობი თავის შესრულებაში ართავს მეტ მგრძნობიერობას და ცხოვრების სინამდვილის ასახვას—სიმღერა ღასავსეა დრამატიზმით. ასევე კარგია სცენა სასახლეში—აქ ნამდვილი დასურათებაა და მეტი სიცხოველე სიმღერაში.

ელიაზარის პარტია (მოხუცი ფანატიკოსი ებრაელი, რომელსაც სძულს მისი შემავიწროებელი ქრისტიანები)—ოპერის ცენტრალური პარტიაა. ვიტტინგი თანაბრად არ ატარებს ამ პარტიას. აკლია ხიმტკიცე რახილთან დუეტის პირველ ნახევარში. სცენიურის მხრივ მკრთალად ატარებს მსახიობი მთელ მე-2 აქტს, რომელიც ყველაზე დრამატიულია. აქ საჭიროა მეტი ტემპერამენტი და ექსპრესია. ვოკალურად კარგად ჩატარებულ იქნა არია ციხეში, მაგრამ კარდინალთან შეხვედრის დროს საჭიროა უფრო ნაოელი, გარკვეული თამაში და მიმიკა.

შარაშიძემ შეასრულა კარდინალ-დე-ბრონის პარტია. პირველი სცენა ვოკალურის მხრივ არ არის საკმაო ძირითად დასრულებული და, აგრეთვე, ელეაზართან სცენაში საჭიროა მეტი ტემპერამენტი—ეს პარტიის ყველაზე დრამატიული მომენტია. მშვენივრად არის შესრულებული დაწყევის სცენა. კარგია გრიმი და გარეგანი სახე.

პრინც ლეოპოლდის პარტია ყველაზე უმადური პარტიაა ოპერის ყველა პარტიებიდან და ამასთან ერთად ძალიან ძნელიც, რადგან მის შესასრულებლად საჭიროა როგორც კარგი ხმა, ისე კარგი ტეხნიკა. გაუგებარია ამ პარტიის მიცემა დასში მეორე ხარისხოვან როლების შემსრულებლისათვის. მიუხედავათ იმისა, რომ შესრულების გაადვილებისათვის ბევრი ცვლილება იქნა შეტანილი ამროლში, მიუხედავად იმისა, რომ გალევის დაწერილიდან ცოტა გაუგებარი დარჩა—ასეთი შესრულება მაინც დაუშვებელია სამაგალითო საოპერო სცენაზე.

პრინცესა ევდოკიას ეპიზოდიური პარტია რიგიანად ჩაატარა ცაგარელმა.

სცენაზე კარგად უჭირავს თავი და მუსიკალურად იძლევა რეპლიკებს ქურხული (პოლიციის უფროსი).

კარგად არის დადგმული ბალეტი კლასიკური სტილით (ვარიაციები). კარგად ცეკვავენ გულუ ლოვა, დმიტრიევა, ცოტა ტანს ვერ ხმარობს თავისუფლად გორსკი. დიდის ტემპერამენტით და მუსიკალობით შესრულებულია ტარანტელა (სერგეევი და რატუშნკო).

კარგი იყო ორკესტრი.

პ. ბ.

ხელოვნების ქრონიკა

სახელმწიფო ოპერაში

სახელმწიფო ოპერის დირექტორი **იოსებ გედევანიშვილი** განთავისუფლებულია თავისი თანამდებობიდან.

სახელმწიფო ოპერის დირექტორად დანიშნულია დამსახურებული **მსახიობი სერგო ივანესძე ევლახიშვილი.**

◆ **ლეო სიროტას კონცერტი.** კვირას, 14 ნოემბერს, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართება პირველი კონცერტი ევროპიელ პიანისტის ლეო სიროტასი, რომელსაც მუსიკალური განათლება დამთავრებული აქვს ცნობილ ბუზონთან. სიროტა ამჟამად ერთერთ ცნობილ გამოჩენილ მსოფლიო პიანისტად ითვლება. იგი ეგონ პეტრისთან ერთად ევროპის და ამერიკის მსხვილ მუსიკალურ ცენტრებში მართავს კონცერტებს. პროგრამაში—ფორტეპიანალური შემოქმედების კლასიკები და ნოვატორები.

◆ **დრამატიული წრე.** განათლების მუშაკთა სახლთან რეჟისორ მ. ქორელის ხელმძღვანელობით გაიმართება დისპუტი „ზაგმუკ“-ზე.

◆ **„დუბროვსკი“.** დღეს ოპერის თეატრში პირველად ამ სეზონში წარმოდგენილი იქნება: „დუბროვსკი“.

◆ **„ქართული მწერლობა“.** გამოვიდა „ქართული მწერლობის“ მორიგი ნომერი—4.

◆ **„ლამარა“.** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ლამარა“.

◆ **საღამო.** ორშაბათს განათლების მუშაკთა სახლში მე-18 შრომის სკოლების საბავშო ბაღის სასარგებლოდ გაიმართება კინო-საღამო.

◆ **დისპუტი.** ორშაბათს კონსერვატორიის დარბაზში ამხ. შ. დუდუჩავას თავმჯდომარეობით გაიმართება დისპუტი „ზაგმუკ“-ზე.

◆ **„ოტელლო“.** 17 ნოემბერს რუსთაველის თეატრში სომხური დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება „ოტელლო“. ოტელლოს როლს ითამაშებს ვარლამ პაპაზიანი.

◆ **„მეძავი“.** მუშათა თეატრში რუსული დრამის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება „მეძავი“.

◆ **„უცხო სიტყვათა ლექსიკონი“.** სილბისტრო თავართქილაძე შეუდგა იოსებ იმედაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონის“ გამოცემას. წიგნი გამოდის ენათმეცნიერების პროფესორის გიორგი ახვლედიანის რედაქციით, გამოვა მარტში და ხელის მოწერით ეღირება 3 მ. 50 კ.

◆ **„დედა“.** კინო „არფასტოში“ ამ დღეებში დაიწყება ახალი სურათის „დედა“-ს ჩვენება. სურათის შინაარსი აღებულია მ. გორკის მოთხრობიდან.

◆ **ვაჟა ფშაველას ნაწერების პირველ ტომს** სახელგამი სცემს მეორედ.

◆ **ხელოვანთა სასახლეში.** ორშაბათს, გაიმართება მორიგი საღამო.

ბიბლიოგრაფია

პ. მასლოვი

კოოპერაციის საფუძვლები და კოოპერატიული კაპიტალის დაგროვების პირობები.

თარგმანი **იასონ ბაბილაიასი**, 1926 წ.

კოოპერატიული მოძრაობის ზრდასთან ერთად იზრდება კოოპერატიული ლიტერატურაც, იყო ცდები კოოპერატიული მოძრაობის ზოგადი თეორიის შექმნისა, მაგრამ როგორც პ. მასლოვი სწერს: „უმეტეს შემთხვევაში „კოოპერაციის თეორიის“ სახით ჩვენ მხოლოდ სხვადასხვა სახის პრაქტიკულ მიღწევათა და პრაქტიკულ ცდათა ჩამოყალიბებასთან გვიხდება საქმე“ (11 გვ.).

მასლოვი სცდილობს ამ ნაკლის გამოსწორებას და შედარებით პატარა ზომის წიგნში კიდეც აღწევს ამას, თუმცა მრავალი საკითხები (კოოპერაციის განმარტება, საბჭოთა კოოპერაციის განსხვავება კაპიტალისტური ქვეყნების კოოპერაციიდან და სხვა) სქემატიურათ არიან განხილული და მკითხველი მათ შესახებ ამომწურავ პასუხს ვერ ღებულობს. მიუხედავათ ამისა პ. მასლოვის შრომა: „კოოპერაციის საფუძვლები და კოოპერატიული კაპიტალი დაგროვების პირობები“ დიდ საგანძურს წარმოადგენს თანამედროვე მარქსისტულ კოოპერატიულ ლიტერატურაში და მას დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია მათთვის, ვისაც სერიოზულად უნდა კოოპერაციის თეორიის და პრაქტიკის შესწავლა.

წინასიტყვაობაში ავტორი სწერს: „**იმ პირობების გაშუქება, რომლებშიაც კოოპერაციას განვითარება შეუძლია საერთოდ და საბჭოთა კავშირში კერძოთ, სოციალისტური წყობილებისათვის ბრძოლის საქმეში მისი როლის გამორკვევა,—აი რა შეადგენს ამ შრომის მთავარ ამოცანას**“. იქვე ქვევით ავტორი სწერს, რომ მის ამოცანას „შეადგენს კოოპერაციის შესწავლა, როგორც სამეურნეო წამოწყებისა“.

„კოოპერაციის თეორია, საზოგადო-ეკონომიურ დამოკიდებულებათა და ამ ფორმის გამოყენებისა“ ავტორის აზრით ემყარება „მოხმარების ისეთ კანონებზე, რომლებიც განსაზღვრავენ წარმოების პირობებს, განაწილებასა და საწარმოო ძალთა განვითარებას, როგორც მთელი სახალხო მეურნეობისა, ისე კერძო წამოწყებისაც“ (21 გვ. ია ბაბილაიას თარგმანი). ავტორი უარყოფს ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ კოოპერატიულ იდეოლოგიას (შარლ ჟიდის „სამართლიანი ფასების“ შემეცნების თეორიასთან ერთად) და ასაბუთებს კოოპერაციის სოციალისტურ თეორიას, რომელიც კოოპერაციას უცქერის რევოლიუციონური მუშათა კლასის კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ ფორმათაგანს, რომელიც მიზანს აღწევს მხოლოდ პოლიტიკურ და პროფესიონალურ მოძრაობასთან ერთად. ავტორი ანალიზს უკეთებს მოხმარების კანონებს და ცხადჰყოფს, რომ კოოპერაცია შესძლებს კერძო კაპიტალის დაძლევას „მხოლოდ კოოპერატიული დაგროვების პირობით, რაიც სამეურნეო მოთხოვნილებებზე მაქსიმალური ხარჯების გაწევს ნიშნავს“ (180 გვ.). ავტორი საზოგადოთ დიდ ადგილს უთმობს კოოპერატიული კაპიტალის დაგროვების პირობების გამორკვევას და მისი გაცნობა მეტად საჭიროა ჩვენი კოოპერაციის პრაქტიკულ მუშაკებისათვის, რომლებიც ნაკლებ ყურადღებას უთმობენ კოოპერაციის საკუთარ საშუალებათა დაგროვებას და მის ფინანსიურ მოღონიერებას.

სამწუხაროდ თარგმანი სუსტია და ზოგიერთგან ავტორის აზრსაც ამახინჯებს. მაგალითად მე-177 გვერდზე, სადაც ლაპარაკია სამომხმარებლო საზოგადოებათა წესდებაზე, სწერია: „საზოგადოებას ენიჭება რამდენათმე დამოუკიდებელი ხელისუფლება“ (?) იქვე ქვევით სწერია: „წესდების არსებითს განსხვავებულებას“ (?), ლუმპენ პროლეტარების ნაცვლად მთარგმნელი ხმარობს ლუმპე პროლეტარებს (109 გვ.), ქალაქ ჩიტას ნაცვლად ჩითას და სხვა.

წიგნი შეიცავს სულ 182 გვერდს და ღირს 1 მ. 60 კაპ. მოუმზადებელი მკითხველისთვის ის ძნელი დასაძლევია, მაგრამ მის გავრცელებას ყოველმხრივ უნდა შეუწყოთ ხელი. განათლების კომისარიატმა ის სახელმძღვანელოდ გამოაცხადა მიუხედავათ ზოგიერთი ნაკლულოვანებისა უკეთესი ქართულ ენაზე არც მოიპოვება.

Z.

ს. პ. დნეპროვსკი

როგორ უნდა შესდგეს სამუშაო გეგმა მომხმარებალთა კოოპერატივში

თარგმანი **ნ. ფაჩჩანიძისა.**
ცეკავშირის გამოცემა, 1926 წ.

ჩვენი კოოპერატივების დიდი ნაწილი უკანასკნელ დრომდე სრულებით უგეგმოთ აწარმოებდენ თავის სავაჭრო-საფინანსო საქმიანობას, რის გამოც მრავალი მათგანის არსებობა ლიკვიდაციით დამთავრდა. განსაკუთრებით ეს ითქმის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაზე. სამომხმარებლო კოოპერაციის ძირითადმა ქსელმა კი საერთოდ შესძლო კრიზისის დაძლევა, მაგრამ მან მუშაობაშიც ვერ არის გამტკიცებული გეგმიანობა. ამ მიმართულებით ძირითად კოოპერატივებში მუშაობას აწარმოებს ცეკავშირი თავისი საინსტრუქტორო ძალებით, მაგრამ გეგმიანობის დაცვა შესაძლებელია მხოლოდ ადგილობრივ კოოპერატიული მუშაკების ცოდნის აწევით. ამ მხრივ დიდი დახმარების გაწევა შეუძლია პრაქტიკულ სახელმძღვანელოს სადაც ნაჩვენები იქნება კოოპერატივის სამუშაო გეგმის შედგენის მეთოდები და ფორმები სათანადო ახსნა-განმარტებით.

ცეკავშირის მიერ გამოშვებული ცენტროსოიუზის ინსტრუქტორ-კონსულტანტის ამხ. ს. დნეპროვსკის შრომა: „როგორ უნდა შესდგეს სამუშაო გეგმა მომხმარებელთა კოოპერატივში“ სწორედ ასეთ სახელმძღვანელოს წარმოადგენს და მას ჩვენი კოოპერატივისათვის დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია. ამხ. ს. დნეპროვსკი წარსულ სამეურნეო წელში იკვლევდა საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მდგომარეობას და ხსენებული შრომაც აქ მიღებულ დაკვირვებებზეა აშენებული და როგორც ცეკავშირის საორგანიზაციო განყოფილება სწერს: „იგი პრაქტიკულათ გამოყენებული იქნა სამ სხვადასხვა რაიონის და ტიპის კოოპერატივებში, სადაც მის შედგენას და გაგებას არავითარი სიძნელე და დაბრკოლება არ გამოუწვევია“.

მართლაც ავტორი კოოპერატივის სამუშაო გეგმის შედგენისათვის გამოსარკვევ საკითხების და ცნებების საკმაოდ ნათელ განმარტებებს იძლევა, თავის აზრს ის მაგალითებით და თანდართული ცხრილებით ასურათებს. ცეკავშირის საორგანიზაციო განყოფილების აზრით „ამხ. ს. დნეპროვსკის ბროშიურა თავის სიმარტივის, საკითხების თანამიმდევრობითი დალაგების, გაშუქების და დასაბუთების მხრით წარმოადგენს ყველაზე ძვირფასს და საფუძვლიან ნაშრომს, რაც კი აქ დარგში დღემდე დაწერილა“.

წიგნს თანდართული აქვს საშუალო ტიპის კოოპერატივის კვარტალური გეგმის სქემა და აგრეთვე წლიური საორიენტაციო გეგმის სქემა. მთელი წიგნი დამატებებით შეიცავს 157 გვერდს, თარგმანი კარგია და კორექტურულ შეცდომებსაც იშვიათად შეხვდებით. წიგნის ფასი 1 მ. 70 კაპ., სამწუხაროდ ზედ არ არის აღნიშნული. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი კოოპერაციის მუშაკები კარგად გაეცნობიან ხსენებულ შრომას და ხელს შეუწყობენ კოოპერატიულ მუშაობაში გეგმიანობის განმტკიცებას.

ა—ძე.

„წითელი კანდელი“

ს. გორგაძის და შ. თაბუკაშვილის შედგენილი

სახელგამი—1926 წ. სამეცნიერო საბჭოს პედაგოგიური სექციის მიერ ნებადართული, როგორც სახელმძღვანელო“.

ამ სახელმძღვანელოს ავტორები სცდილან, რომ მისი შინაარსი ყოფილიყო საინტერესო და მიმზიდველი. წიგნი შედგენილია იმ პროგრამის მიხედვით, რომელიც ამასწინად დაიმუშავა განათლების სახალხო კომისარიატმა შრომის სკოლის მე-4 ჯგუფისათვის. ეს პროგრამა დამაკმაყოფილებელია და ცხოვრების თითქმის ყოველ მხარეს შეეხება. პირველი განყოფილება: „საქართველოს ბუნება და ხალხის ზნე-ჩვეულება“—წარმოდგენილია ჩვენი საუკეთესო მწერლების ნაწარმოებებით. (ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი, გ. წერეთელი, ალ. ყაზბეგი, ვაჟა ფშაველა).

მასალის გადათვალიერების დროს შევამჩნევ რომ წიგნს აკლია დავ. კლდიაშვილის ნაწარმოებები, რომელშიაც იმერეთის ზნე-ჩვეულება მოხდენილი კალმით არის დასურათხატებული. პირველ განყოფილებაში სჭარბობს მთაში მცხოვრებ ქართველთა ზნე-ჩვეულებათა შესახებ ნაწარმოებნი. შემდეგ გამოცემაში ავტორები ამ ნაკლს შეავსებენ.

მეორე განყოფილება: „ფეოდალიზმი და ბატონ-ყმობა უცხოეთში და ჩვენში“—წარმოდგენილია ფეოდალური ცხოვრების დახასიათებით ჩვენში და უცხოეთში. ამ განყოფილებას ამშვენებენ „კაკო ყაჩაღი“ ილ. ჭავჭავაძისა, „სტენკა რაზინი“, „პუგაჩოვის დროს“, „ჯანყი გურიაში“, ე. ნინოშვილისა.

მესამე განყოფილება: „კაპიტალისტური მონობა მე-19 საუკ. უცხოეთში და ჩვენში“ წარმოდგენილია, როგორც ქართველი ძველი კლასიკური პოეტების, ისე ახალი მწერლების ნაშრომით. მათ გვერდით მოყვანილია ნაწარმოებნი უცხო ქვეყნის მწერლებისა, რომელნიც კი კაპიტალისტური მონობის სხვადასხვა მხარეს შეეხებიან.

მეოთხე განყოფილება არჩევს საკითხს: „სოფელი ბატონ-ყმობის შემდეგ რუსეთსა და საქართველოში“.. დიდათ მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს, რომ სახელმძღვანელო წიგნში ადგილი აქვს დათმობილი სასოფლო-მეურნეობას. მოწაფე გაეცნობა მესაქონლეობას, მებოსტნეობას და მეხილეობას, მევენახეობას და მეღვინეობას, მეაბრეშუმეობას და სხვა. ამ დართვათა შესახებ წერილებს აქვთ საქმიანი ხასიათი.

მე-5 განყოფილება „კლასთა ბრძოლა უცხოეთში და ჩვენში“ მდიდარია მასალის მხრით საინტერესოა ამ განყოფილებაში, სხვათაშორის, მარსელიეზა, ინტერნაციონალი—აკაკისა, პარიზის კომუნა, „რევოლიუციის დასაწყისი რუსეთში“—ვლ. ლენინისა, 9 იანვრის გამოძახილი—ტ. მახარაძისა და სხვა... წიგნში მოთავსებულია წერილები თებერვლის და ოქტომბრის რევოლიუციების შესახებ, საბჭოთა აღმშენებლობაზე და სხვა

წიგნის დაუფასებელ ღირსებას შეადგენს ის გარემოება, რომ მასში მოთავსებულია სხვადასხვა დავალებანი, რომელთა შესრულება ეკისრებათ მოწაფეებს. ამ დავალებათა შეტანა სახელმძღვანელოს ლაბორატორულ მეთოდს უახლოვებს. სახელმძღვანელო შეეფერება თანადროულ მომენტს და დღევანდელი სინამდვილის გამომხატველია. წიგნს აზის ინტერნაციონალური ბეჭედი. მის ზეგავლენით ქართველი მოწაფე შეიმუშავებს ისეთს მსოფლმხედველობას, რომელიც მასში განამტკიცებს თანამედროვე მოწინავე და კულტურულ მოქალაქის გრძნობას, რომლის მეოხებით იგი დაინტერესებული იქნება არა თუ მხოლოდ თავისი ქვეყნის და მოძმე მშრომელის, არამედ თვითეული ქვეყნის მშრომელის ბედით.

წიგნი ლამაზადაა დაბეჭდილი და კარგს ქაღალდზე გამოცემული.

ი. შ.

წიგნი ტრისტონისა და იზოლტასი

თბ. 1926 წ. ქართულ ენაზე გადმოიღო გერონტი ქიქოძემ 1925 წელს

ქართველ მკითხველს, როგორც იქნა მიეცა საშუალება წაიკითხოს მშვენიერი ენით დაწერილი „სიყვარულისა და სიკვდილის ამბავი“, ეს მომხიბლავი თქმულება, უხსოვარ დროს რომ კელტთა წიაღში ჩაისახა, შემდეგ რომ მთელს დასავლეთ ევროპას მოედო დროისა და გარემოს შესაფერად შეცვლილი და საშუალო საუკუნეთა საუკეთესო მგოსნების მიერ შემკობილი... მაგრამ იმავე საუკუნოების ბნელეთში ჩაიძირა და მის ნანგრევებს ქვეშ მოჰყვა ეს იშვიათი სიყვარულის ამბავი; მხოლოდ წარს. საუკუნის დამლევს შესძლო გამოჩენილმა მეცნიერმა ჟ. ბედიემ ძვირფასი ნამსხვრევების მოძებნა: მიანიჭა მას მთლიანი სახე და დაუბრუნა მისი კუთვნილი ძველი მიმზიდველობა. ბედიეს სანდო ნახელავი კი გადმოაქართულა გერონტი ქიქოძემ მოქნილი, სხარტი და სადა ქართულით. ჩვენი მწერლობის კლასიკური ხანის ელფერის დაცვით გადმოგვცა მთარგმნელმა ქალ-ვაჟის (იზოლდისა და ტრისტანის) საბედისწერო მიჯნურობის ამბავი, რომელიც ზღაპრული საბურველით დაფარული ანალიზია სიყვარულის გრძნობისა. ეს საკვირველი რომანი უდრის ტრისტანის იმ ფრთოსან ისარს, რომელმაც მიჯნურთა მტერს გონდოინს თვალი გაუგმირა და თავის ქალაში ათრთოლებული გაჩერდა (118 გვ.).

ჯერ კიდევ წარსულ წელს აღძრა მკითხველის ინტერესი ამ რომანისადმი აკად. ნ. მარმა თავისი გამოკვლევით: „ქართველი ერის კულტურული შუბლი...“ (მნათობი № 5-6), სადაც მან შეუპირისპირა ეს რომანი „ვისრამიანს“ და ორთავეს ერთი—იაფეტური —საფუძველი მოუნახა. ეს ლინგვისტური ძიების შედეგი იყო. ლიტერატურული „ვისრამიანი“ და „იზოლდ-ტრისტანიანი“ კი, მრავალ მსგავსებასთან ერთად, არსებითად განსხვავდებიან ურთიერთისაგან ძირითადი თემის დამუშავებაში: იქ (ვისრამიანში) უფრო გულგრილადაა სიყვარული წარმოდგენილი (იხ. მარრი), ხოლო აქ უმაღლესი გამომჟღავნებაა მიჯნურობისა, რომელიც სიკვდილზე უძლიერესია; მის წინაშე მუხლს იდრეკს ზნეობის მძლეთა-მძლე დარაჯი—ეკლესია, თვით ღმერთი შეჰყავს შეცდომაში იზოლდას თავისი ორაზროვანი ფიცით, რის მეოხებითაც გავარვარებული შანთი კვალსაც არ დაამჩნევს მის სათუთ ხელს: „რაც მიზანს შეუძლია, იმას მგრძნობიარე გულიც შეასრულებს სიყვარულისა და გამბედაობის წყალობით“ (21). ადამიანის ძალა ხომ სრულიად უძლურია რაიმე ავნოს სიყვარულს: სამარცხვინო სიკვდილით კვდება ყველა, ვინც კი წინაღუდგება მიჯნურთა კავშირს...

ტრფობის სამსალა, იზოლდმა და ტრისტანმა რომ შესვეს, ზღაპარი როდია თავის წარმოშობით: უპირველეს მთხრობელს მართლა სწამდა მისი სინამდვილე, ხოლო შემდეგ იგი იქცა სიმბოლოდ. ისტორიული მთხრობელნი ალბათ ღიმილით უამბობენ მსმენელთ, რომ მიჯნურთა თავდავიწყება მათ მიერ შესმული სამსალის ბრალია... ნამდვილად კი, განა სამსალამდე არ ბრაზობდა იზოლდი, რომ ტრისტანმა თავისთვის კი არ დაიპყრო და წაიყვანა იგი, არამედ ვინღაც მეფისთვის? (36 გვ.). სიმბოლურად: მან შესვა პირველმა ტრფობის სამსალა. მეორე მხრით, განა ბუნებრივი არ არის, რომ ცეცხლოვან ჭაბუკს, იზოლდმა რომ ორჯერ გადაარჩინა სიკვდილს, შეუყვარდა ხანგრძლივი მოგზაურობის დროს ეს გაუგონარი სილამაზის ქალი, რომელმაც უკვე შესვა სამსალა, ე. ი. რომლის გულში უკვე ინთებოდა უქრობი ცეცხლი? რა უძლურად გამოიყურება აქ რაინდული წესები, რომელნიც მას უკარნახებს პირნათლად წარსდგეს სუზერენის წინაშე და მიჰგვაროს მას იზოლდი. და მართლაც, იმ ვარიანტებში, რომელსაც არ მისდევს ბედიე, საბედისწერო სიყვარული გარკვეულად სამსალამდე იწყება..

ასეთია, გაკვრით რომ ვთქვათ, ის რომანი, რომლის გადმოქართულებასაც უნდა ვუმადლოდეთ გერონტი ქიქოძეს. უთუოდ დიდი შრომაა გაწეული, რათა რომანის თარგმანში დაცული ყოფილიყო ეპოქის სული. სწორედ იმ ხანის ენაილოგიური თხუზულებებით ჩვენ მდიდარნი ვართ. მთარგმნელს შეუსწავლია ისინი და უხვად შემოაქვს თარგმანში შესაფერი სიტყვები და ძველი გამოთქმანიც („სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა...“, „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს“... და სხვა), გერონტი ქიქოძე ცნობილია ჩვენში კარგ სტილისტად; მისი თანამედროვე სადა ქართული, რომელშიდაც აქა-იქ ჩართულია ძველი გამოთქმანი, უთუოდ სასიამოვნო საკითხავია. მაგრამ, სამწუხაროდ, არა აქვს დაცული მართლწერის განსაზღვრული ნორმები.

ჩვენი შენიშვნებიც ამიტომ შეეხება მხოლოდ მართლწერას, უცხო სახელწოდებათა ქართულად გადმოცემას და რამდენსამე უხერხულ გამოთქმას: ჩვენ ვფიქრობთ, რომ მის მიერ გადმოღებული რომანი ღირსია იმისა, რომ ქართულად იგი არსებობდეს შეძლებისამებრ უნაკლოდ. ამ მიზნით აღვნიშნავთ, ჩვენის აზრით, გასასწორებელ ადგილთა რამდენსამე ნიმუშს:

1. მართლწერის მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ზმნის ფორმათა უმართებულო ხმარება, სახელდობრ: მ და ს პრეფიქსებისა და—დნენ დაბოლოებისა. არას ვამბობთ ზოგიერთ ცალკე სიტყვათა მართლწერის შესახებ, როგორიცაა, მაგ., ბავშვი, შეურაცყოფა, ქვეშემდომი და სხ.

2. უნდა იყოს **იზოლდე** (ფრანგ. Iseult, ან Iseut, ძვ.—გერმ. Isolt) და არა **იზოლდა**. უნდა იყოს **მორჰოლტი ან მოროლტი** (ფრანგ. Morholt) და არა **მორხოლტი.** უმჯობესი იქნებოდა ვეიზეფორტი (weisefort), ვიდრე ვეისფორტი; კარდუელი (Carduel) და არა კარდუელი.

არა მგონია, რომ ტრისტანს **ფეხსაცმელში** დაემალოს ენა, ურჩხულს რომ მოსჭრა (გვ. 26); დედანშია: „et la mit dans sa schausse (გვ. 30); ალბათ **სამხრეში.** ეს წვრილმანია; მაგრამ „ქერა იზოლდა თრთოდა სირცხვილისა და მოკრძალებისაგან“ (გვ. 34), ჩვენის აზრით, არ უდგება იზოლდის სულისკვეთებას ამ მომენტში. დედანშია: Iseut la Blonde, fremissait de houte et d'angoisse (გვ. 39), კიდევაც რომ შესაძლებელი იყოს angoisse-ის „მოკრძალებით“ თარგმნა, შინაარსის მიხედვით არ გამოდგება. აქ შეიძლებოდა სასოწარკვეთილება, უსაზღვრო ტანჯვა“ ან რაღაც ამგვარი. არც **სირცხვილს** ვიტყოდით ჩვენ ამ შემთხვევაში, არამედ შერცხვენას, ან თუ გნებავთ, **შეურაცყოფას** შინაარსის მიხედვით. არც **აითვალისწუნა** გამოდგება, ჩვენის აზრით (dédaignait); უფრო **დაიწუნა.** საერთოდ რომანის ეს ძლიერი ადგილი, ჩვენის აზრით, ვერაა მარჯვედ გადმოცემული. ეს ის ადგილია, როცა ტრისტანის მიერ უკვე მოხიბლულს იზოლდს ეგონა, რომ ტრისტანმა იგი დაიპყრო თავისთვის, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ტრისტანი მას სხვას სთავაზობდა.. ასეთი შემთხვევები, რა თქმა უნდა, ფრანგულის ზედმიწევნით მცოდნე ჩვენს მთარგმნელს ძალიან ცოტა აქვს: შესაძლოა მეტი არც კი იყოს. მაგრამ ჩვენ მაინც საჭიროდ ვთვლით მივაქციოთ მთარგმნელის ყურადღება ამ ცოტასაც.

ამას გარდა, ჩვენის აზრით, ქერა რაღაც ვერ უდგება სავსებით იზოლდს. მართალია, დედანშია Iseut la Blonde. მაგრამ ვფიქრობთ, რომ შესაძლოა მოინახოს ქართულში უფრო შესაფერი სიტყვა; თუ არა, და დარჩეს ყველგან **ოქროსთმიანი** (aux cheveux d'or).

3. რაც შეეხება ძველ ქართულის საჭირო ზომისამებრ ნახმარ სიტყვებს, მრავალი მათგანის შემოტანისათვის მადლობის ღირსია მთარგმნელი: ალბათ, მათი უმრავლესობა შევა ჩვენს მწერლობაში. მხოლოდ ზოგიერთს ჩვენ ვთვლით ზედმეტად, მაგ.: **არდაბაგი** (22 გვ.) ან **ლანძვი** (53 გვ.), რომელთაც ფრანგულში უდრის fenêtre; შეიძლებოდა ორსავე შემთხვევაში გვეხმარა დღეს ცოცხალი სიტყვა **სარკმელი;** ან კიდევ **მაწვ.რის** (24 გვ.) ნაცვლად (héraut) **შიკრიკი ან მაცნე.** აგრეთვე ვფიქრობთ, რომ **ხახმლოდ გათხოვნას** (65) სჯობს **ხმალში გაწვევა,** რადგანაც ეს თანამედროვე ცოცხალი გამოთქმაა და სავსებით გამომხატველია...

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ მშვენივრად გადმოღებულ წიგნს მკითხველი მრავლად ეყოლება; ამიტომ შემდეგი გამოცემებისათვის მთარგმნელს საშუალება ექნება მხედველობაში მიიღოს ჩვენი რამოდენიმე შენიშვნა. საჭირო იქნება აგრეთვე ძვ.-ქართულის ზოგიერთი დღეს გაუგებარი სიტყვები აიხსნას და კორექტურისათვის მეტი ყურადღება მიაქციონ მთარგმნელმა (კერძოთ 54—55 გვ.).

განსაკუთრებით დასაფასებელია **გერონტი ქიქოძის** ეს შრომა, ვინაიდან დასავლ. ევროპის მწერლობის გადმოქართულება დღეს მწვავე მორიგ საკითხთაგანია.

პროფ. გ. ახვლედიანი.

შემთხვევები

თავდასხმა სოფ. დიღომში

12 ნოემბერს, დაახლოებით ღამის 2 საათზე, სოფ. დიღომში (თბილისის მაზრა) სანდრო, გიორგი და ვლადიმერ კოტორაშვილების ოჯახობას თავს დაესხა რამოდენიმე შეიარაღებული პირი.

ყაჩაღებმა ზემოთჩამოთვლილ ოჯახების წევრებს სიკვდილის მუქარით გახადეს ტანისამოსი, წაართვეს სხვადასხვა ნივთები და მიიმალნენ.

ამ ბოროტმოქმედების შესახებ აცნობეს თბილისის სისხლის სამართლის მილიციას.

საჩქაროთ შემთხვევის ადგილზე გაემგზავრა სისხლის სამართლის მილიცია.

მათ თან წაიყვანეს მეძებარი ძაღლები, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ბოროტმოქმედების შეპყრობის საქმეში.

დიღომის მახლობლად შუა მთის იქით დაჭერილ იქნენ ბოროტმოქმედნი.

დაპატიმრებულნი გამოტყდნენ დანაშაულობაში და ისინი გუშინ დილით ჩამოიყვანეს თბილისში.

◆ თვითმკვლელობა. ალბულაღის სამილიციო უბანში ასატურ არუთინოვმა რევოლვერით მოიკლა თავი.

◆ ცეცხლი. ნიკოლოზის ქ., № 56, სალხანოვის სახლს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლისმქრობელ რაზმმა.

◆ მორგებული გასაღების საშუალებით, პლეხანოვის პრ., № 102, ანტონ დავლიანიძის ბინიდან მოიპარეს 300 მან. ნივთები.

◆ ქურდობა. 12 ნოემბერს, ვაკეში გაქურდეს იოსებ კორინთელის ბინა.

◆ ამავე დღეს კირკის ქ., № 33, გალინა ზიუროიკოვას ბინიდან მოიპარეს 200 მ. ნივთები.

◆ ამავე დღეს პლეხ. პრ., № 11, გაქურდეს ალექსანდრე ვედროვის ბინა.

◆ მე-12 სამილიციო რაიონში გაქურდეს ანა როველაძის, ევდოკია კუზნეცოვას, მარიამ დაქთაქიშვილის და ელენე როველაძის ბინა.

◆ შეპყრობა. 12 ნოემბერს ქურდობისათვის შეიპყრეს ვართანუშა მელქონიანი.

◆ დაჭრილი. გუშინ დანით დასჭრეს ალექსანდრე გამრეკელი, რომელიც მოიყვანეს სასწრაფო დახმარების ამბულატორიაში.

◆ ძაღლის დაკბენილი. წუხელ ქუჩაში ძაღლებმა დაკბინეს (მეევოის ქ.) მოქ. ზაქარია გოგებაშვილი. დაშავებული გადაგზავნილ იქნა სასწრაფო დახმარებაში.

◆ ქეიფში დაჭრა. სასწრაფო დახმარების აღმოსაჩენათ გუშინ ამბულატორიაში მოიყვანეს გეურქა ალავერდოვი, რომელიც დანით დაუჭრიათ „მეგობრებს" ქეიფში.

სასამართლო

„გასტროლიორები" ბაქოდან

1925 წელს, ოქტომბრის თვეში თბილისს ესტუმრა ბაქოდან არაჩვეულებრივი სტუმრები—აბიბ და მახმუდ-ოღლები. ისინი გულდასმით შუდგენ თბილისის დათვალიერებას; გამოდიოდენ ხშირად თავიანთი ბინიდან და სტკბებოდენ თბილისის სიმშვენიერით.

ერთ დღეს, „გასტრალიორები" აბიბ გუსეინ-ოღლი და მახმუდ აბუკაზ-ოღლი გამოდიან ჩვეულებრივად თბილისის დასათვალიერებლად. მათ ყურადღებას იპყრობს განსაკუთრებით ცეკავშირის საწყობი. მათი „ცნობის მოყვარეობა" ისე შორს მიდის, რომ ღამის 2 საათზე შედიან ცეკავშირის საწყობის ეზოში, სტეხენ ბოქლომს და შედიან საწყობში.

საწყობში დარჩენილი ნივთებიც არ დარჩა მათი „ცნობის მოყვარეობის" გარეშე და მათ იმ ღამესვე გაალაგეს იქიდან მანუფაქტურა, პირველ საჭიროების პროდუქტები და სხ., რომელთა ღირებულება 4.000 მანეთს უდრიდა.

სისხლის სამართლის მილიციამ ჰუსეინ და აბუკაზ ოღლები „აღჭურვა" სათანადო საბუთებით და მიაცილა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომდე.

გუშინ, გუსეინ და აბუკაზ ოღლების საქმე უნდა გარჩეულიყო სასამართლოში, მაგრამ გადაიდო შემდეგისათვის.

კ. კილაძის საქმე

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. ჯაჯანიძის თავმჯდომარეობით და პროკურორ კაკაბაძის მონაწილეობით დაიწყო კირილე კილაძის საქმის გარჩევა.

როგორც ვსწერდით, კილაძეს ბრალი ედება—2.118 მანეთის მითვისებაში მიწად-მოქმედების კომისარიატში უფროსი მოლარის თანამდებობაზე ყოფნის დროს.

ბრალდებულს იცავს დამცველთა კოლეგიის წევრი ლვამიჩავა.

სასამართლოში ბრალდებულმა კილაძემ თავი არ სცნო დამნაშავეთ წარდგენილ ბრალდებაში და დასძინა, რომ აღნიშნული თანხა მას დაეკარგა ა.წ. თებერვლის თვეში. გარდა ამისა, ბრალდებული ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ის დატვირთული იყო ბევრი სამუშაოთი და შესაძლებელია დავკარგე მიმდინარე მუშაობის დროსო.

სასამართლომ დაჰკითხა მოწმეებს. დაკითხვიდან გამოირკვა, რომ მიწადმოქმედების კომისარიატში სალაროს რევიზია მოხდა ა.წ.15 ივნისს; რევიზიამ აღმოაჩინა აღნიშნულ თანხის დანაკლისი. ბუხჰალტრები გურჯია და გუნია აღნიშნავენ, რომ აღნიშნულ სალაროს 2.118 მანეთი დააკლდა არა თებერვლის თვეში, როგორც ბრალდებული აცხადებს, არამედ მაისის ბოლო რიცხვებში, ან ივნისის დასაწყისში.

მოწმეები ახასიათებენ კილაძეს, როგორც ენერგიულ და ბეჯით მუშაკს. გარდა ამისა, მოწმეების დაკითხვიდან ირკვევა, რომ ხშირი იყო შემთხვევა, როცა ინტენსიური მუშაობის დროს, ბრალდებულმა ფული ვადააყოლა სხვადასხვა პირებს. მოწმეები აღნიშნავენ აგრეთვე, რომ კილაძეს სუსტი მეხსიერება აქვსო.

ხვალ გაიმართება მხარეების კამათი და გამოტანილი იქნება განაჩენი.

კოოპერატიული ფულის მოყვარულნი

(პროცესის მეოთხე დღე)

დასრულდა ბრალდებულთა დაკითხვა. შემდეგ დაიწყო მოწმეების დაკითხვა.

ზოგიერთი მოწმეები აღნიშნავენ, რომ კოოპერატივის გამგეობის წევრები სრულ უმოქმედობას იჩენდენ საქმისადმი, რამაც დიდი ზარალი მიაყენა კოოპერატივს.

მოწმეების დაკითხვა გრძელდება.

ავანტიურისტის გასამართლება

(პოლტაშევსკის საქმე)

გუშინდელ სხდომაზე დასრულდა ბრალდებულის დაკითხვა.

ბრალდებული სრულიად დამშვიდებით უამბობს სასამართლოს, რომ 1920 წელს ის პარტიაში ირიცხებოდა. შემდეგ გამორიცხული იქნა მექანიკურათ. თავმჯდომარის შეკითხვებზე ბრალდებული გამოტყდა და განაცხადა, რომ ის გამორიცხეს პარტიიდან. მიზეზათ ასახელა, რომ „აგიტატორი ვიყავი, დავიარებოდი და ხვა სამუშაოს ვერ ვასწრებდი და ამიტომ გამომრიცხესო".

მართალია,—ამბობს ბრალდებული საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში ვმოგზაურობდი და არა, თუ სამ გვარს, არამედ ოთხსაც ვატარებდი, მაგრამ ეს იყო გამოწვეული ჩემი მატერიალურათ შევიწროებით.

დასასრულ ბრალდებულმა პასუხი გასცა სასამართლოს მრავალ შეკითხვებზე. აღსანიშნავია მისი აბდა-უბდა პასუხი. ბრალდებული სცდილობს ზოგიერთ შეკითხვებზე არ გასცეს პირდაპირი პასუხი.

განაჩენი

ხანგრძლივი თათბირის შემდეგ სამხედრო ტრიბუნალმა გამოიტანა განაჩენი პოლტაშევსკის საქმეზე. პოლტაშევსკი ცნობილ იქნა დამნაშავეთ ქრთამის აღებაში, ყალბი საბუთების საშუალებით პარტიაში შესვლაში და სამი სხვადასხვაირი გვარის ტარებაში. ბრალდებათა შეერთების შემდეგ. მას მიესაჯა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლაციით და ორი წლით უფლებების შეზღუდვა.

ავიაქიმი

თბილისის ავიაქიმის პრეზიდიუმის დადგენილებით ქალაქში მოეწყობა ქიმიური გაზებისაგან თავშესაფარი რამოდენიმე სარდაფი.

აღნიშნული სარდაფები აბსოლიუტურ იზოლიაციაში იქნებიან გარემოსაგან და იქ სრულიად არავითარი საფრთხე არ იქნება. მხრჩოლავი გაზებისაგან.

ანალოგიური თავშესაფარი სარდაფების მოწყობა დიდი ხანია დაწყებულია ევროპის სახელმწიფოების დიდ ქალაქებში. ომიანობის შემთხვევაში მტერს შეუძლია შევიდეს ამა თუ იმ ქალაქში, გაუშვას მხრჩოლავი გაზები და ქალაქებში შესწყვიტოს ცხოვრება. ასეთი საფრთხის თავიდან ასაცილებლათ, მოწყობილ სარდაფებში მოსახლეობას შეუძლია შეაფაროს თავი, სანამ სპეციალური ქიმიური რაზმები არ გაჰფანტავენ მხრჩოლავი გაზის ნისლს.

თბილისში ასეთი პირველი სარდაფი ეწყობა მუშათა ცენტრალური კლუბის ქვეშ. ახლო ხანში შეუდგებიან აგრეთვე ქალაქში არსებულ ყველა სარდაფების შესწავლას მათი თავშესაფარებათ გამოყენების მიზნით.

რკინისგზებზე

რონოდების გადავარდნა

12 ნოემბერს სადგ. სამტრედიაში მატარებლის მიმორონების დროს ლიანდაგს ასცდა ორი რონოდა. რონოდები ამოიღეს.

მატარებლის დამტვრევა

11 ნოემბერს, ევლახის ბაქანზე გაწყვეტის გამო დაიმტვრა მატარებელი, რომლის ორთქლმავალი გადაიარდა გვერდზე.

ლიანდაგიდან აცდენა

12 ნოემბერს, სად. ბალიჯში, მატარებლის ისრებზე შემოსვლის დროს. უკანასკნელის გაფუჭების გამო, ლიანდაგს ასცდა 6 რონოდა. დერეზენტიდან გაგზავნეს დამხმარე მატარებელი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომუნისტ. პარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს, რომ სამშაბათს 16 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში.

არუთინოვი გიორგი, ასვაცატუროვი ვართანი, არდაშელი ტერენტი დოროთესძე, ბარამიძე გიორგი ალექსისძე, ბაბაკანოვი ვართან არმაისისძე, ბახტაძე მიხეილ გიორგისძე, ვანიევი ერვანდ ალექსისძე, გაბაშვილი იოსებ სპირიდონისძე, გასპაროვი ერვანდ გიორგისძე, გოგიბერიძე მიხეილ, გაბაევი გიორგი გრიგოლისძე, ჯორბენაძე ნიკოლოზ დ., დარახველიძე პალადი, დანიელიანი შმავონი, ისაკოვი ლეონ ნიკიტასძე, კრუჩკოვა სოფიო იაკობისძე, კალანდარიშვილი ლონგინოზ ლ., შეელიძე ნიკოლოზ დავითისძე, კუტუბიძე ბენო სტეფანესძე, კილურაძე გერმან სიმონისძე, მდინარაძე ნიკოლოზ, მესხიძე ლევონ სოლომონისძე, მაელიანი რუბენ მარტინისძე, მირზოევი რუბენ ალექსანდრესძე, მარხვაიძე ადამ ლეონისძე, მახარაძე ნინო, ნაბახტიანი მიხეილ გაბრიელისძე, პარუხოვი სერგო თომასძე, რედკოზუბოვი ნიკოლოზ როსინაძე დავით ერასტისძე. სოგომონიანი ტიგრან ს., სოლომონოვი თედორე ვასილისძე, ხურცილავა იასონ კვიხულისძე, ხაჩიკიანი აგასი ავეტიკასძე, ხუხულაშვილი მარკოზ სტეფანესძე, წულაძე გიორგი სტეფანესძე, ჰეჟინაძე დავით მელიტონისძე, შენგელია მალაქია, იურიევი ალექსანდრე პ., დადაევა ელისაბედი ა., ბახტაძე სერგო, მაკოევი ანდრია გიორგისძე, არაქელოვი ვართანუშ სტეფანესძე, გოთვაძე შალვა იასონისძე და ეშბა რაჟდენ დუტოკიჩი.

კომკავშირის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ყველა უჯრედებს, რათა ერთიან საკავშირო დღეს, სამშაბათს 16 ნოემბერს, დღის წესრიგში დასმული იქნეს ადგილობრივი ხასიათის შემდეგი საკითხები: 1) ადმინისტრაციის მოხსენება, 2) მოზარდების მოხსენება და სხვა. სკოლის უჯრედებში დასმული იქნება გამგის მოხსენება სკოლის მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს კომუნისტ. პარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ ორშაბათს 15 ნოემბერს, დღის 4 საათზე, ქალაქის რაიკომის საგიტ-საპროპ. განყოფილების შენობაში შესდგება ყველა უჯრედების საგიტ-საპროპ. განყოფილებათა გამგეების თათბირი, მე-2-ე საფეხურის და საღამოს საბჭოთა - პარტიულ სკოლების სტაროსტების თანდასწრებით, პოლიტ-სკოლებში დასწრების საკითხის შესახებ.

ყველა სააგიტ-საპროპ. განყ. გამგეთა დასწრება სავალდებულოა.

საქ. ახ. ლენ-კომკავშირის თბილისის კომიტეტი იტყობინება, რომ ორშაბათს, 15 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, ს. ა. კ. კ: თბილისის კომიტეტის მდივნის კაბინეტში მოწვეულია პროფკავშირთა ცეკას წარმომადგენლების თათბირი, საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლების და დიდ საწარმოო უჯრედების მდივნების თანდასწრებით.

დღის წესრიგი: 1) პროფკავშირთა ცეკას ადგილებიდან წარმომადგენლების ინფორმაცია მუშური ახალგაზრდობის შექმნის შესახებ, 2) მოხსენება მუშური ახალგაზრდობის შექმნის შესახებ და 3) სხვადასხვა.

ორშაბათს, 15 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, თბილისის კომიტეტის საგიტ-საპროპ. განყოფილებაში შესდგება **სოფლის და ქალაქის კავშირის საზოგადოების თბილისის და რაიონულ სარევიზიო კომისიების სხდომა.**

ორშაბათს, 15 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების შენობაში მოწვეულია **საორგანიზაციო თათბირი.**

საორგანიზაციო თათბირის ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

ხან. უნივერსიტეტის გაერთიანებული კომ. უჯრედთა ბიურო იუწყება იმ ამხანაგების საყურადღებოთ, ვისაც რაიმე მიზეზის გამო არ აქვთ საწევრო ან საკანდიდატო მოწმობები, 15 ნოემბერს გამოცხადდენ ბიუროში აღნიშნულ საკითხის მოსაგვარებლათ.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ანა თომას ასული ხარაძისა, შვილები ეკატერინე, ნინო და ზინაიდა, სიძე იოსებ დანიელის-ძე ბეთანელი და შვილისშვილი აჩიკო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ქალაქ ქუთაისში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი პირველის მეუღლე, მეორეთა მამა, მესამის სიმამრი და მეოთხის ბაბუა

ნოშრევან ბეჟანის-ძე ხარაძე

გამოსვენება კვირას, 14 ნოემბერს, დღის 3 საათზე. საკუთარ ბინიდან, აკაკი წერეთლის ქ. № 35 (ქ. ქუთაისი). ქვ. 568

ინჟინერი იოსებ (სოსიკო) დანიელის-ძე ბეთანელი თავის მეუღლით ზინაიდა ნოშრევანის ასულით და შვილით აჩიკოთი ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ქალაქ ქუთაისში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი პირველის სიმამრი, მეორის მამა და მესამის ბაბუა

ნოშრევან ბეჟანის-ძე ხარაძე

გამოსვენება კვირას, 14 ნოემბერს, დღის 3 საათზე, საკუთარი ბინიდან, აკაკი წერეთლის ქ. № 35, (ქალ. ქუთაისი). 568

კვირას, 14 ნოემბერს, 1 საათზე, ვერის წმინდა ნიკოლოზის სასაფლაოზე გადახდილი იქნება პანაშვიდი

ალიოშა ლომაძის

გარდაცვალებიდან 2 წლის შესრულების გამო, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ: დედა მარიამ დიმიტრის ასული, მამა პავლე ესტატეს-ძე, ძმა ვანო პავლეს-ძე და დები: ნინუცა, ქეთო და დარეჯან ლომაძეები. 554

დამწუხრებული ქმარი ალექსანდრე, მაზლები—მიხეილ, ნიკოლოზ და გიორგი, დედამთილი ანა ტატიშვილი, მული ნინა რუხაძე და დები სოფიო ვასილის ასული მარტიროსოვი შვილებით და ოლღა ვასილის ასული ჯავახიშვილი, აუწყებენ ყველა ნაცნობ ებს და ნათესავებს, რომ ტრაღიკულად გარდაიცვალა

ევგენია ხანდამიშვილის ასული ტატიშვილისა

გამოსვენება კვირას, 12 საათზე, სამხედრო სახალხო საავადმყოფოდან

სახელმწიფო დრამა

დღეს, 14 ნოემბერს გრ. რობაქიძის

ლამარა

პიესა 4 კამარათ. მუსიკა ი. ტუსკიასი

დადგმა კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელის

დეკორაციები ლ. გუდიაშვილის

ნ. 205

სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.

სახელმწიფო ოპერა

დღეს 14 ნოემბერს, პრემიერა (აბონემენტს გარეშე) **დუბროვსკი**

მონაწ.: ბოკოვა, მაყაშვილი, კანსბურგი, გორელოვი, მესხიაევი.

სამშაბათ, 16 ნოემბერს. **გაიმართება საღამო**

მიძღვნილი სახალხო არტისტის

ვანო სარაჯიშვილისადმი

ნ. 212 ბილეთები იყიდება.

აპოლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი

დღეს უკანასკნელი დღე

ბაფლანბა

7 ნაწილად

რეჟისორი ი. პერესტიანი

ოპერატორი ა. დიღმელოვი

ანონსი: ხვალ ორშაბათიდან:
აპოლოში—ქალი გზაჯვარედინზე.
სოლეიში—კანონი და უკანონობა.
არფასტოში—БЕЛАЯ МОЛЬ.
დარბაზში—ხანუმა.

ნ. 157 0—12

იბეჭდება და მარტში გამოვა

იოსებ იმედაშვილის

უცხო სიტყვათა ლექსიკონი

მესამედ შევსებულ-შესწორებული, ენათ მეცნიერების პროფესორის გიორგი ახვლედიანის რედაქციით. იბეჭდება კარგ ქაღალდზე, იქნება 500 გვერდამდე და თვეში თითო მანეთის გადახდით ღირს 3 მ. 50 კ. შემდეგ კი 5 მან. სტუდენტებს და მუშებს შეუძლიათ გადიხადონ თვიურათ ათი შაური. ეს ლექსიკონი ყველა ოდნავ შეგნებული მკითხველისათვის იქნება დიდი მეგობარი და დამხმარე. ვინც 14 ხელისმომწერს იშოვნის.

მ-15-ე წიგნი უფასოდ მიეცემა

წიგნი იბეჭდება განსაზღვრული რაოდენობით. ყველა შეგნებულ მკითხველს ვთხოვ შეიძინოს ეს საჭირო წიგნი და მით ხელი შემიწყოს პირნათლად შევასრულო, ეს დიდი საქმე. ვინც კი მოისურვებს დახმარებას ღია ბარათით მაცნობოს, დაუყოვნებლივ გაეგზავნება ხელმოსაწერი ფურცელი. ფული ყოველთვიურად უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: თბილისი, ლენინის ქუჩა № 6, წიგნის მაღაზია „განათლება" სილიბისტრო თავართქილაძეს. ქვ. 559

საქართველოს ს.ს.რ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი აცხადებს

რომ ოცდა ცხრა ნოემბერს ა. წ. დღის 12 საათზე მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის მიწათმოწყობის განყოფილების სამხაზველოში (სასამართლოს ქუჩა № 32).

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

თევზის დაჭერის უფლების

საიჯარო გაცემაზე მდებარე თბილისის და ბორჩალოს მაზრებში მტკვრის ხრამის, მაშავერას, დებედა ჩაის, არაგვის, ლიახვის, ქსნის, და ყარაიაზის ტბის 1927 წლ. 1-ლ იანვრიდან 1928 წლ. 1-ლ იანვრამდე. სათევზაო ადგილების იჯარით გაცემის შესახებ დაწვრილებითი ცნობების განხილვა შეიძლება ყოველ დღე გარდა კვირა უქმისა მიწათმოწყობის განყოფილებაში დღის 12-დან 3 საათამდე (ლუნაჩარსკის ქუჩა № 2).

ნ. 209

თბილისის

წიგნის მთავარ მაღაზიებში

იყიდება

პოპულიარულად დამუშავებული შემდეგი წიგნები:

1. წელთაღრიცხვის ძველი და ახალი წესი, 1926 წლის გამოცემა . . . . 50 კ.
2. არითმეტიკა—ჩვეულებრივ და ათწილად ნაწილართა თეორია . . . . 50 კ.
3. ფუნქციონალური დამოკიდებულება და მისი ახსნის მათემატიკური საშუალებანი, 1926 წ. გამოცემა . . . . 50 კ.
4. ტრიგონომეტრია, მეთოდიური ცდა, მასწავლებელთათვის, 1926 წლის გამოცემა . . . . . 1 მ.
5. აზიისა და კავკასიის სახელწოდებათა წარმოშობის საკითხისათვის . . . . 30 კ.
6. ძველი აღმოსავლეთის წარსული და ვეფხისტყაოსანი. . . . . 40 კ.

წიგნების გამოწერა და შეძენა შეიძლება ავტორისაგანაც, სოფლის მასწავლებელთათვის 50 % ფასდაკლებით: თბილისი, ავლაბრის ფოსტის განყოფილება.

15—5 ქვ. 10 ი. ჯიშკარიანი

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის

სამკურნალო
საწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—21

ექიმი

მეგრაბიანცი

ფილტვების, ძლექის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ. ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., № 23, 25—1

ხვალიდან, ორშაბათიდან

კინო-აპოლო
ცნობილი სურათი
ქალი გზაჯვარედინზე
(მონიკა ლერბიე)
ვიქტორ მარგერიტის
პოპულიარული
რომანის მიხედვით

კინო-არფასტო
„БЕЛАЯ МОЛЬ"
ბარბარა ლა-მარის
და
კონვეი ტირლის
მონაწილეობით.

კინო-სოლეი
პირველად თბილისში
კანონი და უკანონობა
მხატვრული დრამა
7 ნაწილად

ნ. 214

ანონსი: ამ დღეებში ნიბელუნგები, დოროტი ვერნონ.

ვეფხის ტყაოსანი

სარ. კაკაბაძის რედაქტორობით გამოდის ერთს კვირაში

აღდგენილი ტექსტი, ახალი გამოკვლევით შოთას შესახებ და ვრცელი ლექსიკონით, მრავლად დასურათებული (შოთას 7 პორტრეტი, მათ შორის 5 ძველებური, თამარის 4 სურათი ფრესკებიდან, რუსთავის გეგმა, რუსთავის სურათები, ხელნაწერების და დოკუმენტების სურათები, მინიატურები და სხ. სულ 70-მდის სურათი). ფასი 3 მან. 50 კ. (ხელის მომწერლებისთვის 3 მან.). იგივე გამოცემა უკეთეს ქაღალდზე, სურათებით ცარცის ქაღალდზე 5 მან. (ხელის მომწერლებისთვის 4 მან.). ვინაიდგან უკეთეს ქაღალდზე გამოდის განსაზღვრული რიცხვი, ამიტომ პროვინციის ხელისმომწერთაგან ასეთი გამოცემის დაკვეთის მსურველთ ვთხოვთ გვაცნობონ თავისი სურვილი არა უგვიანეს 1 დეკემბრისა შემდეგი მისამართით: თბილისი, რიყეს ქუჩა 37, ს. კაკაბაძეს.

ვეფხის-ტყაოსნის ნართაული ადგილები, გაგრძელებები და სრული ვარიანტები იბეჭდება ცალკე წიგნად-დამატებად.

ქვ. 565.

საქართ. ტექნიკური საზოგადოების

გამოცემანი

პ. ლანდია „ფინანსიური გამოანგარიშების სახელმძღვანელო". სახელმწ. სამეცნ. საბჭოს მიერ ნებადართული, როგორც ტექნიკუმებში სახმარი სახელმძღვანელო, ხოლო კოოპერატიულ განხრიან ცხრაწლედებისათვის, როგორც დამხმარე წიგნი, ფ. 2 მან.

ინჟ. ვ. კაკაბაძე. „საქართველოს მრეწველობის მდგომარეობა და მისი პერსპექტივები", ფ. 1 მან.

ინჟ. ვ. კაკაბაძე. „ქიმიური მრეწველობის მნიშვნელობა და მისი პერსპექტივები საქ-ში", ფ. 1 მან. „შინამრეწველობის საკითხი საქართველოში" ფ. 1 მან. „ქიმიური ომი და მშვიდობიანი მრეწველობა", ფ. 50 კაპ. „ხის მასალის ქიმიური გადამუშავება", ფ. 30 კაპ.

იყიდება წიგნის მაღაზიებში და მთავარ საწყობში თბილისში კამოს ქ. 70

2—1 ქვ. 566

მოწაფეთა საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"

(ქართულ ენაზე)

მისამართი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34

ბორჯომის მინერალური წყლის

სამმართველო

რუსთაველის გამზირი № 10, ტელეფონი 6—78

საწყობები და მაღაზიები—რუსთაველის გამზირი № 10 პლეხანოვის გამზირი № 120.

ბორჯომის წყლის ფასი თბილისში

საწყობიდან; ბინაზე მიტანით (არა ნაკლებ 20 ბოთლისა)

უჭურჭლოთ 24 კაპ., ჭურჭლიანათ 30 კაპ.

მაღაზიებიდან 5 კაპ. მეტი

საწყობიდან ბინაზე მიტანით შეიძლება დაკვეთა არა ნაკლები 20 ბოთლისა.

ცარიელი ბორჯომის წყლის ბოთლები მიიღება 6 კაპიკად ლიტრიანი,—4 კაპიკად ნახევარ ლიტრიანი.

საწყობები ღიაა დილის 9—3 საათამდე.

2—1 ნ. 179

დისპუტი „ზ მშუ"-ზე

შესდგება

ხვალ, ორშაბათს, 15 ნოემბერს

სახელმწიფო კონსერვატორიაში. დასაწყისი 8 ½ ს.

ბილეთები იყიდება კონსერვატორიაში. ნ. 213

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი ლ. არღუთინსკი

ამით აცხადებს, რომ ის 19 ნოემბერს 1926 წ. სახლში № 71 პლეხანოვის პროსპ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის გიორგი ავეტიკოვის მოძრავ ქონებას: სასხდილოს მოწყობილობას შეფასებულს 101 მანეთად, 85 კ. სახალხო კვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 12 ოქტომბერს 1926 წ. თარიღით, № 3801 გაცემულ აღმსრულებელ ფურცლისა. 542

ქ. ქუთაისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 27 ნოემბერს 1926 წელს დილის 10 საათზე. ადგილობ ქ. ქუთაისში ოქტომბრის რევოლიუციის ქუჩის მე-2 შესახვევში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა**: გაიყიდება არსენ ქაიხოსროს-ძე ჯახუტაშვილის ქვიტკირის სახლი, რომელიც შეიცავს ექვს საცხოვრებელ ოთახს, სამზარეულოს და შუშაბანდს, დახურული კრამიტით, აწერილი 18 მაისს 1926 წელსა—საქართველოს მ. უ. საბჭოს სავაჭრო ტრესტების ქუთაისის კანტორის ვალის დასაკმაყოფილებლად. სახლი დაფასებულია 1600 მანეთად, საიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა. ვისაც სურს მიიღოს მონაწილეობა საჯარო ვაჭრობაში უნდა წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს ცნობები აღნიშნული 311 მუხ. სამოქ. საპ. კოდ. და 10 პროც. საწინდარი. ნ. 215

ქ. ქუთაისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 27 ნოემბერს 1926 წელსა დილის 11 საათზე ადგილობ ქ. ქუთაისში აბულაძის ქუჩაზე ერისტო ვასილის-ძე ჯიმშელეიშვილის ეზოში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** გაიყიდება ხსენებული ერისტო ჯიმშელეიშვილის ერთ სართულიანი ქვიტკირის სახლი და სამზარეულო, დახურული კრამიტით, აწერილი საქართველოს მ. უ. საბჭოს ქუთაისის კანტორის ვალის დასაკმაყოფილებლად. სახლი დაფასებულია 200 მანეთად, საიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა. ვისაც სურს მიიღოს მონაწილეობა საჯარო ვაჭრობაში უნდა წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს ცნობები აღნიშნული 311 მუხ. სამოქ. საპ. კოდ. და 10 პროც. საწინდარი. ნ. 215

ქ. თბილისის მეოთხე რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი პოტემკოვსკი

აცხადებს, რომ 22 ნოემბერს ნაშუადღევის 2 საათზე ის პირველი **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის მიხეილ ბესარიონის-ძე მერაბიშვილის სამ სართულიან სახლს სარდაფით, თბილისის მეორე სამილიციო უბანში, ბაზრის და ყოფილ ბარონსკის (ეხლა კი ფურცელაძის) ქუჩების კუთხეში სახლი № 16 | 3. სახლი შეფასებულია 8.602 მანეთათ. ამ სახლში არის 54 ოთახი, 13 სამზარეულო, აბაზანი და სხვ. ის დაგირავებულია ურთიერთ კრედიტის თბილისის საზოგადოებასთან პირველ გირაოთი 5.000 მანეთში, ხოლო მეორე გირაოთი ვასილ ფრანკსთან 20.000 მანეთში.

ზემოხსენებული სახლის გაყიდვა მოხდება გასასყიდ სახლის ეზოში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 301, 311, 312, 313, 314 და 316 მუხლების დაცვით. 554

ზესტაფონის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი

აცხადებს, რომ ის 19 ნოემბერს დღის 12 საათზე ქ. ზესტაფონში, ტეხნიკუმის ქუჩაზე გაყიდის **საჯარო ვაჭრობით** ალექსანდრე ალფეზის-ძე ზარნაძის ქონებას, სახელდობრ ნახევარ მონაწილეობა ერთ სართულიანი სახლისა, რომელიც შედგება ოთხი საცხოვრებელი ოთახიდან და ორი თვალი დუქნიდან, აშენებულს სამოსახლო ადგილზე, ზომით მთლად 400 ოთხკუთხი საჟენი, სამზღვრებთა შორის: აღმოსავლეთით ტეხნიკუმის ქუჩა, დასავლეთით ნემსაძე, სამხრეთით არსენა ფირაძე და ჩრდილოეთით იოსებ ქათამაძე.

გასაყიდი ქონება შეფასებულია 1000 მანეთად, საიდანაც დაიწყება ვაჭრობა.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ს.ს.ს.კ. 311 მუხ. აღნიშნული საბუთები და შეფასების 10 პროც. ნ. 215

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი ლევან არღუთინსკი

ამით აცხადებს, რომ ის 18 ნოემბერს 1926 წ. დღის 2 საათზე სახლში № 1 თავისუფლების მოედანზე ეზოში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ედუარდ პილოსიანის მოძრავ ქონებას: სარკეს, შლიაპებს, პერანგებს და სხვადასხვა გალანტერეის საქონელს შეფასებულს 176 მანეთად 80 კ. მკერავთა კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად. თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 30 სექტემბერს 1926 წ. თარიღით № 3686 გაცემულ აღმსრულებელ ფურცლისა. 540

ექიმი ჩიჩელაშვილი

იღებს შინაგან ავადმყოფებს. სპეციალურად ექიმობს ფილტვებს, ჭავჭავაძის ქუჩა № 9

მიღება დილის 8—12 საათ. საღამოს 6— 8 საათ. 25—2

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—2

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი ჯალალოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 —საათამდე საღამოს 5—8 სათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16. 25—5

ექიმი ზ. ა. ტარუმოვი

დაბრუნდა და განაახლა **შინაგან და ბავშვთა** სნეულების ავადმყოფთა მიღება საღ. 5—7 საათამდე. ტრიბუნალის ქ. (ყოფ. სასამართლოს) 12 ტელ. 22—59,

---

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი").

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 13—21

ქუთაისში

ექ. ა. მ. ასათიანმა

ლენინგრადის კლინიკაში გამგზავრების გამო ავადმყოფების მიღება შესწყვიტა

25—1 ქვ. 379

სათვალეების მორგება

უფასოდ

ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი ტელ. 3—63. 25—1-

---

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი

შინაგან, ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობანი

ღებულობს 5—7 საათზე. სომხის ბაზარი № 3, თავისუფლების მოედნიდან მეორე სახლი 25—1

ექიმი

გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3.

ექიმი შუხმანი

სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.

მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ქ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ.№ 89 25—.

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.

მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ.

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი"

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

სახელმწიფო უნივერსიტეტის

კბილის სნეულებათა

კლინიკაში

(პლეხანოვის პროსპექტი № 1 6), საღამოობით 4—6 საათამდის **ავადმყოფები მიიღებიან უფასოდ.** 25—1

ექიმი-ქალი

თოფურიძე-ფანიევა

იღებს ქალთა და ბავშვთა სნეულებით დაავადებულთ. საღამოს 5-დან 7 საათამდე.

მისამართი: ლადო დუმბაძის ქ. 10 (ყოფ. ველიამინოვის ქ. ერევნის მოედნის ახლოს) ტელ. 19—12. 25—1

ექიმი

ნ. მელიქიშვილი

დაბრუნდა და განაგრძობს ავადმყოფების მიღებას ქალების სნეულება დასამშობიარო, ამის (ყოფილი ქსენიევის) ქუჩა № 7 თვალის საავადმყოფოს ზემოთა სართულში დღისით 1—2 საღამოზე 4—6 საათამდე.

პროფესორი

მ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა

და განაგრძობს შინაგან ავადმყოფთა მიღებას ყოველ დღე, გარდა კვირისა საღამოს 4 ნახ.—8 საათამდე კლ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქუჩა № 7. ტელეფ. 14—56 13—1

ექ. კ. ტყეშელაშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყ. მიღება (კანის, ვენერიული და სასქ.-საშარდე ორგან. სნეულებანი) მთავარი ფოსტის ახლოს, ბელგიის ქ. № 1

ქუთაისში

ექიმი არჩილ სავანელი

განაახლა ავადმყოფების მიღება

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.

მიღება: დილით 7—9 ს. საღამოს 5—9 ს. ქალები 4—5 ს. მისამართი: კომუნალური ქ. № 59. მეხუთე კომისარიატის ახლოს. 25—1

ყველასათვის ხელმისაწვდომი

სამშობიარო თავშესაფარი

ს. ივ. არარატოვისა

პრესის (ყოფილი დიდი ვანქის) ქ. № 6. სამშობიაროდ მიღება—25-დან 50 მანეთამდე. მშობიარობა და შემდეგ ავადმყოფობა 7 დღის განმავლობაში. ქალთა სნეულებებისათვის—2 მ. 50 კაპ.—4 მანეთამდე. 25—1

ექიმი

მ. ს. არჯევანიძე

გადავიდა

ლენინის ქუჩა № 3 (ყ. მელიქ აზარიანცისა) სამეანო და ქალთა სნეულებით. დღის 2—4 სათ. და საღამოს 6—7

დაბრუნდა

ექიმი ა. დ. შახბაზიანი

ქალთა, სამეანო და ქალთა საშარდე სნეულებათა, ავადმყოფების მიღება ყოველდღიურათ საღამოს 5-დან 7 საათამდე; დუმბაძის ქ. 30 (ყოფილი ველიამინოვის ქ.) 25—1

ექიმი

ს. ი. ვოლოხი

განაახლა ავადმყოფების მიღება

ქალთა სნეულებანი და საბებიო ავადმყოფობანი. საღამოს 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. 23—1 ყოფილი ბელგიის ქ. № 5.

ექიმი

ი. ვ. ახმეტელი

იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს ერთი თვის განმავლობაში (20 სექტემბრიდან 20 ოქტ-დე) ქ. სიღნაღში. 3768 25—1

რწმუნების ბარათი (ვექილობა) მიცემული ევგენი ესეფის-ძე ებრალიძეს—ნიკო ნიკოლოზის-ძე სარჯველაძისა და მელიტონ სოლომონის-ძე პატარაიასაგან გატარებული ლანჩხუთის უბნის სასამართლოში 10 აპრილიდან 1926 წ. რეესტრით № 26. 14 დღიდ. 6 ივლისის თვისა ა. წ. ჩაითვალოს გაუქმებულათ აღნიშნულ დაწესებულების ე. ი. ლანჩხუთის ინვალიდთა არტელის გაუქმების გამო.

ნიკო ნიკოლოზის-ძე სარჯველაძე.
მელიტონ სოლომონის-ძე პატარაია.

557

დავკარგე საბუთები გაცემული კიევის მედიკურ ფაკულტეტიდან (ფარმაცევტიული განყ.) ჯაბრაელ დავითის-ძე იაშვილის სახელზე, ჩ. გ. 563

დავკარგე პირადობის მოწმობა № 3622 და სამხ. აღრიცხვის ბარათი პავლე ხოსიტაშვილის სახელზე, ჩ. გ. 560

დავკარგე ღვინის მოსატანი კუპონის ფურცლების რვეული № 162, მოცემული არაპირდაპირ გადასახადთა ქვე-განყოფილების გამგეს მიერ 1926 წ. 25 | 26 მაისს ა. წ. 1 ოქტომბრამდე, ნიკოლოზ ტარიმანის-ძე ბერიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 561

დავკარგე პირადობის მოწმობა და სამხედრო პირ. წიგნაკი № 85, ევსევი ბინას-ძე გვენცაძის სახელზე, ჩ. გ. 562

დავკარგე საგზაო სატრანსპორტო კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 3282, პლატონ ამბაკოს-ძე დოლიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 211

დავკარგე პირადობის მოწმობა № 311, კონსტანტინე ბესარიონის-ძე გორგოძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 211

დავკარგე მატრიკული მოწმობა, გაცემული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, მიხეილ სვიმონის-ძე სპარსიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 555

დავკარგე კომპარტიის საკანდიდატო ბილეთი № 3843, ვ. სილ ხადურიშვილის სახელზე, ჩ. გ. 567

დავკარგე „ზაკტეპის" საწევრო წიგნაკი პლატონ ამბაკოს-ძე დოლიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 215

დავკარგე პირადობის მოწმობა გალაქტიონი მიხეილის-ძე ფრუიძეს სახელზე, ჩ. გ. 552

დავკარგე კომპარტიის საკანდიდატო ბარათი № 13274, მოცემული ზორაპანის სამპარტკომის მიერ ოვანეს ექვთიმეს-ძე ჩიჩილიძეს სახელზე, ჩ. გ. 558

დავკარგე ქიმიკოსთა პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 873, გრიგოლ ვლადიმერის-ძე ვეფხვიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 569

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.